მეუფეზა ფუვლიალილა

პირველი მოქმედების პირნი:

პეტრე—მდიდარი გლეხი, 42 წლისა, მეორე ცოლი ჰყავს, სნეული კაცია.

ანუსია—პეტრეს ცოლი, 32 წლისა, კოხტა და კოპწია ქალია.

აკულინა—პეტრეს ქალი პირველის ცოლისაგან, 16 წლისა, ყრუ, მოისულელებს.

ანიკო—მეორე ქალი, 10 წლისა.

ნიკიტა—ამათი მოჯამაგირე, 25 წლისა, მოხდენილი ბიჭია.

აკიმ—ნიკიტას მამა, 50 წლისა, ართვალი, ღვთის მოსავი კაცია.

მატრონა—აკიმის ცოლი, 50 წლისა.

მარინე—ობოლი გოგო, 22 წლისა.

მოქმედება პირველი

შემოდგომაა. მოქმედება წარმოებს დიდ სოფელში. სცენა წარმოადგენს პეტრეს დიდ სახლს. პეტრე ტახტზე ზის და ცხენის სამკერდეს კერავს, ანუსია და აკულინა ართვენ.

სცენა I.

პეტრე, ანუსია და აკულინა (ანუსია და აკულინა მღერიან).

პეტრე. (სარკეში გაიხედავს). ხელახლა გაპარულან ცხენები! ნახავ თუ კვიცი არ მოკლან! ნიკიტა, ნიკიტა ხარ შენ! ხომ არ დაყრუვდი? (ყურს დაუდებს —დედაკაცებს). დაწყნარდით ერთი, არა ისმის რა.

ნიკიტას სმა გარეთ. რა იყო?

პეტრე. ცხენები შემორეკე.

ნიკიტას სმა. დამაცადე შემოვრეკ!

პეტრე. რა უნდა უყოს კაცმა ამ მოჯამაგირეებს! ავათ რომ არ ვიყო, ახლოს არ გავიკარებდი მაგათ. ერთ რამ ცოდვას გადამკიდებენ. (ადგება და სელასლა დაუდგება). ნიკიტა! რომ ვერას გააგონებს კაცი! ერთი წადით ვინმე. აკულინა, წადი შენ, შემორეკე.

აკულინა. ცხენები?.

პეტრე. მაშ სხვა რა უნდა იყოს?

აკულინა. ამ წამში (მიდის).

სცენა II.

პეტრე და ანუსია.

პეტრე. ცუღლუტი ბიჭია, არ არის ოჯახის კაცი. ზარმაცი რომ არ იყოს, იქნება რაშე გაეკეთებია.

ანუსია. შენ კი ძალიან გამრჯელი ხარ! ან ფეჩზე წევხარ, ან ტახტზე გორავ, სხვაზე კი სამღურავს ამბობ!

პეტრე. თქვენ რომ კაცმა ნებაზე მიგიშვას, ერთ წლამდი სულ ერთიანათ დამაქცევდით! რა ხალხია!

ანუსია. ათ საქმეს ერთათ მიაჩეჩებ ხელში ადამიანს და მერე კი ილანძღები. ფეჩზე წამოწოლილი ბრძანება ადვილია.

პეტრე. (ამოისვნეშს). ეჰ, ეს სნეულება არ შემჩვევოდა, ერთს დღესაც არ დავაყენებდი!

აკულინას სმა ისმის სცენიდგან: თფრუ, თფრუ, თფრუ... (კვიცის ჭისვინი ისმის და ცხენები შეოჯენდებიან ეზოში. ჭიშკარი გაიჭრიალებს).

პეტრე. ყბედობა კი მისი ხელობაა! მართლა რომ არ არის ოჯახში დასაყენებელი.

ანუსია, (აჯავრებს) „მართლა რომ არ არის ოჯახში დასაყენებელი!“ თვითონ გავინძრეოდი ცოტას მაინც და მერე ვილაპარაკებდი მასე!

სცენა III.

იგინივე და აკულინა.

აკულინა. (შემოდის). ძლივს არ შემოვდენე,— სულ გაველურდენ...

პეტრე. ნიკიტა კი სადაა?

აკულინა. ნიკიტა?—ქუჩაშია.

პეტრე. იქ რას აკეთებს?

აკულინა. რას აკეთებს? დგას ` ისე, ლაპარაკობს, ყბედობს.

პეტრე. ამ გოგოსას კაცი ვერაფერს გაიგებ! ვის ელაპარაკება?

აკულინა. (არ ესმის). რაო? (პეტრე სასოწარკვეთილი სელს გადაქნევს; აკულინა დაუდგება და ართავს).

სცენა IV.

იგინივე და ანიკო.

ანიკო. (შეშფოთებს.—დადგს). ნიკიტას დედ-მამა მოუვიდა; შინ მიჰყავთ.

ანუსია. ხუმრობ თუ?

ანიკო, მართლა ვამბობ, ღმერთმანი. (იცინის) ჩამოვუარე და ნიკიტა მეუბნება: მშვიდობით, ანნა პეტროვნა,—მერე ქორწილზე მეწვიეო. უნდა მოგშორდეთო. იცინოდა კიდეც.

ანუსია. (ქმარს). არაფერი საჭირო ხარო, რომ უბრძანებდი, გაგაგდებო! ხომ ხედავ, ახლა თვითონ აპირობს წასვლას!

პეტრე. დიდი ამბავია! წავიდეს! სხვას კი ვერ ვიშოვი?..

ანუსია. მერე, ფული ხომ წინდაწინ აქვს წაღებული?.. (ანიკო კარებს მიუსლოვდება და უურს უგდებს, რას ლაპარაკობენო. შემდეგ მიდის).

სცენა I

ანუსია პეტრე და აკულინა.

პეტრე. (მოიღრუშება). რაც ფული წაიღო, იმისას ზაფხულში მემსახურება, მიმუშავებს.

ანუსია. შენ რა! ქეც გიამება დაითხოვო, ნაკლები პური დაგეხარჯება. მე კი ზამთარში მარტო უნდა ვიჯაფო ხარივით! გოგო თავს არაფრათ იწუხებს მუშაობით, და შენ ხომ მთელი დღე ფეჩზე იწოლები, არ გიცნობ განა!

პეტრე. აბა რას ყბედობ? ენა ხომ არ გექავება?

ანუსია. ქვეყნის საქონელი გვყავს, ცხვარსა და ძროხას ვერ შეელიე. ზამთრისთვის შეინახე იმათ საყოფ საკვებსა და წყალს აბა ვინ აუვა? ახლა მოჯამაგირესაც ისტუმრებ. მე დედა-კაცი ვარ და მამაკაცების სამუშაო რა ჩემი საქმეა. დიახ! მეც შენსავით წამოვწვები ფეჩზე, და რაც უნდა გაფუჭდეს, დარდი არა მაქვს! თუნდა ყველაფერიც დაიღუპოს! რაც გინდა ისა ჰქენი!

პეტრე. (აკულინა). გასწი, საქონელს საკვები დაუყარე, დროა.

აკულინა. საკვები? კარგი, წავალ, (ჩაიცვამს სათფურს და თოკი მიაქვს).

ანუსია. არ გიმუშავებ, კმარა რაც ვეწვალე, ახლა თვითონ გაისარჯე.

პეტრე. რა დაგემართა, დედაკაცო, ხომ არ გაგიჟდი, ცხვარსავით ხომ რეტი არ დაგესხა!

ანუსია. თვითონ შენა ხარ ცოფიანი ქოფაქი. შენთან ადამიანს ერთი მხიარული დღე არ ეღირსება, უნდა დაარჩო კაცი! ოი, შე ძაღლო, შე წუპაკო!

პეტრე. (აფურთხებს და იცვამს). ფუი, დაგლახეროს ღმერთმა! წავალ, შევიტყობ. (გადის).

ანუსია. დამპალო ბერო კაცო! მახინჯო!

სცენა VI.

აკულინა. რას ერჩოდი მამას?

ანუსია. გასწი ერთი იქით, შე სულელო, დაჩუმდი!

აკულინა. (მიკვა კარებთან). ვიცი რისთვისაც აგინებ. თვითონ შენ ხარ სულელი, შე ძუნკალო! აბა ძალიან არ მეშინია შენი!

ანუსია. (წამოვარდება და ეძებს, რა დაჭერას) მე გაყურებიებ შენ თვალის სეირს!

აკულინა. აი, შე ქოფაქო, ეშმაკო, შე მავნე სულო, ძაღლო, ბოროტო! (მირბის).

სცენა VII.

ანუსია. (დაფიქრდება). ქორწილში მეწვიეო. ეს რაღა მოუგონიათ? იქნება ცოლი უნდათ შერთონ? ვაი შენს დღეს, ნიკიტა, თუ ეს შენი ოინია! მე კი ჩემსას ვიზამ!.. უმისოთ სიცოცხლე არ შემიძლია, შინ არ გავუშვებ!..

სცენა VIII.

ანუსია და ნიკიტა.

ნიკიტა. (შემოდის და იყურება. სედაკს, რომ ანუსია მარტოა, მარდათ მიირბენს მასთან. დაბალის ხმით). უბედურება გადამეკიდა, ჩემო ანუსია! მამა მომივიდა, უნდა შინ წამიყვანოს. უთუოთ ცოლი უნდა შეგრთოთო და ოჯახში უნდა დაგაბინაოთო.

ანუსია. მერე შეირთე, რა გიჭირს! მე რა მენალვლება?

ნიკიტა. კაი ამბავი ყოფილა! მინდოდა, რამე მომეფიქრებია, როგორმე უკეთ გამომეწყო საქმე და ეს დახე რას ამბობს: შეირთეო! რათ ამბობ მაგას? (თვალს უქნეკს). დაგავიწყდა?...

ანუსია დიახ შეირთე, იქნება გგონია—თავს მოგაკლავ?...

ნიკიტა. რა დაგემართა, ქალო, რას ფრუტუნობ? სანუგეშოთაც ალარ მიკარებ?.. რა ამბ ვია?

ანუსია. ის ამბავია, რომ გინდა გამაგდო, და რაკი ასეა, არც მე მინდებხარ!

ნიკიტა. კმარა, ანუსია! განა მინდა დაგივიწყო? ჩემს დღეშიაც არა! არ დაგტოვებ, მგონია, ცოლიც რომ შემრთონ, მაინც შენ დაგიბრუნდები, ოღონდ შინ კი არ წამიყვანონ.

ანუსია. ძალიან საჭირო არა ხარ ჩემთვის ცოლიანი!

ნიკიტა. აბა რა ვქნათ? როგორ გადაუდგე მამის ნებას? რომ არ შეიძლება!

ანუსია. სულ შენი საქმეა, და მამას კი გინდა გადააბრალო, შენ დიდი ხანია იმ შავგვრემან მარინესაკენ გაქვს თვალი! სულ იმისი ჭრალია; ტყვილათ კი არ მოუცნცულდა აქ, ამასწინათ!

ნიკიტა. მარინეო? რას ამბობ, რა ეშმაკათ მინდა? განა ცოტანი გვეკიდებიან კისერზე!

ანუსია. მაშ რისთვის მოვიდა მამაშენი? შენ იხმე? მატყუებდი განა! (ტირის).

ნიკიტა. ანუსია, გეფიცები ღმერთს, რომ სიზმრათაც არ მენახოს! სრულიად არა ვიცი რა, არც შემიტყვია, სულ იმ ბებერი მამიჩემის აზრია ეს.

ანუსია. თუ შენ თვითონ არ გენდომება, თოკს ხომ ვერ მოგაბმენ!

ნიკიტა. იმასაც ვფიქრობ, რომ მამის წინააღმდეგობა არ ვარგა, მარა გული რომ არ მიშვრება, რა ვქნა?

ანუსია. მიასვე ფეხი, უარი თქვი, ვინ რას გიზამს?

ნიკიტა. ერთმა ბიჭმაც კი გაიდგა ამასწინათ ფეხი და ისეთი დღე დააყენეს სოფლის სასამართლოში, რომ იმისი წივილი ზეცას აღიოდა. არა, მართლა გითხრა, არაფრად მეხალისება როზგის გემო გავიცნო. აბობენ—ისუსხებაო.

ანუსია. კმარა ხუმრობა. გესმის, ნიკიტა, მარინე რომ შეირთო, არ ვიცი რას დავმართებ ჩემს

თავს! რაღათ მინდა მაშინ სიცოცხლე... შევცოდე, კანონი გავტეხე და რაც მოხდა, ხომ აღარ გასწორდება! იცოდე, ნიკიტა, თუ დამაგდე, ერთს რამე საშინელს ჩაკიდენ!..

ნიკიტა. შენი დაგდება რომ მინდოდეს, განა ამდენ ხანს ვერ წავიდოდი! ამასწინათ ივან სიმონიჩმა მითხრა, მეეტლეთ წამოდიო ჩემთან. მერე ხომ იცი, რა ცხოვრება მექნებოდა! მარა არ დავდგომივარ! ვიფიქრე, სხვისთვისაც გამოსადეგი ვარ მეთქი. რომ არ მიყვარდე, მაშინ სულ სხვა საქმეა.

ანუსია. მაშ გახსოვდეს, ჩვენი ბებერი დღეს ან ხვალ მოკვდება, მაშინ ჩვენი ცოდვის დაფარვაც შეგვეძლება. ასე ვიტყვი კანონის წინაშე: «მეგონა შემირთავდა»-მეთქი.

ნიკიტა. რას მარჩიელობ!? მე რა? ისე ვჯაფობ, თითქოს ჩემსას ვმუშაობდე. პატრონსაც ვუყვარვარ და პატრონის ცოლსაც. დედაკაცებს რომ ასე ვუყვარვარ, განა ჩემი ბრალია, რა ვქნა?

ანუსია. გეყვარები?

ნიკიტა. (მოეხვევა). მაშ! ისე ჩაგიძვრენ სულში, როგორც წინათ.

სცენა IX.

იგინივე და მატრონა (შემოდის და პირველარს იწერს სატეხ. ნიკიტა და ანუსია გაბშორდებიან ერთმანეთს)

მატრონა. რაც ვნახე—არ დამინახავს, რაც გავიგონე—არ გამიგონია. გოგოს გაეთამაშე—რა

ვუყოთ? ხბომაც კი იცის შეკუნტრუშება! რა უკირს! სიყმაწვილის ბრალია, შენი პატრონი გეძახის, შვილო.

ნიკიტა. ცულდისთვის შემოვედი.

მატრონა. ვიცი, შვილო, ვიცი, რა ცულდიც არის, ის ცულდი გოგოების ახლოსაა..

ნიკიტა. (დაისრეს და ტელდს ალაგებს). რაო, დედი, მართლა, ცოლი გინდათ შემრთოთ? ასე მგონია, არ ივარგებს. ამას გარდა სურვილიც არა მაქვს.

მატრონა. მერე ვინა გრთავს, ჩემო თვალის სინათლეო? იცოცხლე, შვილო, იმხიარულე, ეს სულ მამი შენის ბრალია. წადი, შვილო, ჩვენ უშენოთაც ყველაფერს მოვაგვარებთ.

ნიკიტა. ახირებულია, ღმერთმანი! ხან მრთავენ და ხან ამბობენ, არაო. სწორედ არა მესმის რა! (მიდის).

სცენა X.

ანუსია და მატრონა.

ანუსია. მართლა, ბიცოლა მატრონა, ცოლი გინდათ შერთოთ?

მატრონა. რით უნდა შევრთოთ, ჩემო ლამაზო? ჩვენი ამბავი შენც იცი, რა გაგვაჩნია? ჩემი ბერი კაცი ისე ლაპარაკობს, დაუფიქრებლათ: „უნდა შევრთო და შევრთოვო“. მარა, ეს რა მისი საქმეა,

მე ისეც კარგათა ვარ! განა არ ვხედავ (თვალს უჭ-ნეკს) რა ამბავიცა არის.

ანუსია. არა, რა უნდა დაგიმალო, ბიცოლა, შენ ყველაფერს მიმხვდარი ხარ, შევცოდე, შემი-ყვარდა შენი შვილი.

მატრონა. შენ გვონია, ძალიან ახალი ამბავი არ მითხარი?!.. ბიცოლა მატრონამ კი არ იცოდა! გოგო, გოგონა... ბიცოლა მატრონა ყველაფერში გამოვლილია, გამოჯანგულია და გამოდარჯაკებული! ბიცოლა მატრონამ, ჩემო გვრიტო, ისიც კი იცის, ცხრა ადლ მიწას ქვეშ რა მარხია. ვიცი, შვილო, ყველაფერი ვიცი, ისიც ვიცი, ახალგაზდა ქალებს რათ უნდათ ბანგი. აი მოვიტანე კიდეც, (მანდილის ყურიდან წამალს ამოიღებს). რაც საჭიროა, იმას დიახ ვხედავ, და რაც არაა საჭირო, იმას ვერც ვხედავ და არც ვიცი. დიახ, ბიცოლა მატრონაც იყო ერთ დროს ახალგაზდა. ჩემს სულელთან გაძლებას, იცი, კაი მოთ'ერხება უნდოდა! მე ყველა 77 ოინი ვიცი. ვხედავ, რომ ჩემი ბერი კაცი რალაც აიღერლა. რით უნდა იცხოვროს კაცმა? ფიწალი რომ ჰკრა გვერდ-ში—ერთი წვეთი სისხლი არ გამოუვა, რომ შეხე-დო, იფიქრებ—გაზაფხულამდი ვერ გააწევსო, საჭი-როა ვინმე ავიყვანოთ. ჩვენს შვილს რალა უჭირს ვითამ, განა ცუდი მუშაა? სხვაზე ნაკლები რითია? მაშ რა გამიჭირდა ასეთი, რომ შვილი კარგ საქმეს მოვაცდინო? განა მე ჩემი შვილის მტერი ვარ!

ანუსია. ნეტაი არ წაიყვანდეთ!

მატრონა. ნუ სწუხხარ, არ მოგშორდებათ, ჩემო მერცხალო, ეს სულ ჩემი სულელი ბერი-კაცის ბრალია, ხანდახან ისეთს საქმეს აიჩემებს, რომ ვერაფრით ველარ გადაათქმევინებ!

ანუსია. მაშ რა მიზეზია?

მატრონა. იცი, ჩემო კარგო, რა ლამაზი ბიჭია და რა მტერია ქალებისა ჩემი შვილი! რკინის გზაზე რომ მუშაობდა, იქ ერთი ობოლი გოგო იდგა. მერე აკი გადაეკიდა ეს გოგო ჩემს ნიკიტას!

ანუსია. მარინე?

მატრონა. მარინე, ის სასიკვდილე! მოხდა მათ შორის რამე, თუ არა—ეს არ ვიცი, მარა ჩემმა ბერიკაცმა აკი შეიტყო! ვინ იცის, ვინ უთხრა? იქნება თვითონ დააბეზღა?

ანუსია. შეხედე იმ საძაგელს!

მატრონა. ამას მერე ჩემმა სულელმაც დაიჟინა: უნდა შევრთო და უნდა შევრთო, ცოდვა უნდა ავიშოროთ თავიდანო. მოვიყვანოთ ჩვენი შვილი ოჯახში და ჯვარი გადავწეროთო. რამდენი ველაპარაკე—შენც არ მომიკვდე! მაშინ ვიფიქრე—რაკი ასეა, მაშ კარგი, სხვა გვარათ მოუვლი ამ საქმეს-მეთქი. მაგ უჭკუო მამაკაცებთან სხვა რიგათ ხომ არა გაგივა რა, ჩემო ლამაზო! ყველაფერში უნდა მიჰყვე, და როცა საქმეზე მიდგება, მაშინ კი შენებურათ უნდა მოატრიალო ჩარხი! რას გაიგებენ მაგენი დედაკაცის ამბავს! ვეუბნები: დიახ კაი

საქმეა, მარა მოფიქრება უნდა, წავიდეთ შვილთან და პეტრე ეგნატიჩს დავეკითხოთ, აბა ის რა აზრი-საა-მეთქი, და მოვედით.

ანუსია. კი, ბიცოლა, მარა მამამ რომ უბრძანოს, მაშინ რაღა ეშველება?

მატრონა. უბრძანოსო?—მისი ბრძანება ძაღლის კუდ ქვეშ იყოს! მე რომ გულში რასმე ამოვიკვეთ, ჩემსას გავიტან! დიახ, ჩემი შვილი ბედნიერ ცხოვრებაშია, ბეჯს მოელის და მე ვიღაცა მაწანწალა გოგო უნდა შევრთო? გიჟი ვარ თუ?

ანუსია. იმ გოგომ, მარინემ, აქაც მოირბინა შენ შვილთან. რომ მითხრეს ცოლს რთავენო, ღმერთს გეფიცები, ისეთი საქმე მომივიდა, თითქოს სამართებლით ყელი გამოეღაჯროსთ, ვიფიქრე—ალბათ უყვარს მეთქი!

მატრონა. რას ამბობ, ჩემო გვრიტო, აბა რათ ეყვარება იმისთანა უსახლკარო, მაწანწალა, გიჟი ხომ არ არის! იცი, რომ ნიკიტა ბრიყვი ბიჭი არ არის! განა არ იცის ვინ შეიყვაროს! ნურაფრის ეშვი გაქვს, არ წავიყვანთ აქედან, დამშვიდდი. არც ცოლს შევრთავთ, ოღონდ ფულზე გვიგდეთ ყური და დარჩეს.

ანუსია. ასე მგონია, ნიკიტა რომ მოგვშორდეს, თავს მოვიკლავ.

მატრონა. განა არ მესმის, რა არის სიყმაწვილე! მოწიფული ქალი ხარ და მაგისთანა მიხრწნილთან ცხოვრება აბა რაა!..

ანუსია. ისე შემძულდა, დედი, ის ჩემი ხრონ-ცი ქმარი, ისე შემძულდა, რომ ნეტავი თვალით არ დამანახა.

მატრონა. ეგ ხომ ასეც უნდა იყოს. (ჩუმათ, მიისედ-მოისედ-ვს) ვიყავი იმ ბებერთან წამლისთვის. მომცა, აი, ეს ბანგიაო. ერთი რომ დაალევინო მკვდარსა-ვით ძილად მიაგდებსო, არაფრის სუნი არ უდისო, ძალა კი დიდი აქვსო, დასალევათაც არაა ცუდიო, შვიდჯერ უნდა დაალევინო და გასჭრისო.

ანუსია. ეს არის ის წამალი?

მატრონა. ნიშანი არა დარჩება რაო, მანათი წაიღო, ნაკლებათ არ შეიძლებაო. იცი, ძნელი სა-შოვნია...

ანუსია. ვინ იცის, იქნება რამე საშიშია?

მატრონა. საშიში რა უნდა იყოს, შვილო, ცოდვა მაშინ იქნებოდა, რომ შენი ქმარი მხნეთ იყოს, თვარა ახლა ტყვილად ითვლება მამაკაცთა რიცხვში.

ანუსია. ვაიმე, ვაიმე! მეშინია, დედი, ცოდვა რამე არ გადამეკიდოს! მეშინია მაგის!

მატრონა. განა არ შემიძლია, ისევ უკან წა-ვიღო?

ანუსია. ესეც ისე უნდა გაიხსნას წყალში?

მატრონა. ჩაიში სჯობიაო, არც სუნი აქვს და არც გემო. ჭკვიანი კაცია, იცის.

ანუსია. (გამოაჩთქვს წამალს) ეჰ, ჩემო უბე-დურო თავო! ჯოჯოხეთის ცხოვრება რომ არ მქონ-დეს, განა ამაებს ჩავიდენდი?

მატრონა. მანათი არ დაგავიწყდეს. შეეპირდი ბებერს, შემოგიტან-მეთქი. რას ვერჩით, მონდომებულია ის კაცი!

ანუსია. ამას რა თქმა უნდა (მიდის და წამლებს ინახავს სკივრში).

მატრონა. კარგათ შეინახე, შვილო, არავინ გინახოს. ღმერთმა კი დაგვიფაროს და თუ რამე შეგეხოს, თქვი რომ აბანოს ჭიის ბრალიათქო. (მიაქვს მარეთი) აბანოს ჭიამ იცის. (შესწუვეტს ლაპარაკს).

სცენა XI.

იგინივე, პეტრე და აკიმი.

აკიმ. (შემოდის და სტაბე პირჯვარს იწერს).

პეტრე. (შემოდის და ჯდება) მაშ რა ვქნათ, ბიძია აკიმ?

აკიმ. უკეთესია, ეგნატიჩ, უნდა სჯობდეს, რაქვიან, უკეთესია, ვინიცობაა რომ... გაფუჭდეს იქნება... მინდოდა, რაქვიან, საქმეზე დამეყენებია შვილი, მარა შენ თუ არ გინდა, შენი ნებაა. როგორც ჯობს ისე...

პეტრე. კარგი, კარგი, დაჯექი მოვილაპარაკოთ (აკიმ დაჯდება). მაშ გინდა ცოლი შერთო?

მატრონა. ცოლის შერთვა რა საჩქაროა? ჩვენი გაჭირვება შენც იცი: რა დროს ცოლის შერთვაა, თვითონ ჩვენ შიმშილით ფერდები გვახმება! რა დროს ცოლია?

პეტრე. ისე მოიქეცით, როგორც სჯობია.

მატრონა. ცოლის შერთვა რა საჩქაროა? ეს ხომ მთის მაყვალი არაა, დაჭკნეს.

პეტრე. რატომ? ცოლის შერთვა არაა ცუდი საქმე.

აკიმ. მინდოდა, რაქვიან... იმიტომ, რომ მე, რაქვიან... ქალაქში ხეირიანი საქმე მაქვს...

მატრონა. კაი შენ მოგივა, კაი ხეირიანი საქმე ბინძური ორმოების დაწმენდა იყოს! ამას წინათ რომ დაბრუნდი, გული ამერია და მუცელში არა ჩამრჩენია, ისე მაღლებია პირიდან—ფუი!

აკიმ. მართალია, პირველათ, რაქვიან, ძალიან გეცემა ყუნი, მარა ნელ-ნელა შეეჩვევა კაცი, ყველაფერს შეეჩვევა კაცი, მასთან ხეირიანი საქმეა... სუნზე, რაქვიან, გლეხებს საკვედური არ გვეთქმის, ტანისამოსის გამოცვლა შეიძლება. მინდოდა ნიკიტასთვის ოჯახი ჩამებარებია, მოეარა, რაქვიან, მე ქალაქში ვიშოვნიდი საქმეს.

პეტრე. შვილის წაყვანა შენი ნება, მარა წინდაწინ წაღებული ფულისას რას იტყვი?

აკიმი. ეს მართალია, სწორეთ მართალია... რაკი მოჯამაგირეთ დადექი კაცი, მაშინ თავი გაყიდული გაქვს... დიახ უნდა გაათავოს ვადა.. ჩვენ მხოლოდ აგერ ცოლი გვინდოდა შეგვერთო, ცოტა ხნობით დაითხოვე...

პეტრე. რატომ არა, შეიძლება

მატრონა. ჩვენი საქმე აღტეულია, პეტრე ეგნატიჩ. მე შენ ისე გაგიტყდები, როგორც ღმერთს.

გაგვასამართლე მე და ჩემი ბებერი. დაიჟინა: უნდა შევრთო ცოლი და უნდა შევრთოვო. მერე, ვინ უნდა შერთოს, აბა ერთი ჰკითხე! ხეირიანი ვინმე რომ იყოს, განა მე ჩემი შვილის მტერი ვარ, არ მინდოდეს! მარა გაფუჭებული გოგოა და!

აკიმ. მაგას ცოდვას ამბობ, რას ერჩი იმ გოგოს, რაქვიან, რომ არა დაუშავებია რა! ის კი არა, ჩემი შვილია იმ გოგოსთან დამნაშავე, დიდი დამნაშავეა.

პეტრე. რა დანაშაული აქვს?

აკიმ ისა, რომ ჩვენი ნიკიტა, რაქვიან... ნიკიტა, რაქვიან, პირნათლათ არ არის იმ გოგოსთან.

მატრონა. დაიცა, მე უფრო შაქრიანი ენა მაქვს, მე ვეტყვი. სანამ შენთან დავაყენებდით, ჩვენი შვილი, შენც იცი, რკინის გზაზედ იდგა, ამ დროს გადაეკიდა ერთი ატეხილი გოგო, მარინე, მუშების საჭმელის მკეთებლათ იყო, ახლა ის გოგო ამბობს, რომ თქვენმა შვილმა შემაცდინაო.

პეტრე. ცუდი ამბავია.

მატრონა. გარყვნილი გოგოა, კაცებში დაეთრევა, როსკიპია!

აკიმ. არა, დედაკაცო, რაქვიან, არა, მაგას ტყვილათ ამბობ...

მატრონა. აი, ჩემი ორბისაგან ამის მეტს ვერას გაიგონებს კაცი, რაქვიან და რაქვიანო, და რა არის ეს რაქვიან, თითონაც არ იცის. შენ, პეტრე ეგნატიჩ,

მე ნუ მკითხავ, სხვებისაგან შეიტყვე, ყველა ამას გეტყვის, რომ ის გოგო მაწანწალაა და გაფუჭებული.

პეტრე. (აკიმს) რა კი ასეა, ბიძია აკიმ, რა-ღათ რთავ, ქალამანი ხომ არ არის, ფეხზე გახადო,— რძალია.

აკიმ. (გაცხარდება) ცოდვაა, დედაკაცო, რაქვიან, გოგო ცოდვაა, რას ერჩი, რაქვიან, ძალიან კაი გოგოა, ძალიან გოგოა! მებრალება ის გოგო, მებრალება!

მატრონა. ქვეყნის სატირალს—ერთი დედაბე-რი ტიროდაო! ასეა შენი საქმეც. გოგო გებრა-ლება, და შვილი კი არ გებრალება? თუ გინდა, თვითონ შენ მოიკიდე ის გოგო ზურგზე და იარე. კმარა ბრიყვული ლაპარაკი.

აკიმ. ეს ბრიყვული არ არი!

მატრონა. რას მიედებ-მოედები, მაცალე ვთქვა.

აკიმ. (გაწეკეტინებს) სულაც არ არის ბრიყ-ვული, შენ იმ გოგოს ბედი და შენი საქმე შენე-ბურად გინდა მოაწყო, და ღმერთს კი მისებურად უნდა მოაწყოს, რაქვიაან... ასეა ე'ეც.

მატრონა. აბა შენ რა უნდა გელაპარაკო?

აკიმ. მუშა გოგოა, ჯაფის მოყვარე და ის, რა-ქვიან... ჩვენი სილარიბის გადამკიდე, ჩვენთვის კარგი იქნებოდა, რაქვიან, ის გოგო, ქორწილი იაფად და-გვიჯდებოდა. ყველაზედ უფრო ისაა საანგარიშო, რომ ცოდვაა გოგო, გალანძღულია, რაქვიან, ობო-ლია, საბრალო გოგო, ნამუს ახდილია!

ანუსია. შენ, ბიძია აკიმ, ჩვენ უნდა გაგვიგონო—დედაკაცებს, ეგეები ჩვენ უფრო ვიცით.

აკიმ. მერე ღმერთი? განა ის გოგო ადამის შვილი არ არის?! ისიც ღვთისთვის, რაქვიან, ისეთი ადამიანია, როგორც სხვა. ამაზე რას იტყვი?

მარტა. ააწყვე ჭიანური!

პეტრე. ახლა, ბიძია აკიმ, იმ გოგოებისაც არა დაიჯერება რა, შენი შვილი ცოცხალია, აქ არის ხომ. მოვიყვანოთ და ვკითხოთ საფუძვლიანად, მართალია, ესეები თუ არა. სულს არ წაიწყმენდს. დაუძახეთ ერთი (ანუსია ადგება), უთხარი, მამა გეძახისთქო (ანუსია მიდის).

სცენა XII.

იგინივე, ანუსიას გარდა.

მატრონა. ახლა, ასეც ხომ არ იქნება, თვითონ იმ ბიჭსაც ვკითხოთ. განა ახლანდელ დროში ძალათ ცოლის შერთვევინება შეიძლება? არაფრით არ შეირთავს, არ შეირცხვენს თავს. ჩემის ჭკუით ისა სჯობია, შენთან დარჩეს და გემსახუროს. არც ზაფხულზეა წასაყვანი, შეიძლება ვიქირაოთ ვინმე. შენ ერთი წითელი ქაღალდი მოგვეცი და გყავდეს აქ.

პეტრე. ეგ სხვა საქმეა. ჯერ ერთი გაათავე და შემდეგ მეორე სთქვი.

აკიმ. მე იმას ვამბობ, პეტრე ეგნატიჩ, რაქვიან, კაცი შენს საქმეს იკეთებ და ღმერთი კი გავიწყ-

დება; გგონია, სჯობია შენს თავზე იზრუნო, მაგრამ უარესათ მოგივა საქმე. ულვთოთ საქმე არ გაკეთდება.

პეტრე. ვინ ამბობს: ღმერთი, რასაკვირველია, უნდა გახსოვდეს კაცს!

აკიმ. თვალის დასანახავათ რომ თითქო უარესიც იყოს, მარა თუ ღვთისა და კაცის კანონის თანახმათ ირჯები, უფრო გიამება. რაქვიან, ვფიქრობდი: შვილს ცოლს შევრთავ, ცოდვას გადავარჩენ მეთქი. ის, რაქვიან, შინ უნდა ყოფილიყო, მე კი ქალაქში რამეს ვიშოვიდი. საქმე სასიამოვნოა, მოსაგები. თუ ღმერთს ახსენებს კაცი, ასე სჯობდა. ობოლია საწყალი. ამ ზაფხულზე ამ გვარათ მოურავს შეშა მოპარეს, იფიქრეს, მოვატყუებთო. მართალია მოურავი მოატყუეს, მაგრამ ღმერთი კი ვერ მოატყუეს, რაქვიან, მერე ხომ...

სცენა XIII.

იგინივე, ნიკიტა და ანიკო.

ნიკიტა. მეძახოდით? (დაჯდება და თუთუნს მოიძებნის).

პეტრე. (წყნარა. საყვედურის კილოთი) როგორ ირჯები, განა წესი არ იცი! მამა გეძახის და შენ კი თუთუნით იქცევ თავს და დამჯდარხარ! ადე, აქ მო! (ნიკიტა მაგიდასთან დადგება, თამბაქი სასით დაებჯინება მაგიდას და იღიმება).

აკიმ. ახლა, ბიჭო, შენზე, რაქვიან, საჩივარია, საჩივარია ნიკიტა...

ნიკიტა ვინ მიჩივის?

აკიმ, ვინა? ვინა და ის ობოლი გოგო, მარინე, ის გიჩივის.

ნიკიტა. (იცინი) ახირებულია, ღმერთმანი. აბა რას მიჩივა? მერე შენ ვინ გითხრა; თვითონ იმან თუ?

აკიმ. მე ახლა ვიძიებ, რაქვიან, შე კი უნდა მიპასუხო. პირობა მიგიცია შენ იმ გოგოსთვის? მიგიცია თუ არა პირობა?

ნიკიტა. ვერ გამიგია კარგათ—რას მკითხავთ?

აკიმ. თუ რამე სიბრიყვე მოგივიდა იმ გოგოსთან, რაქვიან, სიბრიყვე, სიბრიყვე რამე, გესმის?

ნიკიტა. მერე რა მოხდა მაგისთანა! მზარეულ გოგოსთან, რომ მოგწყინდება კაცს, გაიხუმრებ, მუზიკასაც დაუკრავ, ისიც იცეკვებს. სხვა რა სიბრიყვე იქნებოდა.

პეტრე. შენ, ნიკიტა, ბანზე სიტყვას ნუ აგდებ, მშობელი მამა რასაც გეკითხება, იმის რიგიანი პასუხი სთქვი.

აკიმ. (მსიშკნელ.ბით) ნიკიტა! კაცს რომ დაუმალო, ღმერთთან ვერ დამალავ, ტყვილი არ გაბედო, რაქვიან, გესმის! ობოლია ის გოგო, ცოდვაა. შენ, ისა სჯობია, სთქვი რაც იყო.

ნიკიტა. რა უნდა ვსთქვა, რაც არა ყოფილა. ყველაფერს ვამბობ, მარა რომ არაფერი მაქვს სათ-

ქმელი. (გაცსარდება) ის რას არ მოიგონებს!.. მერე, თედოზე არა უთქვამს რა? ეს რაღა უბედურობაა, გახუმრებაც აღარ შეიძლება ამ დროში? ის რას არ მოიგონებს!

აკიმ. ნიკიტა, გახსოვდეს! სიცრუე თავს არ დაიმალავს. მოხდა თქვენ შორის რამე, თუ არა?

ნიკიტა. (გაბრაზებული) რა ასე ჩამაცივდენ მართლა. ვამბობ, რომ არა ვიცი რა მეთქი. არაფეი ცუდი იმ გოგოსთან არ შემმთხვეევია. (გაწყრომილი) გეფიცები ღმერთს, აქვე გამისკდეს მიწა (ბირკვარს იწყარს), თუ რამე ვიცოდე. (სიჩუმე. ნიკიტა სულ ფიცსობს). როგორ? ის გოგო მართლა გინდათ შემრთოთ თუ? ხუმრობაა, თუ რა არი! ნამდვილი სკანდალია, ახლა ის დრო აღარ გახლავს, ძალათ რომ ცოლი შემრთოთ! აკი დავიფიცე, არაფერი ვიცი მეთქი.

მატრონა. (ქმარს) ვაი, შე უბედურო, სულელო, შე ვირის თავო, რასაც გეტყვიან, განა ყველაფერი უნდა დაიჯერო? რას ერჩი ამ ბიჭს, რომ არცხვენ? ამას ისა სჯობია, როგორცა დგას, ისევე დარჩეს პატრონთან, ახლა კი პეტრე ერთ თუმანს მოგვცემს და როცა დრო მოვა...

პეტრე. მაშ რას იტყვი, ბიძია აკიმ?

აკიმ. (შვილისაკენ მიიხედავს და ენას გაწყლაკუნებს) გახსოვდეს, ნიკიტა, დაჩაგრული ცრემლი, რაქვიან, დამჩაგვრელსვე დაეცემა თავზე, გახსოვდეს, ვინიცობაა რომ...

ნიკიტა. მე რა უნდა მახსოვდეს, შენ თვითონ გახსოვდეს. (დაჯდება).

ანიკო. წავალ, დედას შევატყობინებ (გარბის).

სცენა XIV.

პეტრე, აკიმ, მატრონა და ნიკიტა,

მატრონა. (პეტრეს) აი ასეთია, ბატონო პეტრე, ეს უბედური. აიჟინებს რასმე, და მერე ვერაფრით ველარ გადაათქმევინებს კაცი! ტყვილა უბრალოთ შეგაწუხათ. როგორც აქამდე იდგა ჩვენი ბიჭი თქვენსა, შემდეგაც ისე დარჩეს. გყავდეს შენი მოსამსახურე.

პეტრე. აბა ახლა რას იტყვი, ბიძია აკიმ!

აკიმ. მაგის ნება იყოს, რაქვიან, ოღონდ მინდოდა, რომ, რაქვიან, მინდოდა, რაქვიან, რომ არ...

მატრონა. თითონაც არ იცი, რას როშავ. იდგეს აქ, როგორც მდგარა, ბიჭსაც არ უნდა მოშორდეს ამათ. ან ჩვენ რათ გვინდა, თვითონაც კმარვართ ოჯახში.

პეტრე. ერთი რამე უნდა გითხრა, ბიძია აკიმ, თუ ამ ზაფხულს წაიყვან, ზამთარში აღარ დავიბრუნებ. თუ დადგება, მთელი წლით უნდა დადგეს.

მატრონა. დიახ წლით უნდა დაქირავდეს, ჩვენ თუ მუშა დაგვჭირდა, დავიქირავებთ, ბიჭი კი შენთან დარჩეს. ოღონდ ახლა ერთი თუმანი უნდა მოგვცე.

პეტრე. მაშ კიდევ ერთი წლით? არა?

აკიმ. (ამოიხვნეშებს) სჩანს ასე უნდა იყოს, რა-ქვიან, რაკი ასეა, მაშ სჩანს, რაქვიან...

მატრონა. დიმიტრობის შაბათიდან ერთ წლამ-დი უნდა იქნეს. ფასზე გულს ნუ დაგვაკლებ. ახლა კი ერთი თუმანი გვიწყალობე (ადგება და თაყ-ვანსა სცემს).

სცენა XV

იგინივე, ანუსია და ანიკო.

ანუსია. (განზე დაჯდება).

პეტრე. რაკი ასეა, მაშ კარგი. შევიდეთ დუ-ქანში და ერთი გადავკრათ. წავიდეთ, ბიძია აკიმ, ერთი ჭიქა არაყი დავლიოთ.

აკიმ. არა ვსვამ, არა ვსვამ მაგ არაყს.

პეტრე. მაშ ჩაი დალიე.

აკიმ. ჩაის, რატომ არა, ჩაის დიახ დავლევ.

პეტრე. დედაკაცებიც დალევენ ჩაის. შენ კი, ნიკიტა თვალ ყური გეჭიროს: ცხვრებს საბალახე მოუცვალე და ბზეს მოუარე.

სცენა XVI.

ნიკიტა მატრონა.

ნიკიტა (ჰაპირიზს მოწევს). ერთი ნახეთ რა ნაირაირათ ჩამაცივდენ: თქვი და თქვი, როგორ

იქეიფე გოგოებთანო. ეს ამბავი რომ დამეწყო, შორს წამიყვანდა. შეირთეო. ყველა თუ შევირთე, მაშინ რამდენი ცოლი უნდა მყავდეს?! ძალიან საჭიროა ცოლის შერთვა. უამისოთაც ცოლიანეზბე უკეთ ვატარებ დროს, ჩემს ბედს ისეც ნატრულობენ სხვები! მარა რა მომივიდა, ხატზე რომ დავიფიცე, თითქოს ვიღაცამ ხელი მკრა მაშინ. ძარღვები ჩამაწყდა ჯულში, ამბობენ ტყუილზე ფიცი ცუდიაო, მარა ესეები სულ სიბრიყვეა, ლაპარაკობენ რაღა.

სცენა XVII.

ნიკიტა და აკულინა.

აკულინა. (შემოდის სათფურ ჩაცმული, თოკს ადებს. გაიძრობს და სკუჭნაოში მიდის) ერთი აგენთო მაინც სანათი.

ნიკიტა. შენ გიყურო თუ? განა ისედაც არ გხედავ?

აკულინა. კარგი ერთი!

სცენა XVIII.

იგინივე და ანიკო.

ანიკო. (შემორბის და უურში ეჩურჩულება ანიკოს) ნიკიტა, წამოდი მალე. საჩქაროთ გეძახიან.

ნიკიტა. ვინ მეძახის?

ანიკო. მარინე რომ არის რკინის გზაზე, ჭიშ-კართან გელის.

ნიკიტა. მართლა?

ანიკო. ღმერთს გეფიცები.

ნიკიტა. მერე, რა უნდა?

ანიკო. გხმობილობ'ს, ერთი სიტყვა მინდა ვუთხრაო ნიკიტას. ვკითხე, რა გინდა-მეთქი, მარა არ მითხრა. ის კი მკითხა, მართლა მიდის თქვენ-განო!—მე ვუთხარი—არა-მეთქი, მამას კი უნდო-და შინ წაეყვანა და ცოლი შეერთო, მაგრამ არ და-თანხმდა და ერთ წელიწადს კიდევ დარჩა ჩვენსა მეთქი. მაშინ მითხრა: მიმადლე შენს ღმერთს—გამოიყვანე ერთი აქაო, სიტყვა მაქვსო სათქმელი. დიდი ხანია გიცდის. წადი, ნახე!

ნიკიტა. იმისი თავი არა მაქვს ახლა, სად უნდა წავიდე?

ანიკო. ასე სთქვა: თუ არ მნახა—მე თვითონ მივალ, ვნახავო.

ნიკიტა. არა უშავს... მოიცდის, მოწყინდება და წავა.

ანიკო. ამბობს: განა აკულინა უნდა შერთონო?

აკულინა. (მოდის ნიკიტასთან ჩერიასსთვის) ვის უნდა შერთონ აკულინა?

ანიკო. ნიკიტას.

აკულინა. დიახ ერთი! მერე ვინ ამბობს ამას?

ნიკიტა. ალბათ ამბობენ (უმზერს და იცინის) აკულინა, გამყვები?

აკულინა. იქნება ადრე გაგყოლოდი, ახლა კი არა!

ნიკიტა. რატომ არ გამყვები ახლა?

აკულინა. იმიტომ რომ არ გეყვარები.

ნიკიტა. რატომ არ მეყვარები?

აკულინა. ნებას არ მოგცემენ, (იცინის).

ნიკიტა. ვინ დამიშლის?

აკულინა. ვინ და ჩემი დედი-ნაცვალი. ის სულ ავ გუნებაზეა, სულ შენ გადევნებს თვალს.

ნიკიტა. (იცინის) დახე ამას! ძალიან დაკვირვებია გცოდნია.

აკულინა. განა ბრმა ვარ? დღეს საცოდავ მამას მისდგა და ისეთი ყოფა დაუთია, რომ... როკაპია, ნამდვილი, ის დრუნჩიანი (მიდის საკუჭნაოში).

ანიკო. ნიკიტა, მოიხედე! (იყურება სარკმელში). მოდის. ღმერთს გეფიცები, ისაა. მე დაგტოვებთ. (მიდის).

სცენა XIX.

ნიკიტა, აკულინა საღუჭნაოშია **და მარინე.**

მარინე. (შემოდის) რას მიპირობ, ბიჭო?

ნიკიტა. რას გიპირობ? არაფერს.

მარინე. გინდა გამაგდო?

ნიკიტა. (გაჯავრებული ადგება) აბა რა გინდოდა, რომ მოხვედი?

მარინე. ჰეი, ჰეი, ნიკიტა?

ნიკიტა. ახირებული ხართ, ღმერთმანი, აბა რასთვის მოხვედი!

მარინე. ნიკიტა!

ნიკიტა. მერე რა გინდა, ნიკიტა და ნიკიტაო, რომ იძახი. ვერ მხედავ განა ვინცა ვარ? აბა რა გინდა, (თქვი? გეუნები, გასწი მეთქი.

მარინე. გეტყობა გინდა დამაგდო, გინდა დამივიწყო, არა?

ნიკიტა. რა უნდა მახსოვდეს? თვითონ არ იცი..! აკი გამომიგზავნე ანიკო, მიხმე, ხომ არ მოვედი. მაშ, სჩანს არ მჭირიხარ, გესმის? მომშორდი თავიდან!..

მარინე. არ გჭირივარ? ახლა აღარ გჭირივარ? დავიჯერე, რომ გეყვარებოდი. ვეღარ მნახე და იმიტომ აღარ გინდებვარ!!

ნიკიტა. არაფერს არ გავს შენი ლაპარაკი! სულ ტყვილა ხარჯავ სიტყვას. შენ მამაჩემსაც დამასმინე. გამშორდი, მიმადლე შენს ღმერთს!

მარინე. თვითონ იცი, შენს გარდა არავინ მყვარებია, შემირთავდი, თუ არა, ეს შენი ნება იყო, რათ დაგემდურებოდი. მარა გული იმაზე მწყდება, რომ შეგძულდი. რა დამიშავებია შენთვის, აბა რა?

ნიკიტა. ბევრი ლაპარაკის თავი არა მაქვს, აღარ წახვალ, ადამიანო!

მარინე. ის კი არ მტანჯავს, რომ მომატყუე, შემპირდი და აღარ შემირთე, არა, ისა მკლავს, რო- შემიძულე და სხვაში გამცვალე!

ნიკიტა. (მრისხანეთ მიეკა მარინესთან). ქალებთან ლაპარაკი აბა რა ხელს მომცემს! გამშორდი, გეუბნები, თვარა ცუდ საქმეს ჩამადენინებ!

მარინე. ცუდსა? მცემო გინდა, თუ? მაშ კარგი—მცემე! რას იბრუნებ განზე მაგ ცხვირპირს? ჰეი, ჰეი, ნიკიტა!...

ნიკიტა. რასაკვირველია ცუდია, მაშ რა სახელია ეგ ჩემთვის? შემოგვესწრებიან. ტყვილა აბა რათ უნდა ვილაპარაკოთ?

მარინე. მაშ, მორჩა, გათავდა, რალა, გაქრა, რაც მოხდა ჩვენს შორის! მიბრძანებ დაგივიწყო? აბა გახსოვდეს, ნიკიტა! მე ჩემ ქალიშვილობას თვალის კაკალსავით ვინახავდი. დამღუპე სულ ტყვილა უბრალოთ. შემაცდინე! არ დამინდვე ობოლი! (ტირის) მივატოვე! დამღუპე ხომ, მარა ცუდი მაინც არ მინდა შენთვის! ღმერთმა გაპატიოს! თუ უკეთესს შეხვდები—დაგავიწყდები და თუ უარესს გაგახსენდები. გაგახსენდეპი, ნიკიტა! რაკი ასეა—მშვიდობით! როგორ მიყვარდი, ბიჭო! უკანასკნელად გემშვიდობები (უნდა მოესვიოს).

ნიკიტა. (დაუსსლტება სკლიდან). კარგი ერთითავი დამანებე! რა კი არ მიდიხარ, მე თვითონ მოგშორდები, დარჩი აქ მარტო.

მარინე. (შეკივლებს) აი, შე მხეცო! (კარებში) გახსოვდეს, ღმერთი სიკეთეს არ დაგაყრის!

სცენა XX.

აკულინა; (საკუჭნაოდან გამოდის) შენ, ნიკიტა, კაცი კი არა, ძაღლი ყოფილხარ!

ნიკიტა. რათა?

აკულინა. რა რიგათ აბღავლდა საბრალო?

ნიკიტა. შენ რაღა გინდა?

აკულინა. ისა, რომ ცოდვაა! დაგიჩაგრავს! მეც მასე გამახეიბრებ შენ და დამჩაგრავ... შე ძაღლო შენ!.. (შედის საკუჭნაოში).

სცენა XXI.

ნიკიტა მარტო.

ნიკიტა. (ჩუმად) მოდი ახლა და ნუ იქნები ფრთხილად! მიყვარს ქალები, ისე როგორც თაფლი, მარა ცოდვას რომ ჩავიდენ მათთან — მაშინ კი ხათაბალაა!..

ფ ა რ დ ა.

მოქმედება მეორე

მოქმედნი პირნი.

პეტრე, ანუსია, აკულინა, ანიკო, ნიკიტა, მატრონა, ნათლიდედა—(მეზობელი) **და ხალხი.**

სცენა წარმოადგენს ქუჩას და პეტრეს სახლს. მარცხნით ორთვალი სახლია, რომელსაც შუაზე აივანი აქვს. მარჯვნით ჭიშკარი და ეზოს ერთი კუთხე. ეზოს ყურში, ანუსია სელს წეწავს. პირველ მოქმედებას შემდეგ გასულია ექვსი თვე.

სცენა I.

ანუსია მარტო.

(შეჩერდება და ყურს უგდებს) კიდევ რაღაცა ბურდღულია, უთუოთ ფეჩიდან ჩამოვიდა.

სცენა II.

ანუსია და აკულინა.

(მსარზე წყლის ჭურჭელ გადადებული შემოდის).

ანუსია. იძახის, წადი, ნახე, აბა რა ურდა? გესმის, როგორ ბღავის?

აკულინა. შენ კი რაღას აკეთებ?

ანუსია. გეუბნები, წადი მეთქი! (აკულინა სასახლეში შედის).

სცენა III.

ანუსია მარტო.

ანუსია. დამანელა სწორეთ, რომ არ ამხელს, ფული სადა აქვს შენახული! არ თქვა და არა! ეშინია, ვერ ელევა. ოღონდ ერთი მივაგნო, გუშინ ტანზე არ ჰქონდა! რომ ალარ ვიცი, სად აქვს! გამტანჯა ამდენის ძებნით!

სცენა IV

ანუსია და აკულინა.

(გამოდის და თაკსაფარს ისვეკს)

ანუსია. საით მიდიხარ?

აკულინა. საით? მიბძანა, ჩემი და მართა აქ მომიყვანეო. ვკვდები და მინდა რამე დავუბაროო.

ანუსია. (თაკისთვის). დას იბარებს, დავიღუპე, დავიღუპე, სწორეთ! ვაიმე, ვაიმე! ალბათ უნდა გადასცეს. რა მეშველება! ვაიმე! (აკულინას) დაბრუნდი! სად მიხვალ?

აკულინა. მამიდასთან.

ანუსია. ნუ მიდიხარ, გეუბნები, მე თვითონ წავალ. შენ კი სარეცხი წაიღე ღელეზე, თვარა საღამომდი ვერ გაათავებ.

აკულინა. კი, მაგრამ მამამ რომ მიბრძანა?

ანუსია. შენ საითაც გგზავნიან, იქ წადი! გეუბნები, რომ თვითონ წავალ მართას მოსაყვანათ მეთქი. პერანგები ჩამოიღე ლობიდან.

აკულინა. პერანგებიო? შენ არ წახვალ, მე კი მიბძანა.

ანუსია. წავალ, ადამიანო! ანიკო სად არის?

აკულინა. ანიკო ხბოებს წყესავს.

ანუსია. აქ გამოგზავნე (აკულინა მოკრუბს სარეცხს და მიდის).

სცენა V.

ანუსია მარტო.

ანუსია. არ წავიდე, გინებას დაიწყებს, წავიდე და, იმ ფულებს დას გადასცემს. ჩამიარა ამდენმა მეცადინობამ. რომ არ ვიცი, რა ვქნა! ლამის თავი გამისკდეს! (განაგრძობს მუშაობას).

სცენა VI.

ანუსია და მატრონა.

(შემოდის, ჯოხი და სამგზავრო ბოსჩა სელში უჭირავს).

მატრონა. ღმერთი გწყალობდეს, ჩემო გვრიტო,

ანუსია. (მიისედავს, თავს ანებებს სელ-საქმარს და სისარულით ტაშს დაუკრავს). სულ არ გელოდი ბიცოლა. სწორეთ თვითონ ღმერთმა მოგიყვანა ახლა აქ?

მატრონა, რა ამბავია?

ანუსია. ლამის გავგიჟდე, უბედურებაა!

მატრონა. ცოცხალია კიდევ?

ანუსია. ნულარ კითხულობ! არც მოკვდა და არც დარჩა!

მატრონა. ფული ხომ არავისთვის გადაუცია?

ანუსია. ამ წამში დას იბარებდა, მართას. ალბათ ფულის თაობაზე.

მატრონა. უთუოთ. სხვა ვისთვისმე ხომ არ გადაუცია?

ანუსია. არავისთვის. ქორიევით ვდარაჯობ.

მატრონა. მერე, სადა აქვს ფული?

ანუსია. არ ამბელს. ვერ შევიტყვე ვერა გზით, დამარხული აქვს უთუოდ სადმე. აკულინასიც მეშინია. სულელია, მაგრამ თვალ-ყურს მაინც მადევნებს, მდარაჯობს. ეჰ, რა რიგით გავწვალდი!

მატრონა. თუ ფულები დაგეკარგა, მერმე მთელი შენი სიცოცხლე უნდა დაჯდე და იტირო. სახლიდან გაგაგდებენ პერანგის ამარა! მთელი შენი ცხოვრება უგემურათ გაატარე ქმართან. არ გიყვარდა და ახლა ქვრივ-ოხერი ზურგზე ტომარმოკიდებული უნდა გაუდგე გზას!

ანუსია. ნულარ მელაპარაკები, დეედა მომინელა ამ საქმემ! გული დამიდნო! არც ვიცი, რა ვქნა, ვის დავეკითხო! ნიკიტას ვუთხარი, მაგრამ ამ საქმეში გარევის ეშინია. ის კი მითხრა, რომ ფული იატაკს ქვეშ აქვსო შენახული.

მატრონა. მერე, მიაგენი?

ანუსია. რას ამბობ! თვითონ იქ არის. ეხედავ, ხან თან ატარებს, ხან მარხავს.

მატრონა. გახსოვდეს, ქალო, რაკი ერთხელ საქმეს ხელიდან გაუშვებ, მერე შენს დღეში ვეღარ მოაბრუნებ! (ჩუმათ) მუქი ჩაი თუ დაალევინე!

ანუსია. ოოოო... (უნდა ჰასუსი მისცეს, დაინახავს მეზობელ ქალს და გაჩუმდება).

სცენა VII.

იგინივე და ნათლიდედა.

(გაიცლის სასლის გვერდით, დაკვირდება სმას, რომელიც სასლიდან ისმის. ანუსიას).

ნათლიდედა. ქალო, ანუსია, ანუსია! მგონი შენი ქმარი გიძახის!

ანუსია. არა, ახველებს,—ისე ახველებს თითქო ყვირისო, ძალიან ცუდათაა.

ნათლიდედა. გამარჯობა, ბები. საიდან მოსულხარ?

მატრონა. შინიდან, ჩემო კარგო. შვილის სანახავათ მოვედი. პერანგები მოვუტანე. რა ვქნა, ჩემს ღვიძლზე ნადებია, მებრალება.

ნათლიდედა. დიახ, მართალია. მინდოდა — ხამი შემეღება, მაგრამ ჯერ ადრეა, არ დაუწყიათ.

ანუსია. რა საჩქაროა?

მატრონა. შეატყობინეთ?

ანუსია. როგორ არა. გუშინ იყო მღვდელი.

ნათლიდედა. გუშინ რომ ვნახე, გამიკვირდა, ვამბობ: რაში უდგია სული მეთქი? სულ დალეულა. ამას წინათაც ძლივს გააწია, წესის ასაგებათ იყო. გამოიტირეს და გაბანას უპირებდენ.

ანუსია. ახლა გამოცოცხლდა, ადგა. ოღონდ აღერღილათ კი დადის!

მატრონა. ზეთს არ უკურთხებინებთ?

ანუსია. კი გვირჩიეს, თუ ხვალემდი გააწია, გვინდა მღვდელი დავიბაროთ.

ნათლიდედა. გაგიჭირდა, უთუოთ, შე საბრალო? ტყვილათ კი არაა ნათქვამი: ის კი არ არის ცოდვა, ვინც ავათ არის, ცოდვა ისაა, ვინც ავათ მყოფს უვლისო.

ანუსია. ერთი რამე გადაწყვეტილიყო მაინც!

ნათლიდედა. ხუმრობაა, მთელი წელიწადი მომაკვდავათ ლოგინზე გდება! დაბორკილი ხარ ადამიანი.

მატრონა. დაქვრივებაც ცუდია. ახალგაზდობაში კიდევ რა გაეწყობა, მოხუცებულს კი ვინ შეიბრალებს, ცუდია სიბერე. თუ გინდ ჩემი საქმე ახლა. რა ბევრი გზა მე გამოვიარე, მაგრამ დავიღალე, აჯა აღარ მაქვს... სადაა ჩემი შვილი?

ანუსია. ყანაშია, ხნავს, შემოდი, რას უყურებ? სამოვარი დავდგათ და ჩაით ცოტა სული მოვიბრუნოთ.

მატრონა. (დაჯდება) მართლა რომ დავიღალე, ჩემო კარგებო. ზეთი უთუოთ უნდა უკურთხებინოთ, ამბობენ სულს მოუხთებაო.

ანუსია. ხვალ მოვაყვანინებთ მღვდელს.

მატრონა. დიახ სჯობია. ჩვენ ქორწილი გვქონდა.

ნათლიდედა. ამ გაზაფხულზე? რა დროსი იყო?

მატრონა. ტყვილათ კი არ ირის ნათქვამი: ღარიბი მაშინ შეირთავს ცოლს, როცა ღამე დამოკლდებაო. სიმონმა მარინე შეირთო.

ანუსია. კარგ ბედს არ გადაყრია!

ნათლიდედა. ქვრივი იყო და ალბათ შვილების მოსავლელათ აიყვანა.

მატრონა. ოთხი შვილი ხუმრობაა! რომელი ხეირიანი ქალი გაყვებოდა! იმ ქალს კი ძალიან გაუხარდა. დალიეს, მოილხინეს.

ნათლიდედა. მოდი უყურე ერთი! ამბობდნენ, შეძლებული გლეხიაო.

მატრონა. რა უკირთ.

ნათლიდედა მართალია, შვილებიან კაცს აბა ვინ გაჰყვება. აი თუნდა ჩვენი მიხეილი ნამდვილი გლეხია...

გლეხის ხმა. ჰეი, მავრა, სად ეშმაკში ხარ? გამოდი, ძროხა შემოდენე, (მეზობელი გადის).

სცენა VIII.

მატრონა. (მეზობლის წასვლამდი დამშვიდებულის სმით ლაპარაკობს) გათხოვდა. ახლა მაინც თავს დაანებებს ნიკიტას ჩემი სულელი (უეცრათ სმას გამოიცვლის და ჩურჩულით ეტყვის) წავიდა! ჩაი თუ დაალევინე?

ანუსია. ნულარ გამახსენებ. ისა სჯობდა თავი-

სით მომკვდარიყო. მაინც, რომ არ კვდება: ტყვილათ ვიკისრე ცოდვა, ვაიმე, რაღა მეშველება! რათ მაძლევდი იმ წამალს?

მატრონა. წამალს? ის წამალი ხომ დასაძინებელია; რას აწყენს? რატომ არ უნდა დაგელევინებინა? არ აწყენს!

ანუსია. მე დასაძინებელ წამალზე კი არ ვამბობ! აი თეთრი წამალი რომ იყო, იმაზედ გელაპარაკები.

მატრონა. ის წამალი, ჩემო ლამაზო, მოსახდენია.

ანუსია. (ამ ოინებს) ვიცი, მაგრამ მეშინია, დამანელა მე იმისმა ზაფრამ.

მატრონა. ბევრი ჩაუყარე?

ანუსია. ორჯერ დავალევინე.

მატრონა. მერე არ იმოქმედა?

ანუსია. მე თვითონ გავშინჯე ჩაიში, ცოტა მომწარო იყო. მან კი დალია ჩაიში და თქვა: ჩაიც კი შემძაგდაო. მე ვუპასუხე, ავათმყოფს ყველაფერი მწარეთ ეჩვენება-მეთქი. რა რიგათ შემეშინა. ბიცოლა, რომ იცოდე!

მატრონა. ნუ გეშინია. რომ დაფიქრდები, უარესია.

ანუსია. ნეტავ სულაც არ მოგეცა და ცოდვაში არ შეგეყვანე. რომ გამახსენდება, სული მეხუთება. აბა, რათ მაძლევდი?

მატრონა. დამიფარე, ღმერთო! როგორ? მე

გინდა გადმომაბრალო თუ? შენს ცოდვას მე მიპირობ თავზე მოხვევას? თუ რამე ამბავი შედგა, იცოდე, მე შუას არ ვიქნები: არც ვიცი და არც გამიგია რამე მეთქი, ასე ვიტყვი. ხატზე დავიფიცებ, რომ არაფერი წამალი არ მიმეცეს, არც მენახოს და არც გამეგონოს რამე წამალი. აბა შენ თვითონ იფიქრე, ამას წინათ ვამბობდი შენზე, დანელდა ის საბრალო, გერი სულელი ჰყავს, ქმარი ხომ დამპალია, ამ გვარ გამწარებულ ცხოვრებაში ადამიანი რას არ იფიქრებს მეთქი.

ანუსია. დიახ არ ვუარობ, ჩემს ადგილს სხვა ასეთს საქმეს ჩაიდენდა კი არა, ან თავს მოიკლავდა, ან დაახჩობდა იმ ჩახჩუებულს. განა ჩემი სიცოცხლე სიცოცხლეა?!

მატრონა. მართალს ამბობ, შენმა გაზდამ! მარა ფულს მაინც დაძებნა უნდა და ჩაიც დაალევინე.

ანუსია. ვაიმე დედა, დედა! ახლა აღარ ვიცი, რა ვქნა? შიშიცა მაქვს! ნეტავი თვითონ მომკვდარიყო. არ მინდა ცოდვაში გავერიო.

მატრონა. (ჯულ მოსული). აბა რათ მალავს ფულებს? საფლავში ხომ არ უნდა ჩაიტანოს? განა კარგია ესა? მერე, ამდენი ფული ტყვილა უნდა დაიკარგოს! ცოდვა არ არის! აბა რას აპირობს? განა ასე უნდა შეაჩერდე?

ანუსია. თვითონაც არ ვიცი, რა მეშველება, დამანელა სულ-ძალლმა!

მატრონა. როგორ თუ არ იცი? ცხადია, ფუ-

ლი ახლა თუ ვერ იგდე ხელში, ბოლოს ინანებ. ველარ მიეწევი წასულ საქმეს! ფულს თავის დას გადასცემს და მერე უყარე კაკალი!

ანუსია. დაიბარა კიდეც, უნდა წავიდე, მოვიყვანო.

მატრონა. დაიცა. რა გეჩქარება. ჯერ სამოვარი გააჩალე, ჩაი დავალევინოთ და მერე ფული ორივემ დავძებნოთ? მივაგნებთ, ფიქრი ნუ გაქვს.

ანუსია. ვაიმე, ვაიმე! რამე უბედურობა არ დაგვემართოს!

მატრონა. მაშ ვიცადოთ ასე? რას უნდა ვუცადოთ? იმ ფულს ტყვილა დასუნავ და გაგიქრება ხელიდან, გაბედე, ნუ გეშინია!

ანუსია. აბა კარგი, წავალ, სამოვარს დავადგამ.

მატრონა. წადი, ჩემო ლამაზო, წადი და საქმე კარგათ, გააკეთე მერე რომ სანაღვლოთ არ გაგიხდეს. აბა (ანუსია მიდის, მატრონა მოაბრუნებს) იცოდე, ნიკიტას არაფერი უთხრა, ცოტას მოიბრიყვებს, ღმერთმა ნუ ქნას, წამლის ამბავი რომ გაიგოს. ვინ იცის, რას არ ასტეხს, საწყალი გულისაა. ქათამი არ დაუკლავს თავის დღეში! არ გაუმხილო რასმე გადაგვკიდებს, ვერ გასჯის (შეშინებული შედგება. კარებში პეტრე გამოჩნდება).

სცენა IX.

იგინივე და პეტრე.

(კედელს მოუყვება, ძლივს აიკანწე გამოდი დას სუსტის ხმით იძახის).

პეტრე. რა არი, ერთი აღარ მომხედეთ! ოოჰ! ანუსია, ვინ არის მანდ? (დაეცემა სკამ-ლოგინზე).

ანუსია. (გამოვიდის) რას აფორთხებულხარ აბა, წოლილიყავი იმ ლოგინზე, სადაც იწევი.

პეტრე. რა ჰქენით, გამიგზავნეთ გოგო მართასთან? ოჰ, გავიტანჯე, ბარემ სიკვდილი მღირსებოდა.

ანუსია. არ ეცალა, ღელეზე იყო. დამაცადე ცოტა, მე თვითონ წავალ.

პეტრე. ანიკო გაგზავნე. სად არის? მოვკვდი! გათავდეს ბარემ, მოვიდეს ეს სიკვდილი!

ანუსია. გავგზავნე კიდეც შენს დასთან.

პეტრე. ოოჰ! მერე სად არის ამდენს ხანს?

ანუსია. სადაა და შინ. წელკავმა კი მოუაროს!

პეტრე. ოჰ! აღარა მაქვს ღონე, ცეცხლი მომეკიდა გულ-ბოყვში, ბურღივით მბურღავს რაღაცა, რა არი, ძაღლსავით რომ დამაგდეთ მარტო! წყალის დამლევინებელიც არავინა მყავს! ოოჰ, ანიკო გამოგიგზავნეთ...

ანუსია. აი აგერაა. წადი მამასთან.

სცენა X.

იგინივე და ანიკო.

(შემორბის. ანუსია მიდის).

პეტრე. წადი დეიდა მართასთან და უთხარი, მამა გიძახის, საქმე აქვს თქო.

ანიკო. კარგი.

პეტრე. დაიცადე. უთხარი საჩქაროთ მოვიდეს,

საჩქაროთ, ვკვდებითქო, ოოჰ!..

ანიკო. თავსაფარს მოვიხვევ, ამ წამში წავალ. (კარბის).

სცენა XI.

პეტრე, ანუსია და მატრონა.

მატრონა (იკალს უქნეს) აბა გახსოვდეს, ქალო, შენი საქმე. შედი სახლში და ყველაფერი დააბუჯურე. დაძებნე ისე, როგორც ძაღლი რწყილს ეძებს არაფერი დაგრჩეს გაუსინჯავათ. მე კი თვითონ მას დაუხედავ ტანზე, თუ სადმე აქვს.

ანუსია. (მატრონასს) არა, ერთათ სჯობია. შენთან უფრო გაბედულათ ვიქნები. (მიდის ივანთან. ჭეტრეს) იქნება სამოვარი გინდა დაგიდგა? ბიცოლა მატრონაც აქაა. შვილთან მოვიდა და ერთათ დალიეთ ჩაი.

პეტრე. კარგი, დადგი (ანუსია გადის).

სცენა XII.

პეტრე და მატრონა.

(მატრონა ივანთან მიდის).

პეტრე. გამარჯობა.

მატრონა, გაგიმარჯოს, ჩემო ბატონო, გაგიმარჯოს, ჩემო თვალის სინათლეო! გეტყობა, უნდომათა ხარ. რომ შეიტყო, რა რიგათ შესწუხდა ჩემი ქმარი, წადი გაიგე, როგორ არისო, გამომგზავნა. მოკითხვა შემოგითვალა. (კიდევ უკრავს თავს).

პეტრე. ვკვდები.

მატრონა. უიმე, უიმე! როგორ დალეულხარ, მოგიკვდა ჩემი თავი, ჩემს მტერს ჩაუდგა სნეულება ტანში!

პეტრე. მომიწია სიკვდილის დღემ.

მატრონა. რა ვუყოთ, ბატონო, ყველაფერი ღვთის ნებაა. მითხრეს, ზეთი უნდა გიკურთხონ. კარგია. შენი დედაკაცი ჭკვიანია, რიგიანათ დაგმარხავს, ქელეხსაც კარგს გაგიმართავს და პატივის ცემას არ დაგაკლებს. ჩემი შვილიც, სანამდი საჭირო იქნება, იმეცადინებს ოჯახში.

პეტრე. ა!ა ვის უნდა დავუბარო რამე! ჩემი დედაკაცი უსაფუძვლოა, რაებს არ ჩადის... განა არ ვიცი. ყველაფერი ვიცი... სულელი ქალია, ახალგაზდა. ოჯახი ავაშენე, მარა მომვლელსა და პატრონს არავის ვტოვებ, და ესაა რომ მაწუხებს. (იოლიკვინებს).

მატრონა. რატომ? თუ ფულის ან სხვა რისმე საქმეა, გვიბძანე.

პეტრე. (ანუსიას) ჯერ კიდევ არ წასულა ანიკო?

მატრონა. (თავისთვის) რა ნაირათ ახსოვს.

ანუსია. (იძახის). იმ წამსვე წავიდა. სახლში შედი, შეგიყვან.

პეტრე. დამაცადე ერთი ამ სიკვდილის ჟამს. სახლში ცუდი სუნია, მოვკვდი... ოჰ, ალმური მომეკიდა... დამიწვა გულ-ღვიძლი... ბარემ მოვკვდებოდე...

მატრონა. სანამ ღმერთი სულს არ ამოართმევს ადამიანს, მანამდი არ მოკვდება სიკვდილ-სიცოცხლე, ბატონო პეტრე, ღმერთზეა! სიკვდილს რას გაუგებ! ხან და ხან კიდეც გამორჩება კაცი. ამას წინათ ჩვენს სოფელში ერთი გლეხი სიკვდილზე იყო მიმდგარი და...

პეტრე. არა. ვგრძნობ, რომ დღეს უნდა მოვკვდე, ვგრძნობ! (მიეყუდება კედელს და თვალს ხუჭავს).

სცენა XIII.

იგინივე და ანუსია.

ანუსია. (გამოდის) რას შვრები, შედიხარ, თუ არა? რომ ველარ შეეტიე. პეტრე, პეტრე!

მატრონა. (გაბრაზდა და თითით ანიშნებს — ჩუმად) რას შვრები?

ანუსია. (აივანიდან ჩამოდის მატრონასთან). ვერ ვნახე.

მატრონა. დახედე კი ყველგან? იატაკს ქვეშაც?

ანუსია. არც იქ არის. ვერსად ვერ მივაგენი.

მატრონა. დაძებნე ყველგან, დაძებნე. არაფერი დაგრჩეს გაუჩხრეკელი. დღეს ვატყობ მოკვდება. ფრჩხილი გაულურჯდა და სახეზეც მიწის ფერი დაედვა. სამოვარი თუ დადგი?

ანუსია. ამ წამს წამოდუღდება-

სცენა XIV.

იგინივე და მატრონა.

(მეორე მსრიდან ჯიშკარს მოადგება. პეტრეს კერ სედკს).

ნიკიტა. (დედას) გამარჯობა დედას. მშვიდობაა ჩვენსა?

მატრონა. მადლობა უფალს, სული გვიდგია და პურს ვღებეთ.

ნიკიტა. რას შვრება პატრონი?

მატრონა. წყნარა, აი თვითონ აგერ ზის (ანიშნებს ადგილზე).

ნიკიტა. იჯდეს, მერე, რა მენაღვლება.

პეტრე. (თავს გაასელს) ნიკიტა, ნიკიტა, ერთი აქ მოდი! ნიკიტა მიუახლოვდება. ანუსია მატრონას უურში ჩასჩურჩულებს).

პეტრე. რა ასე ადრე დაბრუნებულხარ?

ნიკიტა. მოვრჩი ხვნას.

პეტრე. ხიდს გაღმა რომ შოლტი მიწაა დახანი?

ნიკიტა. ის შორს არის.

პეტრე. შორსო? იქით რომ იყავი, ბარემ დაგეხნა! (ანუსია დამალული უურს უკდებს)

მატრონა. (მიუახლოვდება) ეჰ, შვილო, რატომ არ ასიამოვნებ შენს პატრონს? მაგ ახლა დავრდომილია, შენი იმედითაა და შენ ისე უნდა ირჯებოდე, როგორც საკუთარი მამის ოჯახში, დღე და ღამე უნდა ჯაფობდე განა ასე არ გასწავლიდი, შვილო?

პეტრე. მაშ შენ ის, ოოჰ! მიწის ვაშლი ამოყარე... დედაკაცები, ოოხ!... მოხეკენ.

ანუსია. (თავისთვის) დიახ, ახლავე არ წავალ! უნდა გაიცალოს ყველა, ალბათ ფული თან აქვს ტანზე და უნდა დამარხოს.

პეტრე. თორემ... ოოჰ! დარგვის დრო რომ მოვა, აღარ ივარგებს, ოოჰ, მოვკვდი! (ადგება).

მატრონა. (შემორბის აივანზე. სელს კიდებს პეტრეს). გინდა სახლში შეგიყვანო?

პეტრე. შემიყვანე (შეჩერდება), ნიკიტა!

ნიკიტა. (გულ-მოსული) რა გინდა?

პეტრე. ველარ გნახავ... დღეს მოვკვდები. მაპატიე, ღვთის გულისთვის, თუ რამე დანაშაული მაქვს შენთან... სიტყვით, თუ საქმით შემიცოდებია ოდესმე... და შეგცოდე კიდეცა... მაპატიე.

ნიკიტა. რა უნდა გაპატიო, ჩვენც თვითონ ცოდვილი ვართ.

მატრონა. ჰეი, შვილო, — იგრძენი კარგათ!

პეტრე. მაპატიე ღმერთის გულისთვის! (სტირის)

ნიკიტა. (ფშვინავს) ღმერთმა შეგინდოს, ბიძია პეტრე. მე რისთვის უნდა დაგემდურო. ცუდი მე შენგან არ მახსოვს. ის კი არა, შენ თვითონ შემინდვე მე (სტირის). (პეტრე იკლიკვინით გადის. მატრონა ესმარება, არ წაიქცესო).

სცენა XI

ნიკიტა და ანუსია.

ანუსია. რაღა მეშველება! ტყვილათ კი არ

არის ასე. უთუოთ რამე განიზრახა. (მიდის ნიკიტასთან) აკი თქვი ფული იატაკ ქვეშ არისო. იქ რომ არაა?

ნიკიტა. (არ უპასუხებს, სტვენის). კარგის მეტი, ცუდი არა მახსოვს რა მისგან. მე კი რას ჩავდიავარ!

ანუსია. კმარა ერთი. ფული სად არის?

ნიკიტა. (გულ-ჩახსული). მე რა ვიცი, დაძებნე შენ თვითონ.

ანუსია. რა ასე აგიჩვილდა გული?

ნიკიტა. მებრალება! რა რიგათ მებრალება, რომ იცოდე! როგორ ატირდა, ოოჰ!

ანუსია. რა ასეთ სიბრალულის გუნებაზე ხარ? ძალიან შესაბრალისი არ არის? ძაღლური ცხოვრება გქონდა მაგის მიზეზით; ახლაც ხომ სახლიდან გიპირობდა გაგდებას. ისა სჯობია, მე შემიბრალო!

ნიკიტა. შენ შესაბრალისი რა გაქვს?

ანუსია. მოკვდება და ფულს დამალავს...

ნიკიტა. ფიქრი ნუ გაქვს, ვერ დამალავს...

ანუსია. ეჰ, ნიკიტა! თავისი და იხმო, იმას უნდა გადასცეს. რაღა გვეშველება მაშინ, როგორ ვიცხოვრებთ, ფული რომ გადასცეს. კარში გამაგდებენ. რომ დაფაცურებულიყავი, რა გიჭირდა! აკი ამბობდი, საღამოს საკუჭნაოში შევიდაო?

ნიკიტა. დავინახე კი, რომ იქიდან გამოდიოდა, მაგრამ სად მიმალა, ვინ იცის!

ანუსია. ვაი ჩემო დღეო, რა მეშველება! წავალ, დავხედავ (ნიკიტა მიდის).

სცენა XVI.

იგინივე და მატრონა. (გამოდის სასალაღან. მიდის ნიკიტას, და ანუსიას: ან და ეკრში ეუბნება).

მატრონა. ნურსად ეძებ. ფული ტანზე აქვს ელეგში.

ანუსია. აბა, რაღა მეშველება?

მატრონა. ახლა თუ აგცილდა, მერე უყარე კაკალი. დაი რომ მოუვა, მერე ფულს გამოეთხოვე, დაკარგულია!

ანუსია. მართლა, რა გაეწყობა? რაღა მეშველება!

მატრონა. რა გაეწყობა? აი რა უნდა გითხრა, სამოვარი რომ ადუღდება, წადი, ჩაი დააყენე, დაუსხი, წამალი სულ ჩაუყარე და დაალევინე. როცა ერთს ჭიქას დალევს, გასჭრის და მაშინ აართვი ფული. ნუ გეშინია, არ გაგამხელს.

ანუსია. მეშინია!

მატრონა. რას როტავ, მალე ჰქენი, მე კი მის დას დავუდარაჯდები, რომ არ მოგასწროს, იცოდე, ხელი არ შეგეშალოს; აართვი ფული, აქ მოიტანე და ნიკიტას დავამალვინებთ...

ანუსია. რა ვქნა, როგორ გავბედო! დედა, დედა...

მატრონა. გეუბნები, ნუ ყოყმანობ მეთქი! შეასრულე, რასაც გიბრძანებ. ნიკიტა!

ნიკიტა. რა იყო?

მატრონა. აქ დაიცადე, ცოტა ხანს, იქნება საჭირო იქნე.

ნიკიტა. (სელს გადაქნევს) ეს დედაკაცები რას არ მოიგონებენ! რა ძსელს გააბმენ! დასწევლოს ღმერთმა მაგათი თავი! წავიდე მიწის ვაშლი ამოვყარო.

მატრონა. (სელს კიდებს სელსე). გეუბნები დარჩი მეთქი!

სცენა XVII.

იგინივე და ანიკო. (შემოდის)

ანუსია. რა ჰქენი?

ანიკო. თავის ქალთან იყო ბოსტანში; ამ წამს მოვა.

ანუსია. მოვა და რაღა გვეშველება?

მატრონა. მოასწრებ, ოღონდ ისა ჰქენ, რასაც გეუბნები.

ანუსია. თვითონაც არ ვიცი, რას ჩავდივარ! ჭკუა ამერია. ანიკო, წადი, შენს გაზდას, ხბოებთან, ლამის გაიბნენ. რომ ვერ გავბედე!

მატრონა. წადი რაღა, სამოვარი ჩაქრება.

ანუსია, ვაიმე, ვაიმე! (მიდის).

სცენა XVIII.

მატრონა და ნიკიტა.

მატრონა. (მიდის შვილთან და დაუდგება გვერდით)

შენს საქმესაც მოფიქრება უნდა, შვილო. სახუმრო არ არის!

ნიკიტა. რა საქმეს?

მატრონა. იმასა, თუ როგორ იცხოვრო ქვეყანაზე!

ნიკიტა. როგორ და როგორც, სხვები ცხოვრობენ, მეც ისე ვიცხოვრებ.

მატრონა. ბებერი, უთუოდ, დღეს დალევს სულს?

ნიკიტა. თუ მოკვდება, აცხონოს ღმერთმა, მე რა?

მატრონა. (ლაპარაკის დროს ივანისკენ იყურება) ეჰ, შვილო! ცოცხალმა კაცმა სიცოცხლეზე უნდა იზრუნოს. განა ამას ჭკუა არ უნდა, შვილო? შენ რა გგონია, რამდენი ვიწანწალე შენი გულისთვის, სიარულით წვივები შემახმა, სულ შენს საქმეს ვმეცადინობდი. გახსოვდეს, შვილო, არ დამივიწყო.

ნიკიტა. მერე რას მეცადინობდი?

მატრონა. რასა და შენს საქმეს, შენს ბედს. ბიჭო, თუ არ ეცადე და არ იცოდვილე, არა იქნება რა. ივან მოსეიჩს ხომ იცნობ? აი იმასთან ვიყავი ამას წინათ, იმასაც გავურიგე ერთი კაი საქმე და როგორღაც დავეკითხე: ვსთქვათ ქვრივმა გლეხმა მეორე ცოლი შეირთო და პირველისა და მეორე ცოლის ხელში თითო ქალიშვილი ჰყავს. ახლა რომ გა' აბრუნდეს ის გლეხი და მოკვდეს, ივარგებს, რომ სხვა კაცი ჩავიდეს იმის ოჯახში, ქალები დაათხო-

ვოს და თვითონ კი ოჯახში დარჩეს მეთქი. კი მოხერხდებაო მითხრა, მაგრამ დიდი მეცადინეობა უნდა ამ საქმეს და ბევრი ფული დაჭირდებაო, უფულოთ გულშიაც არ გაივლება ასეთი საქმეო?

ნიკიტა. (იცინის) ფულზე ისინი, რაღა თქმა უნდა, ძალიან კბილ მოლესილნი არიან. ფული ყველას უნდა.

მატრონა. მე, შვილო, იმ კაცს ყველაფერში გაუტყდი. პირველი ისა, რომ შენი შვილი იმ სოფლის მცხოვრებად უნდა ჩაირიცხოს, ამას ფული უნდაო, მოხუცებულს კაცებს არაყი უნდა დაალევინოთო, მაშინ ისინი ბეჭედს დაასმენო. ყველაფერს ჭკუა უნდაო. დახე ამას (აჩვენებს უბიდან ქაღალდს) ა, ქაღალდიც დავაწერინე, წაიკითხე, შენ ხომ მწიგნობარი ხარ. (ნიკიტა კითხულობს. მატრონა ეურს უგდებს).

ნიკიტა. ეს ქაღალდი—განჩინებაა, შენ გგონია დიდი რამ იყოს!

მატრონა. შენ ის დაიმარხე გულში, ივან მოსეიჩმა რაცა სთქვა: ეცადეთ, ფული არ დაგეკარგოსთო! ფული თუ ვერ იგდო ხელში ქვრივმა, ქმრის შერთვის ნებას არ მისცემენო, ფული ყველა საქმის საძირკველიაო. მაშ გახსოვდეს, შვილო, იცოდე, ბედი კარზე გვადგია!

ნიკიტა. მე რა ხელი მაქვს ფულთან, ფული ქვრივისაა და მან უნდა იზრუნოს!

მატრონა. ეჰ, შვილო, აბა რას ამბობ? განა

დედაკაცს ვაგის მოფიქრების შნო აქვს? კიდეც რომ ჩაუვარდეს ფული ხელში, მაინც რა ურდა გააწყოს? დედაკაცის ამბავი განა არ იცი!—შენ კი მამაკაცი ხარ—სულ სხვაა! შენ მონახვაც შეგიძლია და ყველაფერი... შენ ჭკუაც მეტი გაქვს, რომ, ვინიცობაა, რამე საქმე შედგეს.

ნიკიტა. ეჰ, არ არის საფუძვლიანი ეს თქვენი აზრები, დედა-კაცები არა ხართ!

მატრონა. როგორ თუ საფუძვლიანი არ არის! შენ ფულები ჩაბოჭე და მაშინ დედა-კაციც ხელში გეყოლება: მაშინ ბურდღულიც რომ დაიწყოს, მაინც ხელში გეყოლება და ვერაფერს ვერ გაგიბედავს.

ნიკიტა. მაშ ღმერთმა გკადოსთ! მივდივარ!

სცენა XIX.

ნიკიტა, მატრონა და ანუსია. (შემოიბრუნეს კარებთან მდგომი და მატრონასთან მიდის).

ანუსია. ტანზე ჰქონდა. აი აგერა მაქვს. (ასწვენებს ფულს ფეშტამალს ქვეშ).

მატრონა. მიეცი ნიკიტას; მაგ შეინახავს; წაიღე, დამარხე სადმე.

ნიკიტა. კარგი, მოიტანე!

ანუსია. უიმე, უიმე! რა ვქნა ახლა! (მიდის ჭიშკრისკენ).

მატრონა. (წაბარბაცებს სკამს). სად მიხვალ? მოიკითხავენ ამ წამსვე, აი იმის დაც მოდის. მიეცი მაგას, მაგან იცის! რა უტვინო ხარ!

ანუსია. (რეკვიემია) დედა, დედა!

ნიკიტა. მომეცი რაღა; ჩავაჩხირებ სადმე.

ანუსია. სად უნდა ჩააჩხირო?

ნიკიტა. გეშინია თუ? (იცინის).

სცენა XX.

იგინივე და აკულინა. (სარეცხი მოაქვს).

ანუსია. დედა, დედა! (ძლივს ეუბნა) ნიკიტა, იცოდე!

ნიკიტა. რისა გეშინია? ისეთს ადგილს ჩავაჩხირებ, რომ მე თვითონ ველარ ვიპოვნო. (მიდის).

სცენა XXI.

მატრონა, ანუსია და აკულინა.

ანუსია. (შეშინებული ხმით) დედა, დედა! ნიკიტამ რომ...

მატრონა. მოკვდა.

ანუსია. მოკვდებოდა. ფული რომ ავართვი, არ გაუგია.

მატრონა. სახლში შედი, აი აკულინაც მოდის.

ანუსია. მე ცოდვა დავიდევ კისერზე, შენ კი... ვაი თუ ფულები...

მატრონა. კმარა, შედი სახლში, არა ხედავ, მართა რომ მოდის?

ანუსია. დავენდვე. ვნახოთ რა იქნება! (მიდის).

სცენა XXII.

მართა, აკულინა და მატრონა.

მართა. (მართა ერთის მსრეთ მიდის, აკულინა მეორე მსრეთ. აკულინას) უფრო ადრე მოვიდოდი, მაგრამ ჩემს ქალთან ვიყავი. რას შვრება, მოხუცებული, როგორაა? მართლა კვდება?

აკულინა. (სასმოიღებს სარეცხს) რა ვიცი! მე წყალზე ვიყავი.

მართა. (მატრონასა მიუთითებს) ეს ვინაა?

მატრონა. მე ნიკიტას დედა ვარ, ზუევიდან, ჩემო კეთილო! გამარჯობა თქვენი. გაიტანჯა, გაიტანჯა საცოდავი შენი ძმა. თვითონ გამოვიდა, ჩემი და აქ მომიყვანეთო, რადგანაც რომ... იქნება კიდეც აღსრულდა?

სცენა XXIII.

ანუსია. (შემოდრბის სასლიდან ვიეილით, მოესვეკა სკეტს და ღრიალებს). ვაიმე! ვაییიმე... ვ-ი-ი-ი-სთან დამაგდე... ვაიმე, ვაიმე! რაღა მე-შვე-ლება! გაპირვებულ ქვრივ ოხე-ე-რს. როგორ დაგეხუჭა თვალი საუ-უ-კუნოთ!

სცენა XXIV.

იგინივე და ნათლიდედა.

(სოლიდედა და მატრონა სელს მოკიდებენ, აკულინა და მართა სასლში შედიან. სალსი ეროკდება).

ერთი ხმა ხალხიდან. დედაბრებს დავუძახოთ, გაბანვა უნდა.

მატრონა. (სელებს წამოიმკლაკებს) მერე წყალი კია კარდალში? თუ არაა, სამოვრის წყალი იქნება ჯერ არ გადაუქცევიათ. რა ვქნა, გავირჯები!

ფ ა რ დ ა.

მოქმედება მესამე.

მოქმედნი პირნი:

აკიმ, ნიკიტა, აკულინა, ანუსია, ანიკო, მიტრიჩ— მოსუცი მოჯამაგირე, ცოდამდგარი სოფლისა. **ნათლიდედა ანუსიასი.**

გლეხის სახლი. ზამთარია. მეორე მოქმედებას შემდეგ 9 თვე გავიდა.

სცენა I.

ანუსია შილიფათ საქსოვს უზის და ქსოვს. **ანიკო** ფეჩზეა. **მიტრიჩ**—მოხუცი მოჯამაგარე.

მიტრიჩ. (ძეძოდის და სელდ ცხენისაზმოსს ისდის). ეჰ, ღმერთო, შემეწიე. რა ამბავია, პატრონი რომ ალარ მოვიდა?

ანუსია. რაო?

მიტრიჩ. ნიკიტა არ ჩამოსულა ქალაქიდან?

ანუსია. არა.

მიტრიჩ. ქეიფს ეწევა ალბათ. ეჰ, ღმერთო!

ანუსია. კალოს მორჩი?

მიტრიჩ. მოვრჩებოდი აბა რას ვიზამდი, ყველაფერი მივალაგე და ბზით დავხურე. მე ისე, ალაალათ არ მიყვარს საქმის გაკეთება. დამიფარე, წმინდაო ნიკოლოზ! (ფესზე აბედს იჩსიკნის). დროა დაბრუნებულიყო.

ანუსია. რა ეჩქარება! ფული ბევრი უყრია

ჯიბეში და დროს ატარებს გოგოსთან, უთუოთ...

მიტრიჩ რაკი ფული აქვს, რატომ არ იქეიფებს. აკულინა რალასთვის წავიდა ქალაქში?

ანუსია. ჰკითხე აბა ერთი, რა ეშმაკი უნდოდა?

მიტრიჩ. ქალაქში რა უნდოდა? ქალაქში ყველაფერი იშოვება, ოღონდ ფული გქონდეს კაცს. დამიფარე, ღმერთო!

ანიკო. მე, დედა, თვითონ გავიგონე, რომ უთხრა: მოსახურაკ შალს გიყიდიო, უთუოდ გიყიდიო; თვითონ გამოარჩიეო. მერე, რა ლამაზია გამოწყობილი! რაები არ უყიდა: ბამბის ხავედის ჩასაცმელი, ბალდადის თავსაფარი!

ანუსია. „ქალიშვილის ნამუსი კარებამდიო", რომაა ნათქვამი, მართალი ყოფილა. რა კი გადაებიჯების ამ კარებს, მოარჩა და გათავდა. რა უსირცხვილოა!

მიტრიჩ. ეჰე! რისა უნდა რცხვენოდეს! ფული აქვს და ქეიფს ეწევა! დამიფარე, ღმერთო! ვახშმის დრო არ არის ვითომ? (ანუსია სუფრაზე). წავიდე მანამდი. ცოტა გავთბე, მიშველე, ღმერთო, დედაო მღვთისაო, წმინდაო ნიკოლოზ!

სცენა II.

ნათლიდედა. (შემოდის). არ დაბრუნებულა ჯერ შენი კაცი?

ანუსია. არა.

ნათლიდედა. კი იყო დრო, იქნება ჩვენს დუ-

ქანში შეუხვია? ჩემმა დამ, თეკლემ, მიამბო მრავალი მარხილები დგას იქ, ქალაქიდან მოსულიო.

ანუსია. ანიკო, ანიკო!

ანიკო. რა იყო?

ანუსია. გაიქე ერთი დუქანში, დათვრებოდა და იქნება იქა გდია!

ანიკო. (ფეხიდან ჩამოსტეხა და ტანს აცვამს). ახლავე.

ნათლიდედა. აკულინაც თან წაიყვანა?

ანუსია. აბა უმისოთ რას ივარგებდა! სულ იმიტომაა, საქმეები რომ გაუჩნდა; ბანკში მისაღები მაქვსო, სულ ისა რევს!

ნათლიდედა. (თავს იქნევს) აბა სხვა ვინ იქნება! (სიჩუმე).

ანიკო. (კარებში). იქ რომ იყოს, მერე რა ვუთხრა?

ანუსია. შენ შეიხედე—იქაა, თუ არა?

ანიკო. ამ წამს მოვირბენ. (მადის).

სცენა III.

ანუსია და ნათლიდედა.

მიტრიჩ. (ბურდღულობს). დამიფარე, უფალო და წმინდაო ნიკოლოზ!

ნათლიდედა. (შეკრთება) აკი შემაშინა. ვინ არის ეგ?

ანუსია. მიტრიჩია—ჩვენი მოჯამაგირე.

ნათლიდედა. გული არ გამიხეთქა. სულ და-

მავიწყდა. რაო, ნათლია, ამბობენ აკულინას ათხოვ ბთო?

ანუსია. (თავს ანებებს საქმეს და მაგიდას მიუჯდება). დედლოვის სოფლიდან მოგვივიდა მაჭანკალი, მაგრამ რაკი ყური მოკრეს, თავი დაანებეს და ჩაქრა ეს საქმე. ნათრევი გოგო ვის რათ უნდა?

ნათლიდედა. ზუევიდან ლიზუნოვებმა რაღა შემოთვალეს?

ანუსია. შუამავალი იყო, მარა ვერ მორიგდენ.

ნათლიდედა. საჭირო კი იყო, მალე გაგეთხოვებიათ.

ანუსია. მერე რა რიგათ იყო საჭირო, რომ იცოდე! სახლიდან როდის გამაგდებენ, ისიც კი არ ვიცი. საქმე თავს არ მოდის. არ უნდათ დაშორდენ ერთმანერთს. ვერ მოიჯერა კიდევ გული თავის ლამაზთან!...

ნათლიდედა. ეს ცოდვის ბრალია, რაებსა ჩადის! სხვა რომ არა იყოს რა, მამინაცვალია!

ანუსია. ეჰ, ნათლიდედა! ისეთ ქსელში გამაბეს, რომ აღარ ითქმის! ისე გავთხოვდი, რომ ვერაფერს ვერ ვამჩნევდი, ანრაფრის იქვი არ მქონდა. აბა რას ვიფიქრებდი! მაგათ კი, თურმე, პირობა ჰქონდათ შეკრული.

ნათლიდედა. დახე, რა ამბავი ყოფილა!

ანუსია. რაც დრო გადიოდა, ვხედავდი უფროდა-უფრო გაფრთხილდენ. ეჰ, ნათლიდედა, გამიმწარდა სიცოცხლე, გამიმწარდა, სწორეთ გითხრა! არ მიყვარდეს მაინც!

ნათლიდედა. განა არ მესმის!

ანუსია. გული მტკივა, ნათლიდედა, გული; განა ამას მემართლებოდა!

ნათლიდედა. ამბობენ გაჭინჭყლდა კიდეც და გლახავსო, მართალია?

ანუსია. ეჰ, ნულარ მკითხავ! დათვრებოდა, მარა ჩხუბი არ იცოდა. მართალია, უწინაც კი გაუ ლახავარ, მარა მაინც ვუყვარდი. ახლა კი რომ გაანჩხლდება, უნდა გადამყლაპოს, გამსრისოს ფეხით. ამას წინათ ნაწნავებში წამავლო ხელი, ძლივს თავს ვიშველე! ის წყეული გოგო ხომ, რაღა გითხრა, გველის წიწილია! რატომ ღმერთი ასეთს ადამიანს მიწას არ გაუთხრის!

ნათლიდედა. ეჰ, ნათლიავ, დასნეულებულხარ, როგორც გატყობ, ძნელია მაცეების მოთმენა! გლა-ხაკათ შეიყვანე ოჯახში და კიდევ შენ უნდა აგიგ-დოს და გაწვალოს ასე! მერე, როგორ ვერ შეაკვე-ცე ფრთები?

ანუსია. კი მაგრამ ამ ოხერს გულს რა ვუყო, საყვარელო ნათლიდედა? ცხონებული, რა ავი იყო, მაგრამ მაინც როგორც მინდოდა, ისე ვატრიალებ-დი—ამასთან არაფერი არ გამიდის! რომ შევხედავ, გული დამისუსტდება. ვერაფერს ვერ დავუმალავ. გალახულ ძაღლსავით მეშინია.

ნათლიდედა. ეჰ, გატყობ, ნათლიავ, თვალ-ნაკრავი ხარ. მატრონას სწამობენ—გაღალვა იცისო. უთუოთ იმის ბრალია.

ანუსია. მეც ასე მგონია, ნათლიდედავ. ისეთი გული მომივა, მგონია ქორივით გავგლეჯ მეთქი, მაგრამ, რომ შევხედავ, გული აღარ მიშვრება!

ნათლიდედა. ცხადია, თვალნაკრავი ხარ. ძნელია განა ადამიანის გაღალვა და გაფუჭება! თურმე ესაა მიზეზი, ასე რომ მოქცეულხარ! რა მოგსვლია, საცოდავო! სადაა შენი სილამაზე!

ანუსია. დავილიე. აბა სულელი აკულინა ნახე ახლა, რა ბინძური პირ დაუბანელი გოგო იყო, ერთი ახლა შეხედე როგორია! საიდან რა არ მოუტანა! რა ნაირათ არ გამოაწყო! ისე გამოპრანჭული და გაბერილია, რომ გაგიკვირდება! ბრიყვია, მაგრამ ამას კი ამბობს: ოჯახის პატრონი მე ვარო, თქვენ ვინა ყრიხართო! სახლი ჩემიაო! ნიკიტა ჩემთვის უნდოდა ქმრათ მამაჩემსაო. მერე რა ავია, რომ იცოდე! ღმერთმა ყოველი ჩემი მტერი დაიფაროს იმისაგან. რომ გააფთრდება დაჭამს ყველას.

ნათლიდედა. რა გატანჯული ყოფილხარ, შე საცოდავო? მერე რამდენი ქალი ნატრობს შენს ბედს! ამბობენ, მდიდრები არიანო, მაგრამ თურმე, დაო, ცრემლსა და მწუხარებას ოქრო-ვერცხლიც ვერ შველის!

ანუსია. ძალიან სანატრელია, მე გეტყვი! ეს სიმდიდრეც ოხრათ ჩაივლის! რა ნაირათ ხარჯავს ფულს, რომ იცოდე!

ნათლიდედა. მერე რა ასე მიგიშვია ალვირი! ფული ხომ შენია!

ანუსია. რომ იცოდე ყველაფერი!. ერთი ძალიან შემეშალა.

ნათლიდედა. მე კი შენს ალაგს რომ ვიყო, ნაჩანიკს მოვახსენებდი. ფული ხომ შენია, რა ნება აქვს გააბნიოს? როგორ შეიძლება!

ანუსია. ვინ დასდევს ახლა მაგეებს?

ნათლიდედა. ეჰ, გხედავ, ძალიან დასუსტებულხარ!

ანუსია. დავსუსტდი, ნათლიდედა, დავსუსტდი! გამაბა ქსელში! გამოვსულელდი. ვაიმე, ვაიმე, რალა მეშველება!

ნათლიდედა. მგონია ვიღაცა მოდის (ყურს დაუგდებს. კარებთან გაიხედავს და ჯერ შემოდის).

სცენა IV.

იგინივე და აკიმ.

აკიმ. (ბარეკვის აწევს. ქალამნებს დაიკრეტს და ზედა ჩასაცმელს ისხამს). მშვიდობა სახლსა ამას. კარგათა ხართ? გამარჯობა, ბიცოლა!

ანუსია. გამარჯობა ბატონო, სახლიდან მოხვედით?

აკიმ. ვფიქრობდი, რაქვიან, წავალ შვილს ვნახავ მეთქი, რაქვიან, უფრო ადრე ველარ მოვახერხე, სადილი ვჭამე და ისე წამოვედი. თოვლია, რაქვიან, და გზა გამიძნელდა, რაქვიან, და იმიტომ დამაგვიანდა. ნიკიტა შინ არის, შინაა ნიკიტა?

ანუსია .ქალაქშია, არ დაბუნებულა.

აკიმ. (ხმამაღლა სკამ-ლოგინზე) საქმე მაქვს მასთან, რაქვიან, საქმე. ამას წინათ ვუთხარი საჭიროება გვაქვს-მეთქი, რაქვიან, საჭიროება. ცხენი დაგვიმკლევდა, გაფუქდა, რაქვიან, ცხენი-მეთქი. სხვა ცხენი უნდა ვავიჩინოთ მეთქი, რაქვიან, სხვა ცხენი. ახლა ამიტომ მოვედი, რაქვიან, რომ...

ანუსია. ნიკიტას ახსოვს. მოვა და მოილაპარაკეთ (ადგება იეჩითს). ვახშამი ჭამეთ და ამასობაში ისიც მოვა. მიტრიჩ, მიტრიჩ—მეთქი! მოდი, ვახშამი ჭამე.

მიტრიჩ. დამიფარე, ღმერთო, წმინდაო ნიკოლოზ!

ანუსია. მოდი, ვახშამი ჭამე.

ნათლიდედა. არა, წავალ. მშვიდობით. (მიდის).

სცენა I.

აკიმ, ანუსია და მიტრიჩ.

მიტრიჩ. (ხმამაღა) ისე დამძინებია, არც გამიგია. დამიფარე, წმინდაო ნიკოლოზ, სათნო-მყოფელო უფლისა! ბიძია აკიმს გაუმარჯოს!

აკიმ. მიტრიჩი ხარ! შენ, რაქვიან?...

მიტრიჩ. შენს შვილს ნიკიტას მოჯამაგირეთ ვყავარ?

აკიმ. მოდი ერთი! მაშ, რაქვიან, მოჯამაგირეთა ხარ ჩემს შვილთან? დახე ერთი!

მიტრიჩ. უწინ ქალაქში ვიდექი ვაჭართან და რაც ვიშოვე, ყოველისფერი ლოთობაში შევჭამე.

ახლა სოფლათ მოვედი, ბინა არა მაქვს და აქ დავ-
დექი ჯამაგირში. (ამთქნარებს) დამიფარე, უფალო!

აკიმ მერე, რაქვიან, ნიკიტა როგორ ირჯება? ბევრი საქმე აქვს ალბათ, რაქვიან, რომ მოჯამაგირე დაუჭერია?

ანუსია. საქმე კი არა!... წინათ თვითონაც ერეოდა საქმეს, ახლა სხვა ჭკუაზეა და მოჯამაგირე აიყვანა.

მიტრიჩ. ფული აქვს იმ კაცს და რა ენაღვლება!...

აკიმ. ეს, რაქვიან, არ ვარგა, სულაც არ ვარგა, რაქვიან. რა საჭირო იყო, რაქვიან, ცულლუტობაა!

ანუსია. რა რიგათ გაცულლუტდა, გაფუქდა, რომ იცოდე!

აკიმ. მეგონა უკეთ იყო, რაქვიან, და ის კი უარესად ყოფილა, რაქვიან, გაცულლუტდება სიმდიდრეში კაცი, გაცულლუტდება.

მიტრიჩ. ნამეტანი სიმსუქნისაგან ძაღლიც გახელდება. აბა როგორ არ გაცულლუტდება სიმდიდრისაგან! თუ გინდა მე? რას ჩავდიოდი, შეძლება რომ მქონდა! სამ კვირას გაუწყვეტლათ ვლოთობდი! ფეხსახვევებიც კი არაყში გავყიდე. რომ გამომელია—დავწყნარდი. ახლა აღთქმა მაქვს დადებული, აღარ გავეკარო არაყს!

აკიმ. შენი ბებერი დედაკაცი სადღაა?...

მიტრიჩ. ჩემი ბებერი, ძმაო, ადგილზეა. ქალაქში დუქნებში დადის. ისეთი ჰრანჭიაა, რომ!... ცალი თვალი გადმოგდებული აქვს, მეორე დალილავებული, დრუნჩიც გვერდზე აქვს მოგრეხილი,— უცნაურია!

აკიმ. რატომ მერე?

მიტრიჩ. აბა სხვა რა ადგილი უნდა ჰქონდეს სალდათის ცოლს: (სიჩუმეა).

აკიმ. (ანუსიას) ნიკიტამ, რაქვიან, ქალაქში გასაყიდათ წაიღო რამე, გასაყიდათ?

ანუსია. (სუფრას გაასწორებს და საჭმელს მოიტანს) ცალიერი წავიდა. ბანკში ფული: ასაღებათ წავიდა.

აკიმ. (საჭმელს ჭამს) მერე, რაქვიან, რა უნდა უყოთ ახლა იმ ფულს?

ანუსია. იქა გვაქვს შენახული. ორი თუ სამი თუმანი დაიხარჯა, ახლა უნდა გამოვიტანოთ.

აკიმ. უნდა გამოიტანოთო! რატომ უნდა გამოიტანოთ, რაქვიან, ის ფული? დღეს გამოიტან, რაქვიან, ხვალ გამოიტან, და ასე ამგვარათ შემოგეხარჯებათ სულ, რაქვიან.

ანუსია. ეს სარგებელია, და თავნი ხელუხლებელია.

აკიმ. ხელუხლებელია? როგორ, რაქვიან, ხელუხლებელია! გამოგაქვს და მაინც ხელუხლებელია!

ჩაჰყარე შენ, რაქვიან, ბელელში ან ზანდუკში პუ-
რის ფქვილი. მერე იღე და იღე იქიდან, უკელი,
რაქვიან, და მაინც ხელუხლებელი იქნება? როგორც
ვხედავ—, რაქვიან ეს მოტყუება ყოფილა, შეიტყვე
კარგათ, თორემ მოგატყუებენ. როგორ არ მოა-
კლდება? აკლებ, რაქვიან, და არ მოაკლდებაო!

ანუსია. აბა რა ვიცი. მაშინ ივან მოსეიჩმა
გვირჩია, ფული ბანკში მიაბარეთ, სარგებელს მოგ-
ცემენ და თავნიც შეგენახებათო.

მიტრიჩ. (ჯესშაჩი გაჯთაჯ) მართალია... მე ვა-
ჭართან ვიდექი. ვაჭრებიც ასე შვრებოდენ. ჩადე
ბანკში ფული და მერე გაგორდი ლოგინზე და იყა-
ვი, მოგდის და მოგდის სარგებელი!

აკიმ. საკვირველ ამბავს ამბობ, კაცო: ახლა,
რაქვიან, შენ რომ ფული გაძლიონ, ვილას უნდა
გადაახდევინონ, რაქვიან, ეს ფული?

ანუსია. ბანკიდან აძლევენ ფულს.

მიტრიჩ. ასე როდია! დედაკაცია, რა ესმის!
გაიგონე: ყველაფერს აგიხსნი. ახლა, ვთქვათ, შენ
ფული გაქვს და ბე ყანის დამუშავება მჭირია, გა-
ზაფხულია, ან საფოსტო ფული უნდა შევიტანო
და არა მაქვს. ამ დროს მოვდივარ შენთან და გეუ-
ბნები: —აკიმ, მოდი ერთი თუმანი მასესხე და სამა-
გიეროთ საღვთიმშობლოთ მოსავალს რომ მოვიწევ,
ფულსაც დაგიბრუნებ და ერთ დღიურ ყანას დაგი-

მუშავებ მეთქი. შენც ხედავ, რომ პირობას შეგი-სრულებ, რადგანაც ან ცხენი მეყოლება, ვთქვათ, ან ძროხა, და მეუბნები: კარგი, ორი ან სამი მა-ნათი ხელ-გასაწყო მომეცი და გასესხებო. მეც გე-თანხმები, რა ვქნა, ვიღუპები, გზა არა მაქვს? შე-მოდგომაზე მოსავალს გავყიდი, თავნს გიბრუნებ და სარგებელს სამ მანათს ჯიბიდან მაცლი!

აკიმ. ეს ხომ, რაქვიან, არმობაა, კაცის გაფ-ცქვნაა და ღვთის საწყენი საქმე! ეჰ, ეს არ ვარგა, ცოდვაა!

მიტრიჩ. დაიცა, სწორეო ასეა და! ახლა შენ რომ ასე გამაძვრე ტყავი, ამ დროს ანუსიას, ვთქვათ ფული აქვს სკივრში შენახული და არ იცის, რა უყოს. მოდის შენთან და გეხვეწება: არ შეიძლება ჩემს ფულსაც სარგებელი გამოაღებინოვო? შენც ეუბნები რატომ არა, შეიძლებაო, და უცდი ამასო-ბაში ზაფხულმაც მოაწია ღა მოვდივარ შენთან, მოდი ერთი თუმანი მასესხე და გემსახურები მეთქი... შენც მათვალიერებ, და თუ ჯერ ტყავი მთლათ არა მაქვს გაძვრალი, იფიქრებ გულში: მოდი ანუ-სიას ფულს მივსცემო. მაგრამ თუ ვერ გადავიხთი, ფერდები შიმშილით მახმება, მეუბნები: წადი, შვი-ლო, სხვაგან ეძიეო, და ისეთს ვისმე მიასესხებ ანუსიას ფულს, რომ შეგეძლოს იმასაც ტყავი ააძრო ზურგზე. აი, ესაა ბანკი და ასე ჯარასავით ბრუნავს იქ საქმე. ეშმაკური, საჭკვიანო რამ არის ეს ბანკი!

აკიმ. (გაოცებულია) ეს რაღა ყოფილა,? ეს, რაქვიან, საძაგლობაა. ასე რომ, რაქვიან, ჩვენი გლეხები იქცევიან, რაქვიან, და ვამბობთ ცუდს საქმეს, ცოდვას ჩადიანთქო. არა, ეს უსჯულობა და უღმერთობაა, საძაგლობაა. მერე, ნასწავლები, როგორ შვრებიან ამას, რაქვიან?

მიტრიჩ. ეს მათთვის სულ უბრალო და საყვარელი ხელობაა! ახლა შენ რა გითხრა: ვინც მობრიყვოა, ქალი იქნება, თუ კაცი, ყველას იქ მიაქვს ფული მათთან, ბანკში. ისინიც ცოტა რასმე ფულის პატრონს გადმოუგდებენ და ამ ფულით ხალხს კი ტყავს აძრობენ. ზურგზე, ძალიან საქკვიანო რამ არის...

აკიმ. (ამოისვნეშებს) უფულობა ძნელია, მარა, როგორც ვხედავ ფულიც უარესი უბედურობა ყოფილა! ეს რასა გავს! ღმერთი გვიბრძანებს ვიმუშავოთ, და შენ კი ჩადევი ბანკში ფული. წამოწევი მერე და მოგდის სარგებელი ბზესავით ხელ გაუნძრეველათ. საძაგლობა უსჯულობაა, ნამდვილათ!

მიტრიჩ. უსჯულობაა? ახლა მაგას, ძმაო, როდი დასდევენ, ისეთ ქსელში გაგაბმენ, რომ შიშველს გაგიშვებენ! მაშ რა გგონია!

აკიმ. (ამოისვნეშებს) ეტყობა, რაქვიან, მეორეთ მოსვლა მოახლოვდა! ქალაქში რომ ფეხის ალაგები ვნახე, გამიკვირდა, რა ამბავია მეთქი! რა მოუფიქ-

რებიათ?! ასეთი გაწმენდილი და გაკანკალებულია, ისეთი მოწყობილი და მორთულია, გეგონება დუქანიაო. ნეტავი საჭირო მაინც იყოს! ღმერთი დაგვავიწყდა, მაძღარი და კმაყოფილი რომ ვართ; ღმერთი აღარ გვახსოვს. (ადგება სუიერიდან. მიტრიჩ ფეჩკე ადის).

სცენა VI.

იგინივე და ანიკო.

ანიკო, (შემოდის).

აკიმ. ჭკვიანი გოგო ხარ, ასე რომ ჯაფობ! გაცივებული იქნები ახლა შენ!

ანიკო. მართლა გამიყინდა ხელ-ფეხი? გამარჯობა, ბაბუ?

ანუსია. რა ამბავია? იქ არის?

ანიკო. არა, ანდრიანეა ქალაქიდან ჩამოსული და სთქვა, რომ მამაშენი ქალაქში ვნახე, დუქანშიო და ისეთი დამთვრალი იყო, ფეხზე ვერ დგებოდაო.

ანუსია. საჭმელი თუ გინდა, ა, ჭამე.

ანიკო. (ფეჩისკენ მიდის). რა სიცივეა! თითები წამგლიჯა! (აკიმ ფეხს ისდის. ანუსია ჭურჭელს რეცხს).

ანუსია. ბატონო!

აკიმ. რა გინდა?

ანუსია. როგორ სცხოვრობს ბრინე?

აკიმ. რა უჭირს, არის თავისთვის! ჭკუიანი და ლმობიერი დედაკაცია, ოჯახში მეცადინობს.

გვარიანი კარგი დედაკაცია, ნამდვილი გამრჯელი და მორჩილი, რაქვიან.

ანუსია. იქნება, გაიგონეთ, რომ მარინეს ნათესავს ჩვენი აკულინას შერთვა უნდა?

აკიმ. მირონოვებს: რაღაცას კი ბუუტურობდნენ დედაკაცები; მარა მართალი არ ვიცი, საიდუმლო უნდა იყოს, რაქვიან, არ ვიცი. დედაკაცები კი ამბობდნენ რაღაცას, მარა არ დამამახსოვნდა, არა მაქვს ხსოვნა. მერე მირონოვს რა უშავს, კაი ოჯახი აქვს!

ანუსია. ნეტავი მალე გავათხოვებდეთ აკულინას!

აკიმ. საგანია რამე? არის?

ანიკო. (ეურს უგდებს) მოვიდნენ.

ანუსია. ჯანაბაშიც წასულან (განაგრძობს ეოვიზების რეცხვას, ეურადღებას არ აქცევს მოსულთ).

სცენა VII.

იგინივე და ნიკიტა.

ნიკიტა. ანუსია! დედაკაცო! ვინა ვარ მე!

ანუსია. (გაისედავს, ჭირს მიუბრუნებს და ჩუმათ არის).

ნიკიტა. (მრისხანეთ) ვინა ვარ-მეთქი? თუ დაგავიწყდა?

ანუსია. გეყოფა ყბედობა, ერთი შენ! გასწი.

ნიკიტა. (კიდეკ უფრო მრისსანეთ) ვინა ვარ—მეთქი?

ნანუსია. (მიდის სელზე სელს კიდებს) ვინა ხარ და ქმარი. გასწი, შედი სახლში.

ნიკიტა. ქმარი! ჰო, ასე სთქვი, ქმარი-თქო! აბა რა ქვია შენს ქმარს სახელი, მითხარი ერთი?

ანუსია. კარგი, გამშორდი—რა ქვია და ნიკიტა.

ნიკიტა. უზრდელო! მამა ჩემს რა ქვია?

ანუსია. აკიმი—მერე!

ნიკიტა. (სულ კარებში დგას). ჰო, ასე! არა, შენ ის მითხარი, რა გვარი ვარ?

ანუსია. (იცინის და სელით ეჩიდება სასლში). ჩილიკინი, როგორ გახეთქილა!

ნიკიტა. (კარებს მიებჯინება სელებით). არა, შენ ის მითხარი, რომელი ფეხით შემოდის ჩილიკინი სახლში!

ანუსია. კმარა ერთი! სახლი გააცივე.

ნიკიტა. სთქვი რომელი ფეხი შემოდგა? უთუოთ უნდა სთქვა.

ანუსია. (თავისთვის) ტვინს ამომიდუღებს ახლა. მარცხენა ფეხი შემოდგა. ახლა აღარ შემოხვალ?

ნიკიტა. მასე ჰო!

ანუსია, გაიხედე, ვინაა სახლში!

ნიკიტა. მშობელი? მე მშობელს არ ვთაკილობ.

მშობელს პატივსაც ვცემ. გამარჯობა, მამავ! (სალამს აძლევს და ხელს უწვდის) ღმერთმა გაგიმარჯოს!

აკიმ. (პასუხს არ აძლევს) დახე არაყს რა შეუ-ძლია, არაყსა! საძაგლობაა.

ნიკიტა. არაყი? რომ დავლიე? მართალია, დამ-ნაშავე ვარ, მეგობართან გადავკარი, მომილოცა.

ანუსია. წადი, დაწევი.

ნიკიტა. დედაკაცო, სადა ვარ ახლა, სთქვი?

ანუსია. კარგი, კმარა, წადი, დაწევი.

ნიკიტა. არა, ჯერ ჩაი უნდა დავლიო მშო-ბელთან. სამოვარი დადგი, აკულინა, მოდი რაღა.

სცენა VIII.

იგინივე და აკულინა.

აკულინა. (გამოწყობილი, ნაკვეთი მიდის ნა-კიცასაკენ). როგორ დაგინგრევია ყველაფერი? ნართი რა უყავი?

ნიკიტა. ნართი? ნართი იქაა. მიტრიჩ, კაცო! სადა ხარ! დაგეძინა, თუ რა დაგემართა; ე-მანდ შენ? გასწი, ცხენს მიხედე.

აკიმ. (აკულინას ვერ სდაკს, შკილს უმზერს). რას აკეთებს? დალალულა ბერი კაცი, რაქვიან, მთელი დღე მუშაობდა, ეს კი გახეთქილა და კიდევ იმას უბრძანებს: „ცხენს მიხედეო“! ფუი შენს კა-ცობას! რა საძაგლობაა!

მიტრიჩ. (ჩამოვა ფეხიდან და ნაბდის ფეხსაცმელს იცვამს). დამიფარე, ღმერთო! გარეთაა ცხენი თუ? უთუოთ მოკალი ჰაი! რა გვარათ გამოეენთილა! თავს გადადის! დამიფარე, წმინდაო ნიკოლოზ! (ჩაიცვამს ტყავს და გარეთ მიდის).

ნიკიტა. (დაუდება) მაპატივე, მამავ! მართალია, დავლიე, მაგრამ რა გაეწყობა! ქათამიც კი სვამს. ასეა ხომ? უნდა მაპატივო. მიტრიჩს არ სწყენს, რა უპირს, რომ მიხედოს!

ანუსია. მართლა დავადგა სამოვარი!

ნიკიტა. დაადგი, მ'შობელი მესტუმრა, მინდა ველაპარაკო, ჩაი მინდა დავლიო მასთან, (აკულინას) ნავაპრი გადმოიღე?

აკულინა. ნავაპრი? ჩემი გადმოვიღე, სხვა კი მარხილშია. აი ეს, ჩემი არ არის, გამომართვი. (გადმოისვრის სუფრაზე გასვეულს ნავაპრს, სსვას ზანდუკში ინახავს. ანიკო უმზერს, აკულინა როგორ აწყობს ზანდუკში. აკიმ არ უყურებს შკილს და თავის ქალამანსა და ტანსაცმელს ინახავს ფეჩზე).

ანუსია. (მიდის სამოვრით) ისეც საკმე ჰქონდა ზანდუკი და კიდევ რეები უყიდია!

სცენა IX.

აკიმ, აკულინა, ანიკო და ნიკიტა.

ნიკიტა. (ფსიზლათ უნდა ეჩვენოს) შენ, მამა, ნუ გამიჯავრდები. ახლა შენ გგონია, მთვრალი ვარ?

აბა გეტყვი, რომ ყველაფერი შემიძლია, დავთვრები, მაგრამ ჭკუა კი არ მეკარგება! მე ახლა, მამა, შენთან ლაპარაკი შემიძლია, ყველაფერი მახსოვს, ფულის თაობაზე რომ მიბძანე, ცხენის ყიდვა მინდაო, მახსოვს. ყველაფერი მოხერხდება. ყველაფერი ჩვენს ხელშია. დიდი ფული რომ იყოს საჭირო, უნდა მოგეცადა, და ეს რა სათქმელია, ახლავე შემიძლია მოგცე. აი წაიღე!

აკიმ. (თავის სახეს უკლის) ეჰ, ბიჭო, რაქვიან, გაზაფხულზე გაკეთებული გზა არ ვარგა, რაქვიან...

ნიკიტა. მაგას რაზე ამბობ? დამთვრალთან ლაპარაკი, მუსაიფი არ ვარგა, თუ? ეჰვი ნუ გაქვს, ჩაი დავლიოთ. მე ყველაფერი შემიძლია, ერთი სიტყვით, რაც გინდა, იმ საქმეს შეგისრულებ.

აკიმ. (აქნევს თავს) ჰაი, ჰაი, ჰაი!

ნიკიტა. ფული? ა ფული! (ამოიღებს პორტმანეს ჯიბიდან გაშლის და თუმნიან წითელ ქაღალდს სელში იჭერს) წაიღე, ცხენი იყიდე, იყიდე ცხენი! მე მშობელს არ ვივიწყებ. ჩემს დღეში არ დავივიწყებ, იმიტომ რომ მშობელი ხარ. წაიღე და! სულაც არ მშურს (მიდის და სელში ჰჭეჭავს ჰკიმს ფულს) წაიღე და, როდესაც გაძლევ, მე არა მშურს.

აკიმ. არ მინდა, რაქვიან.... არ შემიძლია, რაქვიან, შენთან ლაპარაკი, იმიტომ, რაქვიან, რომ შენ ადამიანის სახე არა გაქვს.

ნიკიტა. არ გაგიშვებ. წაიღე! (ჩეჩებს აკიმს სულში აგდებს).

სცენა X.

იგინივე და ანუსია.

ანუსია. (შემოდის და დადგება) გამოართვი, ხომ არ მოგეშვება.

აკიმ. (გამოართმევს. ქუჩეკს თავს) ეჰ, ღვინომ ეს იცის!

ნიკიტა. ასე არა სჯობს, დამიბრუნებ, ხომ კარგი, თვარა ღმერთმა მოგახმაროს. (ანგელოზს დაასხავს) აკულინა, ნავაჭრი მოიტანე.

აკულინა. რა?

ნიკიტა. მოიტანე ნავაჭრი.

აკულინა. ნავაჭრიო! რა საჩვენებელია! შევინახე კიდეც.

ნიკიტა. მოიტანე-მეთქი; ანიკოს იამება. აჩვენე, გეუბნები, ანიკოს, შალი გამოხსენი, მოიტა აქ.

აკიმ. ეჰ, რა საზარელი ამბავია! (ეგეჩსე ადის).

აკულინა. (მოსიმებნის და სუფრასე აწყობს) ჰა! აბა რა სანახავია?

ანიკო. კარგია. სტეფანიდისაზე უარესი არ არის.

აკულინა. სტეფანიდისაო? სტეფანიდისა ამასთან რას გამოჩნდება? (გაცოცხლდება, დაშლის დაიწყებს) დახე ამას, როგორია!.. ფრანგულია.

ანიკო. ფრანგულია. რა ლამაზი ჩითია! დედი-

საც ასეთია, ოლონდ უფრო ღიაა, ცისფერია, მშვენიერებაა!

ნიკიტა. მაშ რა გეგონა! (ანუსია გაკვირვებული შედის სასლში, შემოაქვს სუფრაზე გადასაფარებელი და სუფრასთან მიდის).

ანუსია. ერთიც თქვენ ამოგიწყვიათ.

ნიკიტა. დახედე და!

ანუსია. რას უნდა დავხედო? არ მინახავს თუ? აალაგეთ! (წამოაკრავს სელს და შალს იატაკზე გადაგდებს).

აკულინა. რას შვრები? შენ შენი გადაყარე (აიღებს).

ნიკიტა. ანუსია! მე შენ გაჩვენებ შენს თვალის სეირს!

ანუსია. რა უნდა მაჩვენო?

ნიკიტა. შენ გგონია, რომ დამავიწყდი? დახე აქა. (ასკვნებს ქალალდში გამოსაკეულს ნაკაწრს, რომელსაც დაკვდება) ეს შენი ფეშქაშია. ოლონდ დაიმსახურე, დედაკაცო! სად ვზივარ?

ანუსია. გეყოფა ყოყოჩობა. არ მეშინია შენი. ერთი ეს მითხარი შენ: ვისი ფულითაა, რომ ასე ქეიფობ და შენის ხასისთვის ფეშქაშებს ყიდულობ? ჩემი ფულით განა!

აკულინა. გინდა ჩაგამტვრიო მაგ ცხვირპირი! დიახ, შენია! გინდოდა მოგეპარა, მაგრამ ვერ

მოგართვეს! გასწი აქიდან. (უნდა გაიაროს და ხელსა კრავს).

ანუსია. ხელსა მკრავ კიდეც? მე შენ გაყურებინებ შენს თვალის სეირს!

აკულინა. აბა გაბედე! (მიადგება გულზე).

ნიკიტა. კარგი ახლა, დედაკაცებო! კმარა! (ჩაუდგება შუაში).

აკულინა. მოდი ერთი უყურე. ენა ჩაიგდე მუცელში და დადექ შენთვის! უყურე ერთი! შენ გგონია, არ იციან!

ანუსია. ჰო, რა იციან! სთქვი რალა, რა იციან!

აკულინა. იციან შენი ნასიკეთვარი!

ანუსია. ჰაი შე იასარო შენა, ქმარს რომ მართმევ!

აკულინა. შენ კი, შენი ქმარი მიწაში ჩაიყვანე!

ანუსია. (მიკარდება აკულინას) მიქარავ!

ნიკიტა. (დაიწყრის) ანუსია! დაგავიწყდა?

ანუსია. რას მემუქრები! არ მეშინია მე შენი?

ნიკიტა. გიდი კარში (მიაბრუნებს და ეინკუილით კარეი გააგდებს).

ანუსია. სად უნდა წავიდე? არ გავალ ჩემი სახლიდან.

ნიკიტა. გეუბნები — კარში გადი-მეთქი? არ შემომეკარო.

ანუსია. არ წავალ. (ნიკიტას ხელს უჭერს. ანუსია კიკის, სტირის და კარებს ეკიდება) ჩემი სახლიდან უნდა გამაგდო გარეთ? რა გინდა, შე ავაზაკო, შენა! გგონია სამართალს არ მაღირსებენ თუ! დაიცა, ნახავ!

ნიკიტა. აბა გაბედე!

ანუსია. მამასახლისთან, ბოქაულთან წავალ.

ნიკიტა. გასწი მეთქი, გეუბნები (ძალით გაგდების კარში).

ანუსია. (კარებიდან) ოიავს ჩამოვიხჩობ.

სცენა XI.

ნიკიტა, აკულინა, ანიკო და აკიმ.

ნიკიტა. ძალიან არ შეეეპუე!

ანიკო. ვაააი დეეედააა ჩემო, საყვარელო დეეედააა! (სტირის).

ნიკიტა. ძალიან არ შემაშინა! შენ რა გატირებს? დაბრუნდება, ფიქრი ნუ გაქვს! წადი, სამოვარს მიხედე. (ანიკო მიდის).

სცენა XII.

ნიკიტა, აკიმ და აკულინა.

აკულინა. (შეკუბს ნაგაკრს და გასვეკს) უყურე ერთი ამ როსკიპს, რა ამბავშია! დავუჭრი მთლათ ე-მის ჩასაცმელს, მოუხდება!

ნიკიტა. გავაგდე ხომ გარეთ, ახლა რაღა გინდა სხვა?

აკულინა. ახალი შალი დამი!ვარა. არ წასულიყო ეგ ჰაკი, ვაჩვენებდი მის თვალის სეირს! თვალებს ამოვპოტნიდი!

ნიკიტა. კმარა გულპიწობა. აბა რა გაქვს გულის მოსაყვანი? რომ მიყვარდეს, კიდევ ჰო!

აკულინა. გიყვარდეს? ძალიან სასიყვარულო რამე არი, მე შენ გეტყვი დრუნჩგასიებული დედაკაცი. ადრე რომ გაგეგდო, ხომ მოსვენებული ვიქნებოდით! ქე რას ერიდები. სახლიცა და ფულიც მაინც ხომ ჩემია! ოჯახის პატრონი ვარო, ჩემი ქმრის ცოლი ვარო, რომ ამბობს, აბა რა ოჯახის პატრონია, ის ბოროტი! გახსოვდეს, შენც იმ დღეს დაგაყენებს.

ნიკიტა. დედაკაცის ენას, აბა რა გაუწვდება! თვითონ არ იცი, რას როშავ!

აკულინა. დიახაც ვიცი. არ მინდა მასთან ერთათ ვიცხოვრო. კარში გავაგდებ, რა ნება აქვს ჩემთან იცხოვროს! ცოლია ვითომ! კაი იმას მოუვა, კაი ცოლი ის იყოს! ცოლი კი არა, სათოკე ავაზაკია!

ნიკიტა. კმარა, რა გაქვს გასაყოფი? დაანებე თავი. მე მიყურე, მე ვარ ოჯახის პატრონი. რაც მნებავს იმას ვიზამ. ის შევიძულე და შენ შეგიყვარე! ვინც მინდა, იმას შევიყვარებ, ჩემი ნებაა. (კარგით შუაკს ჩაუჭერილი. ეჰ, მუზიკა რომ ყრაა!)

ფეჩზე აწყვია შოთები,
ჯამი კორკოტით გავსილი,—
სანამ ცოცხალვართ, ვილხინოთ;
მოვკვდეთ, რა მოვა სიკვდილი.
ფეჩზე აწყვია შოთები,
ჯამი კორკოტით გავსილი...

სცენა XIII.

იგინივე და მიტრიჩ. (შემოდის, გაიძრობს და ფეჩზე დასაწოლათ მიდის).

მიტრიჩ. ეტყობა დედაკაცები წაიკიდენ, დაკორტნეს ერთმანეერთი! დამიფარე, ღმერთო და წმიდაო ნიკოლოზ!

აკიმ. (ფეჩის კიდეში ზის, მოხსნავს თავის ქალამანს და იცვამს). გაიარე, გაიარე კუთხეში.

მიტრიჩ. (ადის) ეტყობა, კიდევ ვერ გაუყვიათ, დამიფარე, ღმერთო!

ნიკიტა. ლიქორი მოიტანე, ჩაის დავაყოლოთ.

სცენა XIV.

ანიკო. (შემოდის. აკულინას) სამოვარმა გადიარა.

ნიკიტა. დედა სადაა?

ანიკო. გარეთაა, ლაფარში, სტირის.

ნიკიტა. ასე ეკადრება. დაუძახე. უთხარი, საშოვარი შემოიტანოს. შენ, აკულინა, ჩაის იარაღი მოამზადე.

აკულინა. ჩაის იარაღი? კარგი. (აწყობს)

ნიკიტა. (მოაქვს ლიქორი, ტკბილი პურები და თევზი). ეს მე, ეს საკლოვი დედაკაცს, ნაფთი იქ გარეთაა. ა ფულიც. დაიცა. (აიღებს ხელში სასგარიშოს. ჩაგდებს) პურის ფქვილი ოთხი აბაზი, ზეთი.. მამაჩემს ერთი თუმანი, მამაჩემო! მოდი, ჩაი დალიე. (სიჩუმეა, აკიმ ფეჩზე ზის და თავის ტანისამოსთან ფოთინობს).

სცენა XV.

იგინივე და ანუსია.

ანუსია. (შემოაქვს სამოვარი) სად დაიღვა?

ნიკიტა. სუფრაზე დადგი. რა ქენი, იყავი მამასახლისთან? ასეა, ენა რომ წაგისწრებს წინ. კმარა ახლა გულპიწობა. დაჯექი, დალიე. (დაუსხამს ლიქორს) ესეც შენი ფეშქაში (მიაწოდებს ქაღალდში გახვეულს ნავაჯრს, რომელსაც აჯდა. ანუსია ჩუმათ გამოარიმევს და თავს აქნევს).

აკიმ. (ჩამოვა და ტეავს ჩაიცვამს, მიდის სუფრასთან და ფულს დადებს) ა შენი ფული, წაიღე.

ნიკიტა. (ფულს ვერ შეხედავს) როპ ჩაგიცვამს, სად ემგზავრები?

აკიმ. წავალ, რას ვაკეთებ აქ. მაპატიეთ, თქვენი ღვთის გულისათვის (აიღებს ხელში ქუდსა და სარტეულს).

ნიკიტა. ერი ჰაა! აბა ამ შუალამისას სად უნდა წახვიდე?

აკიმ. არ შემიძლია, რაქვიან, თქვენს სახლში დავრჩე, არ შემიძლია, რაქვიან, დავრჩე აქ, მაპატივეთ!

ნიკიტა. რა დროს წასვლაა, ჩაი დავლიოთ!

აკიმ. (შემოირტყამს სარტყელს). წავალ, იმიტომ რომ აქ უკეთურობაა, რაქვიან, უკეთურობაა, ნიკიტა, ცოდვაა შენს სახლში, რაქვიან, ცუდათ სცხოვრობ, ცუდათ. წავალ.

ნიკიტა. კარგი ახლა ერთი! დაჯექი, ჩაი დავლიოთ.

ანუსია. ახლა ამ შუალამისას რომ გადავარდე, მამა, ხომ თავი უნდა მოგვეკრას ქვეყანაში? რა გაწყენიეთ ასეთი?

აკიმ. მე რას მაწყენიებთ, რაქვიან, ოღონდ ვხედავ, რომ უკულმა მიდის ჩემი შვილის საქმე, უნდა დაიღუპოს, რაქვიან, დაიღუპოს!

ნიკიტა. რათ უნდა დავიღუპო? აბა დამიმტკიცე!

აკიმ. ცოდვაში ხარ ჩაფლული, ცოდვაში! რას გეუნებოდი ამ ზაფხულს?

ნიკიტა. რამდენს რას იტყვი—ვის დაამახსოვნდება.

აკიმ. აკი გითხარი, რომ ის ობოლი გოგო, მარინე, დაჩაგრე, რაქვიან, დაღუპე-მეთქი,

ნიკიტა. ერთი შენც გაიხსენე! აბა რა მოსაგონელია, მორჩა და გათავდა...

აკიმ. (გაფიცხდება) გათავდა? არა, შვილო, არ გათავებულა. ცოდვა ცოდვას ეპოტინება და კაცს იზიდავს. ჩაფლული ხარ, ნიკიტა, ცოდვაში! გხედავ ჩაფლული ხარ ცოდვაში, ჩაფლული ხარ კისრამდი!

ნიკიტა. მაგ ლაპარაკს თავი დაანებე, დაჯექი, ჩაი დალიე.

აკიმ. ვერ დავლევ, რაქვიან, შენთან ჩაის, იმიტომ, რომ შენი საძაგლობა, რაქვიან, მეზიზღება, გულზე მაწვება და მეზიზღება. ვერ დავლევ, რაქვიან, შენთან ჩაის.

ნიკიტა. გააბი ახლა ჭიანური! მოდი, დაჯექი, ჩაი დალიე-მეთქი.

აკიმ. ეს შენი სიმდიდრე ქსელია, რაქვიან, ქსელი. ეჰ, ნიკიტა, ეჰ! ადამიანს გული უნდა ჰქონდეს!

ნიკიტა რა ნება გაქვს შენ, ასე რომ მელაპარაკები ჩემს ოჯახში? რაო, მართლა, რას ჩამაცივდი! ბავში ვარ შენი, ყურები გინდა დამაგლიჯო, თუ როგორაა შენი საქმე! ახლა ეს წესები აღარ გახლავს მოდაში!

აკიმ. მართალია, ახლანდელი შვილები, რაქვიან, მამებს წვერშიაც წააფრინდებიან თურმე. დამიჯერე, ამისთანა საქციელი სიკეთეს არავის დააყრის, დამღუპველია.

ნიკიტა. (გულმოსული) შენი წყალობით ხომ არ ვცხოვრობთ, თვითონ შენ მოდიხარ და შემწეობას გვთხოვ.

აკიმ. ფულიო? ა შენი ფული, აგერ არის, სხვა-გან სამოწყალოს ვითხოვ, რაქვიან, და შენ კი არ გამოგართმევ.

ნიკიტა. კმარა, რა გაჯავრებს! კამპანია გინდა დაარღვიო ახლა? (იტყვის, ხელზე ხელს ჭიდებს).

აკიმ. (დაიწყაევლებს). გაშიშვი, არ დავრჩები. გარეთ ლობის ძირში მირჩევნია ღამე გავათიო, ვ შენთან კი ამ სიბინძურეში არ დავრჩები. ფუი, ღმერთო შემინდე (მიდის).

სცენა XVI.

ნიკიტა, აკულინა, ანუსია და მიტრიჩ.

ნიკიტა. მოდი ერთი უყურე!..

სცენა XVII.

იგინივე და აკიმ.

აკიმ. (გაიღებს კარს) გონს მოდი, ნიკიტა! სული არ დაივიწყო! (მიდის).

სცენა XVIII.

ნიკიტა, აკულინა, ანუსია და მიტრიჩ.

აკულინა. (აალაგებს ჩაის იარაღს) დაეასხა, თუ არა? (სახოგადო სიჩუმეა).

მიტრიჩ. (ბურდღულობს) დამიფარე, ღმერთო, მე ცოდვილი! (ყველანი შეკრთებიან).

ნიკიტა. (წამოწვება სკამ-ლოგინზე) ეჰ, ზაფრა მომაწვა გულზე, მერე რა ზაფრა! აკულინა! სადაა მუზიკა?

აკულინა. მუზიკა? კაი დროს გაგახსენდა! აკი გასაკეთებელად მიაბარე. ჩაი დავასხი, დალიე.

ნიკიტა. არ მინდა. დააქრეთ სინათლე. ეჰ, რა რიგათ მომაწვა გულზე ეს ოხერი ზაფრა! (სტირის)

ფ ა რ დ ა.

მოქმედება მეოთხე.

მოქმედნი პირნი:

ნიკიტა, მატრონა, ანუსია, ანიკო, მიტრიჩ,—მეზობელი დედაკაცი, ნათლიდედა, შუამავალი—პირქუში გლეხი.

შემოდგომის საღამოა. მთვარე ანათებს, შუა ეზო. შუაზე დერეფანია. მარჯვნით სადგომი სახლია და პიშკარი. მარცხნით უცხლო სადგომია და სარდაფი. სადგომში ლაპარაკი და დამთვრალთა ყვირილი ისმის მეზობელი დედაკაცი გამოდის დერეფნიდან და ანუსიას ნათლიდედას ანიშნებს მივიდეს მასთან

სცენა I.

ნათლიდედა და მეზობელი დედაკაცი.

მეზობელი დედაკაცი. რატომ არ გამოვიდა აკულინა?

ნათლიდედა. რატომ არ გამოვიდა? როგორ არ გამოვიდოდა, მაგრამ არსკალია, გესმის. შუამავლები მოვიდენ, უნდათ ქალი ნახონ. ის კი წევს და ცივ ოფლშია საბრალო, თავზე საბან წახურული.

მეზობელი დედაკაცი. რა ამბავიაო?

ნათლიდედა. ამბობენ: თვალ ნაკრავია და მუცელი ასტკივდაო.

მეზობელი დედაკაცი. მართალია განა?!

ნათლიდედა. მაშ რა გეგონა. (ყურში ეჩურჩულება)

მეზობელი დედაკაცი. ავაი! რა ცოდვა მომ-ხდარა! მერე ხომ შეიტყობენ შუამავლები!

ნათლიდედა. რას შეიტყობენ! დამთვრალი არიან, უფრო მზითევზე უჭირავთ თვალი. მერე რა მზითევს აძლევენ იცი: ორ ქურქს, ექვს კაბას, ფრანგულ შალს, მრავალს ტილოს და ორას მანათს ფულს.

მეზობელი დედაკაცი. რა კი ასეა, მზითევიც ველარ უშველის, რა სრცხვილი და სიკვდილია, უიმე!

ნათლიდედა. სს... შუამავალი ხომ არ მოდის (გაჩუმდებიან და დერეფანში შედიან).

სცენა II.

შუამავალი. (მარტო შემოდის, ასლოკინებს) რა უცნაურათ დამცხა. ცოტა გავგრილდე (დადგება და ფშვინავს) დასწყევლოს ღმერთმა!.. ცუდ გუნებაზე ვარ... არ უნდა იყოს კაი ამბავი ..

სცენა III.

მაჭანკალი და მატრონა.

მატრონა. (დერეფნიდან). მე კი შენ დაგეძებ და ვამბობ: სადაა ჩვენი თვალის სინათლე შუამავალი მეთქი! შენ კი, ბატონო, აგერ ყოფილხარ! აბა

როგორაა საქმე, შენი ჭირიმე, ღვთის მადლით, ხომ ყველაფერი პატიოსნათ და კარგათ დაგხვდათ? ქალის თხოვა ხუმრობა როდია! ტრაბახობათ კი ნუ ჩამომართმევთ—ტრაბახობა არ მისწავლია. რა კი ასეთი კეთილი საქმისათვის მოხვედით, ღმერთია მოწყალე, მადლობელი დარჩებით. პატარძალი სამარგალიტოა, გულის გასახარებელი მაგისთანა გოგო ჩვენ მხარეში მეორე არ მოიძებნება.

შუამავალი. ეს კარგი, მაგრამ ფულის საქმე როგორ იქნება?

მატრონა. ფული რა სალაპარაკოა. რაც მამამ დაუტოვა, ყველაფერი თან აქვს. ამ ლანდელ დროში ცოტა ფული არ არის სამი ხუთ, ხუთ თუმნიანი ქაღალდი.

შუამავალი. ჩვენ სამდურავს არ ვამბობთ, რა ექნათ. შვილია და უკეთ გვინდა მოვაგვაროთ საქმე.

მატრონა. აბა მე შენ მართალს გეტყვი: მე რომ არა, შენს დღეში ვერ იშოვნიდი. მაგათ სხვებისაგანც მოუვიდათ შუამავალი, მაგრამ მე მაინც ჩემი გავიტანე. ფულზე ნამდვილს გეტყვი: ცხონებული რომ კვდებოდა, დაუბარა ცოლს, ნიკიტა ჩამოიყვანე ოჯახში და გაყევითო ფული კი, რაც დარჩა, ყველა აკულინას აქვს შენახული. ესენი ჩემის შვილისაგან ვიცი. მის ადგილზე, სხვას სიხარბე წასძლევდა, ნიკიტა კი უკანასკნელ გროშამდი აძლევს. ხუმრობა ამბავია, რა ფულია!

შუამავალი. ამბობენ, მეტი ფული დარჩაო, შენი შვილიც ხომ ახლა ისეთი ანგელოზი არ იქნება, რომ...

მატრონა. ეჰ, ჩემო თვალის სინათლეკ! სხვის ხელში ლუკმა-კაცს დიდათ ეჩვენება. რაც დარჩა მამა-მისს, იმას აძლევენ, სხვა რა ქნან? მე შენ გეუბნები, მაგ ეკვიანობას თავი დაანებე და საქმე მალე გაათავე. მერე რა გოგოა, პეპელაა, ნამდვილი პეპელა!

შუამავალი. ეს მართალია, მარა მე და ჩემმა დედაკაცმა ერთი რამე ვიფიქრეთ: რატომ ამდენს ხანს არ გათხოვებულა? ვაი თუ სნეულია ეთქა?

მატრონა. ეჰე .. რას ამბობ, კაცო! სნეული კი არა, მაგისთანა ლამაზი ტანადი გოგო მეორე არა ჩვენში, ისეთი ტანადია, თითქოს ამოსუნთქული იყოს, ვერც კი უბწყენ. აკი ნახე ამას წინათ. ცოტა ყურს აკლია, მართალია, მარა წითელ ვაშლს გულში რომ ჭია ჰქონდეს, რას დაუშლის! და რომ ამდენს ხანს არ გათხოვილა, ეს იმის ბრალია, რომ თვალ-ნაკრავია, გაღალულია, ისიც ვიცი, რომელი ჭაკის ბრალია. ახლა რომ შეიტყვეს—შუამავალი მოდისო, ათხოვებენო, აიღეს და გაღალეს. მარა იმის შელოცვაც ვიცი. ხვალ ფეხზე დავაყენებ გოგოს. გოგოსი ეჭვი ნუ გაქვს.

შუამავალი. მაშ საქმე გათავებულია.

მატრონა. აბა უკან აღარ დაიხიო, ნურც მე დამივიწყებ. ღმერთია მაჯუამე, ბევრი ვეცადე. ნუ დაგავიწყდები...

დედაკაცის ხმა დერეფნიდან. ივანე, თუ მივდივართ, წავიდეთ რაღა!

შუამავალი. ამ წამში. (მიდის, შეგროვდებიან დერეფანში. სტუმრები მიდიან.)

სცენა IV.

ანუსია და ანიკო.

ანიკო. (შემორბის დერეფნიდან ანუსიას ანიშნებს მივიდეს მასთან) დედა!

ანუსია. (იქიდან) რა გინდა?

ანიკო. დედიკო! აქ მო, თვარა გაგვიგონებენ (მიდის მასთან ფარდულს ქვეშ.)

ანუსია. რა გინდა, გოკო? სადაა აკულინა?

ანიკო. სარდაფში ჩავიდა. მერე რას შვრება, რომ, იცოდე, დედა, უიმე, უიმე!.. რა მეშველებაო, ვკვდებიო! ვიკივლებო, მაინც ხომ ვკვდებიო!

ანუსია. იქნება მოითმინოს. დაიცა სტუმრები გავაცილო.

ანიკო. დედიკო! ძალიან სწუხს, გულიც მოსდის! ტყვილად მაჭანკლობენ, მე ისინი ვერ გამათხოვებენო. არ მინდა ქმარიო. ვკვდებიო. დედიკო! მართლა არ მოკვდეს! სული მიწუხს, მეშინია!

ანუსია. ნუ გეშინია, არ მოკვდება. თავი დაანებე. ახლა წადი (ანუსია და ანიკო მიდიან.)

სცენა V.

მიტრიჩ. (მარტო. მოდის ჭიშკრიდან და დაბნეულ თვალსა კრეფს) დამიფარე, ღმერთო და წმინდაო ნიკოლოზ! რა არაყი ჩანთქეს, რა სძაგელი სუნი დააყენეს, ეზოც კი ააყროლეს. ეჰ, რა მენალვლება! როგორ მოუბნევიათ თივა და! ნეტავი ეკმევინებიოთ მაინცა, ტყვილა, დაუბნევიათ და დაუთელინებიათ ფექვეშ. რა სუნი სდგას! ცხვირი უნდა დაიცვა კაცმა! ფუი! (ამთქნარებს.) ძილის დროა! მეზარება კი სახლში შესვლა. სიმყრალისაგან სული ალარ მოითქმის. რა საძაგლობაა! (ისმის, რომ სტუმრები მიდიან). მადლობა შენ, ღმერთო! ძლივს არ წავიდნენ! რას მიედებ-მოედებიან! სულ უქმია!

სცენა VI.

მიტრიჩ და ნიკიტა.

ნიკიტა. (შემოდის) მიტრიჩ! ადი ფეჩზე, მე ავკრეფ.

მიტრიჩ. მაშ კარგი. ცხვრებს თივა დაუყარე. გააცილეთ?

ნიკიტა. გავაცილეთ კი, მაგრამ რალაც კარგათ არ არის საქმე. აღარ ვიცი, რა ვქნა?

მიტრიჩ. განა არ იცი, რომ დაწესებულია ბუ-შების აღსაზრდელი სახლი? რამდენიც უნდა მიუგდო, არ ენაღვლებათ, აიყვანენ. რა გაწუხებს! გაჩუქებენ პირიქით, ოღონდ გასაზრდელათ აიყვანე. ეს ახლა სულ ადვილი რამეა.

ნიკიტა. აბა, მიტრიჩ, იცოდე, არსად წამოგ-ცდეს.

მიტრიჩ. მე რა დავა მაქვს. შენი ნასიკეთვარი შენვე გაასწორე. ეჰ, რა ნაირათ ყირხარ არაყისა-გან! სახლში შევალ (მიდის, ამოიქნარებს). ღმერთო, მიშველე!

სცენა VII.

ნიკიტა. (დიდხანს ჩუმათ ირის, მარხილში ჩაჯდება) რა ყოფაში ჩავვარდი!

სცენა VIII.

ნიკიტა და ანუსია.

ანუსია. (გამოდის). საღა ხარ, კაცო?

ნიკიტა. აგერ ვარ!

ანუსია. რას დამჯდარხარ აქ? რა დროს დაგვიანებაა. უნდა გამოიტანო ახლავე.

ნიკიტა. რა უნდა ვქნათ?

ანუსია. მე გეტყვი, რაც უნდა ქნა!

ნიკიტა. კი, მაგრამ, არ სჯობდა, რომ ალსაზ-
რდელ სახლში მიგვეტანა ლ მერე ჩვენვე აგვეყვანა!

ანუსია. თუ გეხალისება, თვითონ წაიყვანე და
მიაბარე. მრუშობა გიყვარს, და როცა მისი კუდი
გამოჩნდება, მაშინ კი სუსტობ, განა?

ნიკიტა. რა უბედურობა უნდა ვქნა?

ანუსია. გეუბნები: წადი, სარდაფში ორმო
ამოთხარე.

ნიკიტა. იქნება სხვა გვარათ მოგეწყოთ რამე?

ანუსია. (აჯავრებს) ,,იქნება სხვა გვარათ
მოგეწყოთ რამე''! ალბათ არ მოხერხდება სხვა
გვარათ. ეს წინ და წინ უნდა გცოდნოდა. გასწი!

ნიკიტა. ვაიმე, რა დღეში ჩავვარდი!

სცენა IX.

იგინივე და ანიკო.

ანიკო. დედიკო! ბებია ქალი გეძახის. ალბათ
ბავში დაიბადა, ჰყიპინი მომესმა.

ანუსია. რას ბოშავ, შე სასიკვდილო! ის კატის
კნუტია, რომ კნავის. შედი სახლში და დაიძინე,
სული არ დაბერო.

ანიკო. (გაიქცევა).

ანუსია. (ნიკიტას). წადი, მოამზადე, რაც გი-
თხარი, თვარა ვაი შენს ღღეს! (მიდის).

ხცენა X.

ნიკიტა. (მარტოა და კარგა ხანს შემდეგ ამბობს) ეჰ! როგორ შევტოპე! ეს დედაკაცები ნამდვილი ეშმაკებია. წინ და წინ უნდა გაცოდნოდეო. აბა როდის უნდა მეფიქრა! რა მექნა, გადამეკიდა ანუსია ამ ზაფხულს და მეც ხომ ბერი არ ვიყავი? ცოდვა ხომ დავფარე, როგორც რიგი იყო-ისე და სხვა რა უნდა მექნა? ჩემი რა ბრალია? განა ცოტა ხდება ასეთი საქმე? რომ მცოდნოდა, მოვკლავდი მაშინ მაგ ძუს, ნამდვილათ მოვკლავდი! ამ ბინძურ საქმეში მონაწილეთ გამხადა მაგ უნამუსომ, კიდეც შემძაგდა მას აქეთ დედამ რომ მიანბო ის ამბავი, მას აქით ჭირივით შემძულდა და თვალის დასანახავათ მეზარება. ეჰ, როგორ შემიძლია მასთან ცხოვრება? მას აქით აღარ ვვარგოდით ჩვენ ერთმანეთისათვის!.. ამ დროს ეს გოგო გადამეკიდა, ჩამომეკორწიალა კისერზე. რა. მექნა? მე რომ არა, სხვას გადაეკიდებოდა... და ახლა რა ცოდვაში ჩავვარდი! მე რა შუაში ვარ ეჰ! რა აბავია? (ზის დაფიქრებული). რა გამბედავები არიან ეს დედაკაცები —რა მოუგონიათ, მაგრამ მე მაგათ არ ავყვები!

სცენა XI.

ნიკიტა და მატრონა (სასაფლაოთ და ბარით გაფუა-ტიცებული გამოდიან)

მატრონა. რას გაჩერებულხარ. განა შენს ცოლს არა უთქვამს რა? კრუხი რომ ბუდეს დააჯდება, ისე რომ დამჯდარ ხარ, არა, რას ფიქრობ? გასწი, საქმე გაკეთე!

ნიკიტა. რა უნდა ვქნათ?

მატრონა. ჩვენ კი ვიცით, რაც უნდა ვქნათ, ოღონდ შენ შენი საქმე გაკეთე.

ნიკიტა. ხათაბალაში გამაბით მე თქვენ!

მატრონა. როგორ, ახლა იხევი უკან? საქმეზე რომ მიდგა, მაშინ იხევი უკან!

ნიკიტა. მაგ საცოდავობაში ვერ გავერევ — ადამიანის შვილია ისიც, სულიერია!

მატრონა. სულიერი კი არა, ისა კიდევ! ძლივს სულს ღაფავს. მაშ რა ვუყოთ? თუ გინდა, გააპარე გასაზრდელათ, სასიცოცხლო მაინც არაა! ოღონდ გახმიანდება, თავი მოგეჭრება და ჩაგვრჩება ოჯახში გაუთხოვარათ ნაბუშარი გოგო!

ნიკიტა. რომ შეიტყონ?

მატრონა. თავის სახლში საქმეს როგორ ვერ მოახერხებს კაცი! ისე მოვახერხებთ, რომ ეშმაკმაც ვერ გაგვიგოს! ოღონდ შენ ის შეასრულე, რაც გითხარი; თვარა ჩვენ ღედაკაცები უმამაკაცოთ ვერას გავაწყობთ. აბა წაიღე ეს ბარი და მოამზადე — მე მოგინათებ.

ნიკიტა. რა მოვამზადო?

მატრონა. (ხმა-დაბლა) ორმო მოთხარე. მაშინ გამოვიტანთ და ხელათ დავმარხავთ. გესმის, კიდევ მეძახის. გასწი რაღა! მე იქ შევალ.

ნიკიტა მოკვდა თუ?

მატრონა. მოკვდა მაშ! მალე უნდა გადავრჩეთ, ვინიცობაა ხალხი არ მოგვაწყდეს. გაიგონებენ, ნახავენ და მაგ საძაგლებსაც ხომ ეს უნდათ! ამ საღამოს მამასახლისმა ჩაიარა ჩვენს კარზე. ახლა ჩადი (აძლევს ბარს) სარდაფში და იქ კუთხეში პატარა ორმო მოთხარე—რბილი მიწაა, ისევ ადვილად შეასწორებ. დედა მიწა არ გაგვამხელს, გულში ჩაიტანს. წადი, აბა, შვილო, იჩქარე!

ნიკიტა. ქსელში გამხვევთ მე თქვენ! ღმერთმა გკითხოსთ! სწორეთ არ შემიძლია. რაც გინდათ, ისა ქენით თქვენ თვითონ.

სცენა XII.

ანუსია. (კარებიდან) მოთხარა, თუ არა?

მატრონა. რას გამოსულხარ. რა უყავი?

ანუსია. გოდორი გადავაფარე. ხმა არ გამოვა. მოთხარა?

მატრონა. არ აპირობს.

ანუსია. (გაანჩხლებული გამოვარდება) არ აპირობს! ის კი უნდა, რომ ციხეში ჩალპეს?! ახლავე წავალ, ყველაფერს მამასახლისს შევატყობინებ, სულ

ერთია, მაინც ხომ დალუპული ვარ! ამ წამში ყველაფერს ვეტყვი!

ნიკიტა. (შეკრთება). რა უნდა შეატყობინო?

ანუსია. რა და ყველაფერი! ფული ვინ მოიპარა? —შენ! (ნიკიტა ჩუმაია). საწამლავი ვინ დაალევია? —მე დავალევიე! შენ კი ყველაფერი იცოდი, იცოდი! ყველაფერში მონაწილე ხარ!

მატრონა. კმარა, რა დროსია! რას იბუზები, შვილო? რა გაეწყობა? უნდა გაიჭირვო! წადი, შვილო!

ანუსია. მოდი ნახეთ, რა წმინდა სულია! არ აპირობს! გამტანჯე და დამანელე მე შენ! კმარა! ამდენ ხანს შენს ხელში ვიყავი — ახლა ჩემი დროც დადგა – ახლა ჩემს ხელში ხარ! გასწი, გეუბნები, და თუ არ აპირობ, მე თვითონ ამოვთხრი!.. ა ბარი, ა!.. გამომართვი!

ნიკიტა. რას ჩამაცივდი, ადამიანო? (გამოართმევს ბარს, მაგრამ სწუხს და ვერ ბედავს ადგილიდან დაიძრას) თუ არ მინდა, არ წავალ,

ანუსია. არ წახვალ? (ყვირის) ხალხო! გაიგონე!

მატრონა. (ბირზე ხელს აფარებს) რა დაგემართა! ხომ არ გაგიჟდი?! განა არ წავა? წადი, შვილო, წადი, ჩემო თვალის სინათლევო!

ანუსია. ამ წამს ქვეყანას შევყრი.

ნიკიტა. კმარა ერთი! რა ხალხი ხართ! მალე გაათავეთ მაინც! რაც იყოს იყოს! (მიდის სარდაფში)

მატრონა ეს ისეთი საქმეა, შვილო, რაკი იქეიფე, ახლა დაფარვაც უნდა მოახერხო.

ანუსია. (კიდევ ღელავს) დამცინოდა და შანს მიგებდა, მაგ და მაგისი ხასა! კმარა! ახლა შეიტყოს, რომ მე მარტო არ ვყოფილვარ სხვისი სულის დამღუპველი, მაგიც ჩაიფლას ცოდვაში! შეიტყოს აბა, რა კარგია!

მატრონა. კმარა, შენც ერთი! რა ასე გაპილპილდი! ნუ კი ჯავრობ, ქალო! ის კი არა, მშვიდობიანათა და ნელნელა უნდა მოაგვარო საქმე, ისე როგორც სჯობია. წადი იმ გოგოსთან—მოთხრის. (მიდის სარდაფში სანათით. ნიკიტა ჩადის სარდაფში).

ანუსია თვითონ მას დავარჩობიებ მის ნასიკეთვარს, მის საძაგელ ბუშს! (კიდევ ღელავს). დაენელდი, აღარა ვარ მეტი პეტრეს ცოდვით, მაგანაც გამოცადოს ერთი! არაფერს არ მოვერიდები, ვსთქვი, რომ არ მოვერიდები-მეთქი!

ნიკიტა. (სარდაფიდან) მომინათე ერთი!

მატრონა. (მიუნათებს. ანუსიას) თხრის. წადი, მოიყვანე.

ანუსია. დადექი მანდ, თვარა მაგ უტიფარი გაიპარება, წავალ მოვიყვან.

მატრონა. იცოდე, მონათვლა არ დაგავიწყდეს! თვარა მე მოვნათლავ. ჯვარი გაქვს?

ანუსია. ვუშოვნი. ვიცი, რაც უნდა (მიდის).

პირველი მოქმედების სახლი.

სცენა I.

ანიკო. ტანგამძვრალი სკამ-ლოგინზე წევს, **მიტრიჩ** ტახტზე ზის და ყალიონს სწევს.

მიტრიჩ. ოი, დასწყევლოს ღმერთმა, რა საძაგელი სუნი დაუყენებიათ. როგორ ოხრათ მოქცეულან. თუთუნმაც კი ვერ მოსპო ეს სუნი, რა ნანაირათ სცემს ცხვირში. დამიფარე, ღმერთო! დროა დავიძინო (მიდის, დამპა უნდა ჩააქრობს).

ანიკო (წამოვარდება და დაჯდება). ბაბუა, ნუ დააქრობ, შენი ჭირმე.

მიტრიჩ. რატომ, გოგო?

ანიკო. არ გესმის, რა ამბავია ეზოში! (ყურს უგდებს) არ გესმის, სარდაფში რომ ჩადიან?

მიტრიჩ. მერე შენ რა გენაღვლება? აბა ვინ გეკითხება? დაწევი, დაიძინე შენთვის, მე კი ამ სინათლეს დავანელებ. (ანელებს დამპას).

ანიკო. შენი ჭირმე, ბაბუა, ნუ გააქრობ სულ, ცოტა მაინც დატოვე სინათლე... მეშინია.

მიტრიჩ. (იცინის) კარგი, კარგი (მოუჯდება გვერდით) აბა რისა გეშინია, სთქვი!

ანიკო. როგორ არ მეშინია, ბაბუა! რა მწუხარებაში იყო საბრალო აკულინა! სულ ზანდუკზე ურახუნებდა თავს, (ჩურჩულით) განა არ ვიცი... ბაღანა უნდა ეყოლოს... იქნება ეყოლა კიდეც...

მიტრიჩ რა უცნაური რამა ხარ, შე კუდიანო შენ! ყველაფერი უნდა შეიტყო. დაწეკი შენთვის და დაიძინე. (ანიკო დაწვება). აი ასე! (დაახურავს) იყავი შენთვის, თვარა თუ ბევრი რამე გეცოდინება მალე დაბერდები.

ანიკო. შენ ფეჩზე ახვალ?

მიტრიჩ. მაშ სად წავალ? მოდი ერთი ამას უყურე! ყველაფერი უნდა შეიტყოს. (კიდევ გაუსწორებს ზედსახურავს და ფეჩისაკენ მიდის).

ანიკო. ერთხელ იჭყვირა, მერე კი აღარ ისმის.

მიტრიჩ. დამიფარე, უფალო, მე ცოდვილი! რა ისმის, გოგო?

ანიკო, რა და ბალანას ხმა.

მიტრიჩ. რა უნდა ისმოდეს, რაც არაფერია.

ანიკო. მე კი გავიგონე, ღმერთს გეფიცები, გავიგონე. კნაოდა!

მიტრიჩ. ძალიან არ გაიგონებდი! აბა ერთი ეს მითხარი შენ: გაგიგონია თუ არა, რომ შენისთანა გოგო ოჩიკოჩიმ *) ჩასვა ტომარში და გაუყენა გზას

ანიკო. ვინაა, ბაბუა, ეს ოჩიკოჩი?

მიტრიჩ. დაწყნარდი, თვარა ვინცაა, შეიტყობ. (ადის ფეჩზე) რა კარგია ამელამ ეს ფეჩი, რა თფილა! სწორეთ სასიამოვნოა! დამიფარე, უფალო, მე ცოდვილი!

---

*) ოჩიკოჩი—ტყის კაცი, ქაჯი.

ანიკო. ბაბუა, შენ დაიძინებ?

მიტრიჩ. მაშ რა გეგონა, სიმღერას მოვყვებოდი თუ? (სიჩუმე)

ანიკო. ბაბუა, ბაბუა! მიწას თხრიან; თხრიან, ღმერთმანი—არ გესმის? თხრიან, ღმერთმანი!

მიტრიჩ. რას არ წარმოიდგენს ეს გოგო, მიწას თხრიანო! ღამე მიწის თხრა გაგონილა? ზროხა იფხანს და შენ კი მიწის თხრა გელანდება. დაიძინე თვარა ამ წამს სინათლეს გავაქრობ.

ანიკო. ნუ გააქრობ, შენი ჭირიმე, ბაბუა! გავჩუმდები, აღარ ამოვიღებ ხმას, ღმერთმანი. მეშინია...

მიტრიჩ. გეშინია? ნურაფრისა ნუ გეშინია და აღარ შეგეშინება. აგიჩემებია, მეშინიაო, და შეგეშინება, აბა რა დაგემართება? რა საკვირველია, შეგეშინება, რა კი გეშინია! რა სულელი რამა ხარ, გოგო! (სიჩუმეა. ჭრიჭინას ხმა ისმის).

ანიკო. ბაბუა, ბაბუა, დაგეძინა?

მიტრიჩ. აბა რა გინდა ერთი?

ანიკო. ვინაა ეს ოჩიკოჩი, წელან რომ თქვი!

მიტრიჩ. აი, შენისთანა ბალანა რომ დაწვება და არ დაიძინებს, ის ოჩიკოჩი მოვა, მოიტანს ტომარს, ჩასვამს შიგ ბავშს, თვითონაც ჩაძვრება იმ ტომარაში, წამოხდის პერანგს და კაი ლამაზათ გაცოცხავს.

ანიკო. მერე რით უნდა გაცოცხოს?

მიტრიჩ. რით და წკეპლით.

ანიკო. ტომარში ხომ სიბნელე იქნება, რას დაინახავს?

მიტრიჩ. ნუ გენაღვლება, დაინახავს.

ანიკო. ვუკბენ!

მიტრიჩ. ვერა, გულო, ვერ უკბენ.

ანიკო. ბაბუა, ვინლაც მოდის! ვინაა ეს? ვაიმე, დედა! ვინაა?

მიტრიჩ. მერე მოვიდეს რა უჭირს, რისა გეშინია? დედაშენია, სხვა ხომ არავინაა.

სცენა II.

იგინივე და ანუსია (შემოდის)

ანუსია. ანიკო! (ანიკო ძილს იგონებს) მიტრიჩ!

მიტრიჩ. რა გინდა?

ანუსია. რატომ სანათს არ გააქრობთ?

მიტრიჩ. ახლა მოვრჩი საქმეს; გავაქრობ.

ანუსია. (ზანდუკში ეძებს და ბურდღულობს) როცა გინდა, სწორეთ მაშინ არის, რომ ვერ იპოვნი.

მიტრიჩ. რას ეძებ შენ მანდ, ქალო?

ანუსია. რას ვეძებ და ჯვარს. უნდა მოვნათლოთ. ღმერთმა დაიფაროს მოუნათლავი რომ მოკვდეს. ცოდვაა!.

მიტრიჩ. რასაკვირველია, წესზედ უნდა იყოს, იპოვნე?

ანუსია. ვიპოვნე. (მიდის).

სცენა III.

მიტრიჩ და ანიკო.

მიტრიჩ. კარგია რომ იპოვნა, თვარა ჩემი უნდა მიმეცა, ოჰ, ღმერთო, ღმერთო!

ანიკო. (ადგება და თრთის) ბაბუა, ნუ დაიძინებ, შენი ჯირმე, ძალიან მეშინია!

მიტრიჩ. აბა რისა გეშინია, სთქვი ერთი!

ანიკო. მოკვდება უეჭოდ ბავში? დეიდა ირინეს რომ ამას წინათ ბებიამ ბავში მოუნათლა, ის ბავში გადაბრუნდა და მოკვდა იმ წამსვე.

მიტრიჩ. თუ მოკვდება—დამარხვენ.

ანიკო. ბებია მატრონა რომ არ იყოს აქ, იქნება არც კი მომკვდარიყო. განა არ გავიგონე, რასაც ამბობდა ბებია მატრონა, ყველაფერი გავიგონე.

მიტრიჩ. აბა რა გაიგონე? გეუბნები, დაიძინე-მეთქი. წაიხურე მაგ თავზე საბანი და დაწყნარდი, გესმის!

ანიკო. რომ ცოცხალი დარჩენილიყო, მე ხომ მოვუვლიდი, ვუძიძავებდი.

მიტრიჩ. ოჰ, ღმერთო!

ანიკო. რას უზმენ ახლა ამ ბავშს?

მიტრიჩ. რას უზმენ და იმას, რაც რიგია. რა შენი სადარდელია, გეუბნები დაიძინე-მეთქი, აი დედა-შენი მოვა და გაყურებიებს შენს თვალის სეირს (სიჩუმეა).

ანიკო. ბაბუა! მაშ ბავში ხომ არ მოგიკლავთ, ა?

მიტრიჩ. რომელი? ისა! ის გოგო გაიზარდა, გამოდგა.

ანიკო. ვიპოვნეთო, არა, ბაბუა, ასე არ სთქვი?

მიტრიჩ. დიახ, ვიპოვნეთ.

ანიკო. მერე, სად იპოვნეთ ბაბუა ის ბავში, მითხარი.

მიტრიჩ. სად ვიპოვნეთ და თავის შინ. მიკვლიეთ სოფელში სალდათები, გავჩხრიკეთ სახლები, და ვნახეთ, რომ ბავში იქვე ეგდო, გვინდოდა თავი გაგვეჭყლიტა და ვერ გამოვიმეტე, აკიყვანე ხელში, მაგრამ რომ არ მნებდებოდა, ისე დაიმძიმა თავი, თითქო ათი ბათმანი ყოფილიყოს და ხელებით ისე დაიწყო პოტინი, რომ რასაც წაავლებდა ხელს, ველარ გამოართმევდი. მეც ფერება დავუწყე, თავზე ხელი მოვუსვი, აბუძგული თმა ჰქონდა ტყის ძღარბივით. ბოლოს ამ მოფერებით დაწყნარდა, დავასოვლე ხმელი პური წყალში და მივეცი. მიხვდა, რაც იყო, და ღეჭა დაუწყო. ვფიქრობ, რა ვუყო-მეთქი? წავიყვანეთ, ვაჭამეთ და ვაჭამეთ. მერე ისე გამოვზარდეთ და ისე შეგვეჩვია, ლაშქარში რომ წავედით, თან წაგვყვა, კაი გოგო იყო!

ანიკო. მერე, მოუნათლავი დარჩა?

მიტრიჩ. ვინ იცის, მგონია რომ მთლათ მონათლული არ იყო, სხვა რჯულის იყო.

ანიკო. გერმანელი იყო?

მიტრიჩ. გერმანელი კი არა აზიელი იყო, ურიებსა ჰგავან, მაგრამ ურიები კი არ არიან. იმ გოგოს საშა ეთქვა; კაი გოგო იყო. დახე როგორ დამავიწყდა ყველაფერი. ახლაც თვალწინ მიდგას ის გოგო. ჩემი სამსახურიდან მარტო ესღა მახსოვს. მახსოვს როზგსა რომ მცემდენ და კიდევ ის გოგო კისერზე რომ ჩამომეკიდებოდა და ისე დამყავდა. ძალიან კარგი გოგო იყო. მერე მოგვაშორეს, როტის უფროსის ცოლმა იშვილა,. კაი ქალი დადგა. რა რიგათ შეგვაწუხა სალდათები იმისმა მოშორებამ!

ანიკო. აი კიდევ, ბაბუა, მახსოვს, მამა რომ კვდებოდა, შენ მაშინ ჩვენთან არ მდგარხარ. დაუძახა მიკიტას და უთხრა: მომიტევეო, ჩემო მიკიტა... და ატირდა. (ხვნეშის) ძალიან სამწუხარო სანახავი იყო.

მიტრიჩ. ასეა, გოგო, აბა...

ანიკო. ბაბუა, ბაბუა, კიდევ რაღაცა ხმაურობაა სარდაფში. ვაიმე დედა, რაღა ვქნა! რასმე დამართებენ, ბაბუა, ისინი იმ ბავშს მოკლავენ... პაწაწინაა საწყალი. ვაიმე!.. (ჩარბენს თავს ლოგინში და ტირის)

მიტრიჩ. (ყურს უგდებს) მართლა რომ რაღაცა ბინძურ ამბავს აპირობენ. საზიზღარი დედაკაცებ-ა.

მამაკაციც არ არის საქები, მაგრამ დედაკაცი ხომ კიდევ უარესია. დედაკაცი და ტყის ნადირი ერთია, არაფერს არ შეუშინდება.

ანიკო. ბაბუა, ბაბუა!

მიტრიჩ. რა გინდა, გოგო?

ანიკო. ამას წინათ რომ მგზავრმა სთქვა, ბავში რომ მოკვდება, იმისი სული პირდაპირ ზეცას გაფრინდებაო, მართალია?

მიტრიჩ. რა ვიცი, ალბათ მართალია, მერე რა იყო?

ანიკო. ისა რომ ნეტავი მეც მომკვდარვიყავ. (ფლიკვინობს).

მიტრიჩ. თუ მოკვდი, მაშინ ხომ მორჩა და გათავდა შენი საქმე.

ანიკო. ათ წლამდი ბავშის სულს ღმერთი მიიბარებს, მერე კი შეიძლება ადამიანი გაფუჭდეს კიდეც, გაბინძურდეს.

მიტრიჩ. მერე რა რიგათ გაბინძურდები და! დედაკაცი გაბინძურდება, მაშ რა მოუვა? აბა ვინ გასწავლის თქვენ ჭკუას? რასა ხედავთ და რას გაიგონებთ, თუ არა საზიზღრობას და სიფინთეს! მე, თუმცა ნასწავლი არა ვარ, მაგრამ სოფლის დედაკაცზე მეტი მაინც მესმის, თუ მტკიცეთ არა, ცოტა რამე მაინც ვიცი. სოფლის დედაკაცი კი, აბა რა არი, თუ არა ტალახი და წუმპე. რუსეთში მრავალი

მილიონი დედაკაცია, მაგრამ ფუღუსავით ყველა უსინათლო, ბრმა არის — არაფერი იციან. მკითხაობა, შელოცვა და ბავშების ქათმის ბუდეში ჩასმა, ესეები კი კარგათ იციან.

ანიკო. დედამაც ერთხელ ბავში ჩაუსვა ქათამს ბუდეში.

მიტრიჩ. დიიახ. აბა რამდენი დედაკაცი ხართ გათხოვილი და გაუთხოვარი და ყველა კი ტყის ნადირსა გავხართ. სცხოვრობთ და მერე მოკვდებით, ვერაფერს ვერ ნახავთ და ვერაფერს ვერ გაიგებთ. გლეხი კაცი კი დუქანში, თუ ციხეში, თუ სალდათობის დროს, როგორც მე, ცოტა რასმე ისწავლის. დედაკაცს კი აბა რა გაეგება! ღვთისა კი არა, პარასკევი როდის არის, ისიც კი არ იცის ხეირიანათ. დაიჟინებს პარასკევიო და პარასკევიო და არ იცის კი, რომელი პარასკევია. თვალ-უხილავ ლეკვებივით დაფორთხავენ ნაგავში მოყვებიან რაღაც სულელურ სიმღერებსა და არ ესმისთ კი, რას მღერიან.

ანიკო: მე, ბაბუა, მამაო ჩვენო ნახევარი ვიცი.

მიტრიჩ. კარგათაც გეცოდინება! არც კი მოგეთხოვებათ, რომ იცოდეთ ვინ უნდა გასწავლოსთ? ღვინით გალეშილი გლეხი თუ გასწავლისთ ხოლმე მათრახით. ესაა თქვენი სწავლა. არც ვიცი, მართლა გითხრა, ვინ უნდა აგოს პასუხი თქვენთვის? ახალ გაწვეულ ჯარის კაცისთვის, იმის უფროსია პასუხის

მგებელი თქვენ დედაკაცების მაგიერათ, ვინღაა მოპასუხე, რა მოგახსენო. თქვენ გავხართ უქწყემსო ტყედწასულ საქონელს, ბრიყვული რამე მოდგმა გაქვთ დედაკაცებსა, სწორეთ ბრიყვული.

ანიკო. რა ვქნა, აბა, ბაბუა?

მიტრიჩ. რა ჰქენი და წაიხურე თავზე და დაიძინე. ოი, უფალო! (სიჩუმეა—ჭრიჭინის ხმა ისმის).

ანიკო. (წამოხტება) ბაბუა! ვინღაც ყვირის! ღმერთს გეფიცები, ყვირის. შენი ჭირიმე, აქით მოდის.

მიტრიჩ. გეუბნები, თავზე წაიხურე-მეთქი, გოგო!

სცენა IV.

იგინივე, ნიკიტა და მატრონა.

ნიკიტა. (შემოდის) რა მიყვეს ამ შეჩვენებულებმა, რა მიყვეს?!..

მატრონა. არაყი დალიე, შვილო, დალიე, რა დაგემართა? (არაყს მოიძებნის და დადგამს).

ნიკიტა. დავლევ, იქნება გადამიაროს?

მატრონა. წყნარა იყავ, არ სძინავთ. ჰა, დალიე!

ნიკიტა. რა ჰქენით ესა? აბა რა მოიფიქრეთ. სადმე წაგეყვანათ!

მატრონა. (ჩუმათ) დაჯექი აქ, დაჯექ. დალიე, ან თუთუნი მოსწიე, ფიქრს გაგიფანტავს.

ნიკიტა. საყვარელო დედავ! მოაწია ჩემმა აღსასრულის დღემ, რა რიგათ აკნავდა! რა რიგათ

დაუწყო ძველებმა ხრამი-ხრუმი... განა ახლა მე ადამიანი ვარ?

მატრონა. მართალია, შვილო, ძნელი საქმეა; ნამეტურ ღამით კაცს შიში აიტანს, მაგრამ დაიცა, ერთი ორი დღე გავიდეს, გადაგავიწყდება სრულიად (მიდის ნიკიტას და მხარზე ხელს დაადებს). ნიკიტა!

ნიკიტა. გამშორდი? აბა რა მიყავით?!

მატრონა. რა დაგემართა, შვილო, მართლა ასეთი? (მოკიდებს ხელზე ხელს).

ნიკიტა. გამშორდი, ადამიანო... მოგკლავ! ახლა აღარაფერი არ გამკვირს, მოგკლავ!

მატრონა. რა რიგათ დაუკრთა გული! წადი, დაიძინე.

ნიკიტა. სად ეშმაკში უნდა წავიდე, დავიღუპე კაცი.

მატრონა. (თავს აქნევს) წავიდე, ავალაგო, არა უშავს რა, გადაუვლის (მიდის).

სცენა V.

ნიკიტა, მიტრიჩ, ანიკო.

ნიკიტა. (ნიკიტა ზის და თვალებზე ხელები აქვს მიფარებული, მიტრიჩ და ანიკო სულ-განაბულნი არიან) კნავის, დიახ კნავის... ჰე როგორ ისმის... დამარხავს, სწორეთ დამარხავს! (გარბის კარებში) დედა! ნუ აგდებს მიწაში, ცოცხალია...

სცენა VI.

იგინვე და მატრონა.

მატრონა. (დაბრუნდება, ჩურჩულით). რა დაგემართა, შვილო, ღმერთი იყოს შენი მფარველი! აბა რასა ფიქრობ! აბა რაღა აცოცხლებდა! ძვლები? სულ ერთიანათ დაეჩეჩქვა.

ნიკიტა. მოიტანე კიდევ არაყი (სვამს).

მატრონა. ახლა წადი, შვილო, დაიძინე, აღარა გიჭირს რა.

ნიკიტა. (დგას, ეურს უგდებს) ცოცხალია, ცოცხალი... როგორა კნავის... განა არ გესმის,!

მატრონა. (ჩურჩულით) არა-მეთქი, გეუბნები!

ნიკიტა. საყვარელო დედა! ჩემი სიცოცხლე გათავდა, აბა რა მიყავით? რაღა მეშველება? (გარბის სახლიდან, მატრონა გაედევნება).

სცენა VII.

მიტრიჩ და ანიკო.

ანიკო. ბაბუა, საყვარელო, გენაცვალე, დაახჩვეს სწორეთ!

მიტრიჩ. (შრისხანეი). დაიძინე-მეთქი, გოგო! დაგწიხლოს შენ ბაყაყებმა. დაიძინე, თვარა გაყურებიებ შენს სეირს.

ანიკო. ბაბუა, გენაცვალე, ვილაც ბეჭებზე მაფრინდება, თათებით მებღაუჭება! ბაბუა, გენაცვალე, მეშინია, ამოვალ შენთან ფეჩზე. ქრისტეს გულისათვის ამომიშვი შენთან... ვილაცაა... მიტაცებს, ვაიმე (მირბის ფეჩისკენ).

მიტრიჩ. ოი, დაგწყევოსთ ღმერთმა, რა რიგათ დააშინეს ამ ბინძურებმა ეს ბალანა!.. ამოდი რალა!

ანიკო. (მიდის ფეხზე) შენ არსად წახვიდე.

მიტრიჩ. სად უნდა წავიდე, გოგო? ამოდი! ოი, უფალო და წმინდაო ნიკოლოზ, დედა ღვთისა ღვთის მშობელო ყაზანისაო... რა რიგათ დააშინეს ბალანა! (დასხურავს თავის ტუავს) საცოდავო შენა... სულელო... დააშინეს ამ უწმინდურებმა, დალახვროს ღემრთმა იმათი თავი.—

ფ ა რ დ ა

მოკმედება მეხუთე

მოქმედნი პირნი:

ნიკიტა, ანუსია, აკულინა, აკიმ, მატრონა, ანიკო, მარინე, მარინეს ქმარი, პირველი გოგო, მეორე გოგო. პოლიციის მოხელე, მეეტლე, ძმადე, შუამავალი, აკულინას საქმრო, მამასახლისი, ქორწილზე მოსული სტუმრები, კაცი და ქალი, გოგოები, ხალხი.

კალო. წინ პურის კონები აწყვია. მარცხნით საღვარე. მარჯვნით საბძელია. საბძლის კარი ღიაა. კარებში ბზეა დაყრილი, შიგნით ეზო სჩანს, სიმღერა და დაირა ისმის. საბძელს ჩამოუვლის და მიდის სახლისაკენ ორი გოგო

სცენა I.

ორი გოგო.

პირველი გოგო. ხედავ, როგორ კარგათ გამოვედით, ფეხსაცმელიც არ დაგვსვრია, შარით ვერ გამოვატანდით! საშინელი ტალახია... (შედგებიან და ბზით ფეხებს იწმენდენ).

პირველი გოგო. (აცქერდება ბზეს და რაღაცას ამჩნევს) ეს რაღა არის აქ?

მეორე გოგო. ეს მაგათი მოჯამაგირეა მიტრიჩ. რა რიგათ დამთვრალა!

პირველი გოვო. რომ არ სვამდა?!

მეორე გოგო. არ სვამდა, ალბათ, სანამდი არ დაალევინებდენ.

პირველი გოგო. შეხედე ერთი, ეტყობა ბზისთვის მოსულა აქ. თოკიც ხელში აქვს და ისე დაძინებია.

მეორე გოგო. (ეურს უგდებს) კიდევ არ გაუთავებიათ ქების შესხმა და გალობა. უთუოთ ჯერ არ დაულოცავთ. ამბობენ: აკულინა, თურმე, არ ზუვოდა, თვარა წუხდა კი.

პირველი გოგო. დედამ სთქვა, ძალათ ათხოვებენო. მამინაცვალი დამუქრებია, თვარა მის დღეში არ გათხოვდებოდა. ხომ იცი, რასაც ლაპარაკობდენ იმაზე!

სცენა II.

იგინივე და მარინე. (დაეწევა გოგოებს).

მარინე. გამარჯობა, ქალიშვილებო!

გოგოები. გაგიმარჯოს, დედა!

მარინე. ქორწილში მოდიხართ, გვრიტებო?

პირველი გოგო. გათავდა კიდეც. გვინდოდა თვალი გადაგვევლო.

მარინე. დაუძახეთ ერთი ჩემს ბებერს, სიმონს, ზუეველი რომ არის, ხომ იცნობთ?

პირველე გოგო. როგორ არა! სიძის ნათესავია, არა?

მარინე. დიახ, ჩემი ქმრის დისწულია, სიძე.

მეორე გოგო. რატომ თვითონ შენ არ შედიხარ? განა ქორწილში კაცი არ წავა!

მარინე. არა ვარ იმის გუნებაზე, ქალიშვილებო, და არც დრო მაქვს. უნდა გავემგზავროთ. ჩვენ საქორწილოთ როდი მოსულვართ. ქერი მიგვაქვს ქალაქში. ცოტა დავისვენეთ აქ და ჩემი ბერი-კაცი ჩაიპატიჟეს.

პირველი გოგო. თევდორესას ხომ არ ჩასულხართ?

მარინე. დიახ , ნისას. მე აქ მოვიცდი და შენ, ჩემო გვრიტო, ჩემ ბერი-კაცს დაუძახე. გამოუძახე, შენი ჭირიმე! უთხარი შენი დედაკაცი გხმობილობს, ამხანაგები ემგზავრებიანთქო.

პირველი გოგო. რა კი არ გინდა წახვიდე, კარგი, შევატყობიებ, (გოგოები ბილიკით მიდიან. დაირასა და სიმღერის ხმა ისმის.)

სცენა III.

მარინე მარტო.

მარინე. (დაფიქრდება) რა მიჭირდა, რომ ჩასულვიყავ, მარა გული რომ არ მიშვრება! მას აქით, რაც მიმატოვა, აღარ მინახავს! აგერ მეორე წელიწადია. ერთი შემეხედა ნეტავი, როგორ სცხოვრობს თავის ანუსიასთან? ამბობენ, ვერ შეთვისდენო. ბრიყვი და ავი დედაკაცია. გამიხსენებდა უთუოდ ნიკიტა! ძალიან დაეხარბა ახალი ცხოვრება, გამცვალა, მაგრამ ღმერთმა მშვიდობა მისცეს, მე ცუ-

დის გახსენება არ ვიცი, მაშინ კი ძალიან მეტკინა გული! ახლა დამიმშვიდდა, აღარც მახსოვს. მაგრამ მენახა ერთი ნეტავი!.. (იცქირება ეზოში და ნიკიტას დაინახავს) აკი აქით მოდის! იქნება გოგოებმა უთხრეს? რატომ გამოცლია სტუმრებს? მივიფარები!

სცენა IV.

მარინე და ნიკიტა (თავ-ჩაკიდული მოდის. ხელებს აქნევს და ბურდღულობს)

მარინე. რა რიგათ დაღვრემილია?

ნიკიტა. (შეხედავს მარინეს და იცნობს) მარინე! საყვარელო მეგობარო! ჩემო მარინე! აქ რას აკეთებ?

მარინე. ჩემს ბერიკაცს ვუცდი.

ნიკიტა. რატომ ქორწილში არ მოხვედი. მოსულიყავ, დაგეცინა ჩემთვის ერთი!

მარინე. რაზედ უნდა დაგცინო? მე ჩემს ქმარს ველი.

ნიკიტა. ეჰ, ჩემო მარინე! (უნდა მოეხვევოს)

მარინე. (გულ მოსული გაშორდება) ნიკიტა! ამ საქციელს შენ თავი დაანებე, რაც იყო, იყო, წავიდა, მე ჩემს ქმარს ვხმობილობ. ხომ თქვენსას არის?

ნიკიტა. მაშ წინანდელი ამბავი აღარ გავიხსენოთ? არ გნებავს!

მარინე. წინანდელი რა მოსაგონია, რაც იყო, გათავდა.

ნიკიტა. არც დაბრუნდება.

მარინე. არა, აღარ დაბრუნდება. შენ რაღას მიგიტოვებია სახლში სტუმრები და ქორწილს გამოქცევიხარ?

ნიკიტა. (ბზეზე დაჯდება) რას გამოვქცევივარ? ეჰ, რომ იცოდე და გაგეგებოდეს! ზაფრა მაქვს, მარინე, ისეთი ზაფრა მაქვს, რომ სიკვდილს ვნატრობ! სუფრიდან ავდეგი, ხალხს გამოვექეცი, იმიტომ რომ არავისი დანახვა არ მინდა.

მარინე. (მიუახლოვდება) რა დაგემართა?

ნიკიტა. ისა, რომ ჩემთვის აღარც ჭამაა, არც სმა და არც მოსვენება! დავიქანცე, გავთავდი! ყველაფერზე უფრო ის მიკლავს გულს, რომ მარტო ვარ და ვერავისათვის გამინდვია ჩემი გულის ტანჯვა.

მარინე. უდარდელათ, ნიკიტა, ვერ იცხოვრებ. აი მე, გამოვიტირე ჩემი დღე, და გადამიარა მწუხარებამ.

ნიკიტა. შენ სულ ძველ ამბავს ამბობ. ეჰ, მეგობარო, შენ რა გიჭირს, გამოგიტირია, და მე კი რაღა მეშველება!

მარინე. მერე, რა გაგიჭირდა ასეთი?

ნიკიტა. ისა, რომ შემძაგდა სიცოცხლე, შემძაგდა ჩემი თავი. ეჰ, ვერ დამიჭირე, შენი თავიც დაიღუპე და მეც დამღუპე! განა ასეთი სიცოცხლე —სიცოცხლეა?

მარინე. (ფარდულთან დგას და თავშეკავებით სტი-რის) მე, ნიკიტა, ჩემს ბედს არ ვემდური. ჩემისთანა ცხოვრება ღმერთმა ყოველ ჩემს კეთილს მისცეს. არ ვჩივი. მე ყველაფერში გავუტყდი ჩემ ბერიკაცს, შევინანე, მაპატია და არ მაყვედრის. მე ჩემი ცხო-ვრების კმაყოფილი ვარ, ჩემი ქმარი მშვიდობიანი და ჩემი ნებისაა. მის შვილებს ვაცმევ, ვბან, ვუვლი! ამიტომ მასაც ვებრალები. რას უნდა ვემდუროდე, არა? სჩანს ღვთის ნება იყო! შენ რაღა უნდა გი-ჭირდეს! სიმდიდრეში ხარ...

ნიკიტა. რა უნდა მიჭირდეს?! არ მინდა, ოღონდ ქორწილი წავაშხამო, თვარა ჩემი ცხოვრება ისეთია, რომ (აიღებს სელში თოკს, რომელიც ბზეზე გდია) ავი-ღებდი ამას, გავაკეთებდი მარყუჟს, გადავაგდებდი აი ამ დირეზე, გავყოფდი შიგ თავს და გადავრჩებოდი! აი როგორია ჩემი ცხოვრება!

მარინე. რას ამბობ, ღმერთმა დაგიფაროს!

ნიკიტა. შენ იქნება გგონია, ვხუმბრობდე? ან იქნება გგონია, მთვრალი ვიყო? არა, მთვრალი არა ვარ! ამ ბოლო დროს არაყიც ვეღარ მათრობს! ზა-ფრამ დამანელა, ზაფრამ მომიღო ბოლო! ისე დამა-ნელა ზაფრამ, აღარაფერი არ მიხარია! ეჰ, ჩემო მარინე, ცხოვრება და სიხარული მარტო შენთან მქონდა! გახსოვს, რკინის გზაზე რა სიამოვნების ღამეები გაგვითენებია?

მარინე. ძველს ჭრილობას ხელს ნუ ახლებ, ნიკიტა. მეც გვირგვინ-ნაკურთხი ვარ და შენც.

ჩემი ცოდვა მონანებული მაქვს და წასულს ვინღა დაიბრუნებს...

ნიკიტა. კი, მაგრამ რა ვუყო ამ ოხერ გულს? რა მეშველება?

მარინე. ის გეშველება, რომ ცოლი გყავს, სხვებზე პირს ნუ იმჟავებ, შენსაზე გულ-დადებით იყავი. ხომ გიყვარდა ანუსია, კვლავაც გიყვარდეს.

ნიკიტა. შენ რა გგონია! ანუსია მე ძირმწარზე უფრო მეჯავრება. ისეთი ქსელი შემომხვია, რომ აღარ ითქმის!

მარინე. რაც უნდა იყოს, მაინც ცოლია... ან კი რა სალაპარიკოა! ისა სჯობია სტუმრებთან წახვიდე და ჩემი ქმარი გამომიგზავნო.

ნიკიტა. ეჰ, რომ იცოდე ყველაფერი, რაც ამბავია... მაგრამ ან კი რა სათქმელია!

სცენა V.

ნიკიტა, მარინე, მისი ქმარი და ანიკო.

მარინეს ქმარი. (გამოდის ეზოდან გაჟინჟღილებული, მთვრალი) მარინე, დედაკაცო, ქალო! აქა ხარ?

ნიკიტა. ა შენი ქმარიც მოდის, გეძახის, წადი!

მარინე. შენ რა უნდა გააკეთო აქ?

ნიკიტა. მე? მე ცოტას ხანს წამოვწვები (ჩაწვება ბზეში)

მარინეს ქმარი. სადაა ჩემი დედაკაცი?

ანიკო. ა, იქაა, ბიძია, ფარდულთან.

მარინეს ქმარი. რას აკეთებ აქ? წამოდი ქორწილში. მასპინძლები გთხოვენ: პატივი გვეცით, მაყრები ახლავე წავლენ და ჩვენც წავიდეთ.

მარინე. (გამოდის, ქმარს მიეგებება) რაღაც არ მეხალისება.

მარინეს ქმარი. წამოდი მეთქი, გეუბნები. კარგია, ერთს ჭიქას დალევ და იმ ეშმაკს პეტრიას მიულოცავ. მასპინძლები დაგვემდურებიან, რომ არ წამოხვიდე, საქმეების გამოწყობას მაინც მოვასწრებთ. (მოეხვევა ტოლს და ჩიგორგალით ერთათ მიდიან)

სცენა VI.

ნიკიტა და ანიკო.

ნიკიტა. (წამოდგება და ბზეზე დაჯდება) ეჰ, რომ დავინახე, კიდევ უარესათ დავიტანჯე. მხოლოდ მაშინ მქონდა სიამოვნება, მაგასთან რომ ვსცხოვრობდი! რა ტყვილა-უბრალოთ დავატრიალე ჩემი ბედი თავ-უკულმა! დავიღუპე თავი! (დაწვება) რაღა მეშველება! გასკდი დედა მაწავ და ჩამიტანე ბარემ!

ანიკო. (დაინახავს ნიკიტას და მიირბენს) მამილო! მამილო, სადა ხარ, გეძებენ! დალოცეს მეფე-დედოფალი და ჯავრობენ, შენ გიცთიან.

ნიკიტა. (თავისთვის) რაღა მეშველება?

ანიკო. რაო? რას ამბობ?

ნიკიტა. არაფერს. რას ჩამაცივდი!

ანიკო. მამილო, წავიდეთ... (ნიკიტა ჩუმათ არის.

ანიკო ეზიდება) მამიკო, წამოდი, დალოცე! ჯავრიაბენ, სად არისო, კი არ გეხმურები!

ნიკიტა. (ხელს წაართმევს) გამშორდი!

ანიკო. კაია, წამოდი!

ნიკიტა. (თოკით ემუქრება) გამშორდი, თვარა მე ვიცი!

ანიკო. მაშ ღედას გამოგიგზავნი (გარბის)

სცენა VII.

ნიკიტა მარტო.

ნიკიტა. (წამოდგება) აბა როგორ უნდა წავიდე? რა პირით ავიღო ხელში ხატი? როგორ გავუსწორო თვალი ღედოფალს? (ისევ დაწვება) ეჰ, ერთი ხვრელი მაინც იყოს ამ მიწაში, რომ ჩავძვრე! ნეტავი არც არავინ დამანახა და არც ვინმე დამინახავდეს! (ისევ ადგება) არ მინდა, არ წავალ. ჯანაბას იყოს იმათი თავი! არ წავალ (გაიძრობს ჩექმებს. თოკს აიღებს ხელში, მარუუს გამოსკვნის და კისერზე ჩამოიცვამს) აი, ასე, ასე სჯობია!

სცენა VIII.

ნიკიტა და მატრონა (ღედას რომ დაინახავს, თოკს გადაიძრობს კისერზე და ბზეზე დაწვება)

მატრონა. (აქეშელებული მივა) ნიკიტა, შვილო, ნიკიტა! დახე, ხმას არ იღებს. ნიკიტა! რა დაგემართა? არაყი ხომ არ მოგკიდებია? წამოდი, შვილო, წამოდი, ჩემო თვალის სინათლეო, ხალხი გელის.

ნიკიტა. ეჰ, რა მიყავით, დედა? კაცს აღარ ვგავარ ახლა!

მატრონა. რა დაგემართა, შვილო? წამოდი, გენაცვალოს დედაშენი, დალოცე, მოვალეობა მოიხადე და მერე თავისუფალი ხარ. ხალხი გელოდება.

ნიკიტა. აბა, დედა, რა პირით დავლოცო?

მატრონა. დალოცე, როგორც რიგია. განა არ იცი, როგორ?

ნიკიტა. ვიცი; როგორ არ ვიცი? მაგრამ ერთი მითხარი: ვინ დავლოცო? განა არ იცი, რა დავმართე?

მატრონა. რა დამართე? აბა რა დროს მაგის გახსენებაა! ხორციელმა ქვეყანაზედ არა იცის რა, რაც მოხდა. გოგო თვითონ თხოვდება.

ნიკიტა. მერე რატომ თხოვდება?

მატრონა. რატომ და შიშით! შიშით თხოვდება, აბა რას იზამდა? წინათ უნდა გაფრთხილებულიყო. ახლა რომ ფეხი მიასოს, გაჟინდეს, გვიანაა. შუამავლების გალანძღვაც არ შეიძლება, ორჯელ ქალი ნახეს. ამას გარდა მზითევი აქვს. ყველაფერი ჩაფუჩეჩდა! .

ნიკიტა. სარდაფში რაღაა?

მატრონა. (იცინის) სარდაფში? რა იქნება: კომბოსტო, სოკო, მიწისვაშლი. ერთი შენც... რა მოსაგონებლია წასული ამბავი?

ნიკიტა. მეც არ მინდა მოვიგონო, მაგრამ რომ ვერ დავივიწყე! მახსოვს და მახსოვს!.. რა მიყავით, რა!

მატრონა. რა დაგემართა, მართლა, ხომ არ გაგიჟდი?

ნიკიტა. (თავდაღმა გადაბრუნდება) ნუ დამანელე, დედა-ჩემო, მე მაინც საჩემო მჭირს!

მატრონა. მაინც უნდა წამოხვიდე. ისეც კი ყბედობენ, და რომ ახლა არ წამოხვიდე და არ დალოცო, ასე კი არ იტყვიან. დალოცვაც ვერ გაბედა, დაიმალაო. როგორც შეკრთები, მაშინვე მიხვდებიან: თამამათ უნდა იყო და იქვსაც ვერავინ აგართმევს. თვარა, ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო, რომ იტყვიან, შენც ისე მოგივა... უფრთხილდი არ შეიმჩნიო, ნუ გეშინია, შვილო, თვარა უარესია, უფრო მიხვდებიან.

ნიკიტა. რა ნაირ ბადეში გამაბით?

მატრონა. კმარა, წამოდი. წადექი და დალოცე, მორჩა და გათავდა, ყველაფერს თავის დრო და წესი უნდა!

ნიკიტა. (თავდაღმა წევს) არ შემიძლია!

მატრონა. (თავისთვის) რა დაემართა? ქე იყო კარგათ და რაღაც უეცრათ წამოუარა! ეტყობა თვალნაკრგვია. ნიკიტა, ადექი! შეხედე, ანუსიას, სტუმრები დაუტოვებია და აქ მოდის.

ხცენა IX.

ანუსია. (გამოწყობილა, გაწითლებულია და შეზარხოშებული) რა ქორწილია, დედა! რა კარგათ და

პატიოსნათ არის ყველაფერი! ხალხიც რა კმაყოფილია!.. სადაა ნიკიტა?

მატრონა. აქაა, შვილო, აქ. ჩაგორებულა ბზეში და წევს! აღარ მოდის!

ნიკიტა. (ტოლს უცქერის) რა რიგათ დამთვრალა. აბა, ამასთან ცხოვრება ვის შეუძლია? გული შეგიწუხდება ამის შემხედავს! (ოავდადმა გადაბრუნდება) მოვკლავ მე მაგას ოდესმე. უარესი იქნება!

ანუსია. შეხედე სად ჩაფლულა! იქნება არაყი გინდა გამოინელო? (იცინის) ჩაგიგორდებოდი მანდ, მაგრამ რომ არ მცალია, წავიდეთ მიგაცილებ. რა კაი ამბავია სახლში. სასახელო ლხინია. მუზიკაცაა! დედაკაცები მშვენიერათ თამაშობენ. ყველა დამთვრალია, თავმოსაწონი, ჩინებული ამბავია!

ნიკიტა. მერე რა კაია?

ანუსია. სამხიარულო ქორწილია, სამხიარულო! ყველა იმას ამბობს, რომ საგანგებო ქორწილიაო. ყველაფერი ისე პატიოსნათ და კარგათ არის. წამოდი და... ერთათ წავიდეთ... ზარხოშათ ვარ, მაგრამ, მაინც მიგიყვან (ხელს კიდებს ხელზე)...

ნიკიტა. (ზიზღით გამოსტაცებს ხელს) წადი, წამოვალ.

ანუსია. ქე რას იბუძგები! თაკიდან ჭირი მოვიშორეთ და ამას შემდეგ ვიცხოვროთ და ვიმხიარულოთ, რაღა გვიჭირს! ყველაფერი პატიოსნათ და კანონიერათ მოხდა. ისე მხიარული ვარ, გამოთქმასაც ვერ ვახერხებ! თითქოს ახლა ხელ-მეორეთ

ჯვარს ვიწერდე შენზედ! ხალხიც რა კმაყოფილია! ყველა მადლობელია, სტუმრებიც რა საპატიო კაცებია: ივან მოსეიჩ, ბატონი პოლიციის მოხელე, იმათაც დალოცეს.

ნიკიტა. წადი და დაჯექი იმათთან, რაღაზედ მოდიოდი?

ანუსია. მაინც უნდა წავიდე, თვარა რასა ჰგავს, მასპინძლები წამოესულვართ და სტუმრები იქ დაგვიყრია, მერე რა სტუმრები!

ნიკიტა. (წამოდგება და ბზეს გაირეკს) წადით, მე ახლავე მოვალ.

მატრონა. ღამის გუგულმა დღის გუგულს აჯობაო, რომ იტყვიან, ესაა. ჩემი არ გაიგონა და ცოლს კი იმ წამსვე გაჰყვა (მატრონა და ანუსია მიდიან)

მატრონა. მოდიხარ, თუ არა?

ნიკიტა. ახლავე მოვალ, გაიარეთ და მოგეწევით. მოვალ, დავლოცავ... (დედაკაცები შედგებიან) წადით... მოგეწევით! (დედაკაცები მიდიან).

ნიკიტა. (აკვირდება მიმავალ დედაკაცებს და დაფიქრდება).

სცენა X.

ნიკიტა მარტო, შემდეგ მიტრიჩ.

ნიკიტა. (წამოჯდება და ფეხს ისთიის) დიახ, ეს არის, გიახლებით! არა, თქვენ დაათვალიერეთ, დი-

რეზე ხომ არაა ჩამოკიდებული. რა ბევრი მჭირია; გავაკეთებ მარყუჟს, გადავიცვამ კისერზე, სკუპ და გათავდა... გადავრჩი. კარგია, რომ თოკიც აგერაა, (ჩაფიქრდება) უბრალო რამე სევდა იყოს, კაცი გაერთობოდა, გულს გადააყოლებდა რასმე, მაგრამ ეს მწუხარება აი აქ მაქვს შუა გულში ჩაჭრილი და საშველი ვეღარ დამდგომია! (დააცქერდება ეზოსაკენ) ლამის კიდევ მოდისო! (ანუსიას ავსავრებს) ,,კარგია, სწორეთ კარგი ამბავია! ჩაკიგორდებოდი, რომ...'' ჰაი, შე შეჩვენებულო, შენა! მოდი მაშინ მომეხვიე, დამრჩვალს რომ ჩამომიღებენ ხიდან კისერზე თოკით... ეჰ, ხომ მაინც უნდა მოვკვდე ერთ დღეს! (წაავლებს თოკს ხელს და გასწევს).

მიტრიჩ. (წამოდგება დამთვრალი და არ ანებებს თოკს.) არ დაგანებებ. არავის არ დავანებებ. თვითონ მოვიტან. ვთქვი, მოვიტან მეთქი და მოვიტან! ნიკიტა! შენა ხარ? (იცინის) ჰაი დაგლახვროს ღმერთმა! იქნება ბზისთვის მოხვედი?

ნიკიტა. თოკი მომეცი.

მიტრიჩ. დაიცადე. მე გამომგზავნეს და მე წავიღებ. (წამოდგება ფეხზე. ბზეს კრებს და ბანდალობს, გასწორდება და ბოლოს წაიქცევა) აკი მაჯობა...

ნიკიტა. მომეცი თოკი.

მიტრიჩ. აკი გითხარი, არ დაგანებებ მეთქი. ეჰ, ნიკიტა, რა სულელი ხარ, შე უბედურო! (იცინის) მიყვარხარ, მაგრამ მაინც გეტყვი, რომ სულელი ხარ.

შენ ახლა მიყურებ, დამთვრალი რომ ვარ, ჯანა? ძალიან არ მეშინია შენი! შენ ახლა გგონია, ძალიან მჭირიხარ, არა? აბა შემოიხედე! უნდერი ვარ! ბრიყვო, შენ ხომ ვერ იტყვი: უნდერაფიცარი გრენადერის მისის უდიდებულესობის, უპირველესის პოლკისა, —მეფესა და სამშობლოს ვემსახურე ერთგულათა და სიმართლით. ვინა ვარ მე? შენ გგონია მეომარი ვარ? არა! მე ვარ ერთი უკანასკნელი გლახა, ობოლი, გზადაბნეული კაცი! აღთქმა დავდევი არ დამთვრალვიყავ. ახლა კი გავტეხე ფიცი!.. ახლა, იქნება გგონია, შენი მეშინია? როგორ არა! მე არავისი არ მეშინია! არავისი! დავლიე, მართალია, დავლიე! რა გაეწყობა! ახლა ერთ ორ კვირას ვსვამ და ვსვამ!.. ქუდსაც გავყიდი არაყში, ბილეთსაც დავაგირავებ და არავის არ მოვერიდები. რამდენი როზგი ვე მომხვდა ჯარში, რომ ლოთობისთვის უნდოდათ თავი დამენებებია. დამაწვენდენ და იმდენს მირტყამდენ, სანამ სიკვდილზე არ მიმაყენებდენ და თან მეკითხებოდენ: დათვრები კიდევო? მეც ვუპასუხებდი: დავთვრები მეთქი. რისა შემეშინებოდა! აი მე როგორი ბიჭი ვარ! როგორიც გამაჩინა ღმერთმა ისეთი ვარ. აღთქმა დადვევი, აღარ დამელია, და არც დამილევია. ახლა კი დავლიე, დავთვერი და არც არა ვის არ მეშინია, ამიტომ მართალს ვამბობ. ვისი უნდა მეშინოდეს ტყვილა ეუბრალოთ! ჰა, შემომხედეთ, აბა რა ბიჭი ვარ! ერთმა ღვეელმა სთქვა: ეშმაკი ტრაბახი რამე არისო,

რაკი ტრაბახობას დაიწყებ, მაშინვე გამხთალდებიო. რა კი გამხთალდი და კაცის შეგეშინა, იმ წამს წაგავლებს ის შეჩვენებული ხელს და წაგაჩაჩალებს თავისკენაო. მაგრამ რადგან არა ვისი მეშინია, არც არაფერი გამიჭირდება, ფუი ეშმაკს! დალახვროს სამას სამოცდა ხუთმა წმინდა გიორგიმ! ვერაფერს ვერ დამაკლებს. მოდი, აბა გაბედე!

ნიკიტა. (ბირჟვარს იწერს) ან კი რა აზრი მომივიდა მართლა?! (გადაგდებს თოკს).

მიტრიჩ. რა იყო?

ნიკიტა. (წამოდგება) რა სთქვი: ხალხს არ უნდა შეუშინდეო?

მიტრიჩ. აბა, რატომ უნდა შეუშინდე? რა ჭკუაა! შენ ერთი აბანოში ნახე გამძვრალი ხალხი. ყველა ერთნაირია, ერთს უფრო დიდი მუცელი აქვს, მეორეს უფრო პატარა, ეს არის და ეს მათი განსხვავება. აბა! ძალიან არ უნდა გეშინოდეს მაგათი, მაგათმა მზემ!

სცენა XI.

ნიკიტა, მიტრიჩ, მატრონა (გამოდის ეზოდან).

მატრონა. (ეძახის) რას შვრები, მოდიხარ, თუ არა?

ნიკიტა. ეჰ, ასე სჯობს! კარგი, მოვდივარ! (მიდის ეზოთი).

ფ ა რ დ ა.

აქ დეკორაცია იცვლება. პირველი მოქმედების სახლი სავსეა ხალხით, რომელიც სუფრაზე ზის, ზოგი ფეხზე სდგას. წინ კუთხეში აკულინა და მისი საქმროა. სუფრაზე ხატი და პური დევს. სტუმართა შორის მარინეა, იმისი ქმარი და პოლიციის მოხელე. დედაკაცები იმღერიან. ანუსია არაყს აწოდებს სტუმრებს. სიმღერა შეწყდება.

სცენა I.

ანუსია, მარინე, მარინეს ქმარი, აკულინა, სასიძო, მეეტლე, პოლიციის მოხელე, შუამავალი, ძმადე, მატრონა, სტუმრები და ხალხი.

მეეტლე. თუ წასავალი ვართ—ბარემ წავიდეთ. განა ეკლესია ახლოა?

ძმადე. ცოტა დაიცადე. მამინაცვალი დალოცავს, სად არის ეს კაცი?

ანუსია. ახლავე მოვა, ბატონო! ახლავე? მიირთვით კიდევ თითო ჭიქა, ნუ დაგვიწუნებთ.

შუამავალი. რა ასე დაიგვიანა? რა ხანია ვუცდით.

ანუსია. ახლავე მოვა, ახლავე; თვალის დახამხამებამდი აქ გაჩდება. მიირთვით, თქვენი ჭირიმე (მიართმევს არაყს) ამ წამში მოვა. მანამდი რასმე შეექეცით, სთქვით რამე, გოგოებო!

მეეტლე. ამ ლოდინში, რაც სიმღერები იცოდენ, ყველა იმღერეს (დედაკაცები იმღერიან. შუა სიმღერის დროს შემოდიან ნიკიტა და აკიმ.)

სცენა II.

იგინივე, ნიკიტა და აკიმ.

ნიკიტა. (ხელი მოუკიდია აკიმისათვის ხელზე და უნდა წინ წაუყენოს) წინ წადექ, მამა, უშენოთ არ შეიძლება.

აკიმ. არ მიყვარს მე ესეები, რაქვიან...

ნიკიტა. (დედაკაცებს) აღარ დაჩუმდებით! (დასთვალიერებს უველას) მარინე, აქ ხარ?

შუამავალი. წადექ, აიღე ხატი და აკურთხე!

ნიკიტა. დამაცადე ცოტა, (თვალით ეძებს) აკულინა, აქა ხარ?

შუამავალი. რათ გინდა, რომ ხალხს ეძახი? მაშ სად უნდა იყოს დედოფალი? ახირებული არ არის...

ანუსია. რა დაგემართა! ფეხზე რატომ გაგიძვრია!

ნიკიტა. მამაჩემო! აქა ხარ? შემომხედე, შენს შვილს! ხალხო და ჯამანათო, თქვენ აქა ხართ და მეც აქა ვარ! კი აგერა ვარ! (დაეშვება მუხლებზე)

ანუსია. რა დაგემართა, შე უბედურო? დავიღუპე!

შუამავალი. ერი ჰაა!

მატრონა. დამთვრალია და არ იცის, რას ამბობს, გონზე მოდი, შვილო! რას ჩადიხარ! (უნდათ

ააუენონ; არავის ყურადღებას არ აქცევს და პირდაპირ იყურება.)

ნიკიტა. ხალხო და ჯამაათო! დამნაშავე ვარ! მინდა შევინანო!

მატრონა. (წაფრინდება მხარზე და უნდა გაიარიოს) ხომ არ გაგიჟდი? ჭკუაზე შეირყა, ბატონებო, წავიყვანოთ აქედან.

ნიკიტა. (დედას მოიშორებს) თავი დამანებე! შენ კი, მამა, გამიგონე. პირველათ, მარინე, შენ შემომხედე აქით. (თაყვანს სცემს მარინეს და წამოდგება) შეგცოდე მე შენ! შეგპირდი შერთვას, შეგაცთინე. მოგატყუე, გაგაგდე, მაპატივე, შენი ღვთის გულისათვის (ხელახლა თაყვანს სცემს.)

ანუსია. რას ბრანდავ, შე უბედურო? რა დროს ესაა? ვინ გკითხავს! ადექი ზეზე! ხომ არ გაგიჟდი?

მატრონა. ვაიმე, შვილო! როგორ გამიღალა ვილაცამ შენ თავი! ვინ დამღუპა, ვინ გამომისვა კისერში დანა, ვინ მომიჯადოვა შვილი, ბატონებო? ადექი, საცოდავო, რაებს როშავ? (ეზიდება).

ნიკიტა. (თავს აქნევს) ხელს ნუ მახლებ! შემინდევ, მარინე! მაპატივე ჩემი შენთან შეცოდება, შენი ღვთის გულისათვის! (მარინე სახეზე ხელებს მიიფარებს და ჩუმათაა.)

ანუსია, ადე ზევით, რა ღმერთი გიწყრება? რა დროს მაგეების გახსენებაა? კმარა სულელობა!

ალარ გრცხვენია! ვაი ჩემო დღეო, როგორ გადამე-
რია ქმარი!

ნიკიტა. (ხელს კრავს ტოლს და აკულინასაკენ
მაიბრუნებს პირს) ახლა შენც უნდა გითხრა: გაიგონე,
ხალხო და ჯამაათო! მე დაწყევლილივარ! აკულინა!
დამნაშავე ვარ შენთან! მამა შენი თავისით არ
მომკვდარა—მოწამლეს!

ანუსია. (შეკივლებს) უი, ჩემო დღეო! რა და-
ემართა ამ უბედურს!

მატრონა. ვერ ხედავთ. ჭკუიდან შეიშალა
კაცი! გაიყვანეთ! (ხალხი გარს შემოერტყმის, უნდა
გაიყვანოს.)

აკიმ. (ჩამოატლის ხალხს) აცალეთ! აცალეთ,
რაქვიან, ძმებო.

ნიკიტა. აკულინა! მამა შენი მე მოვწამლე სა-
წამლავით! შემინდე, შენი ღვთის გულისათვის!

აკულინა. (წამოვარდება) სტყუის! მე ვიცი ვინც
მოწამლა მამა ჩემი!

შუამავალი. შენ შენთვის იყავი, იჯექი!

აკიმ. ჰოი, ღმერთო, რა ცოდვა მოხდა, რა ცოდვა!

პოლიციის მოხელე. წაიყვანეთ! გამომიგზავნეთ
მამასახლისი და კეთილსინდისიერნი. ოქმი უნდა
შეეაყენოთ. ადექი ერთი შენ და აქ მო!

აკიმ. (ბოქაულს) შენ, რაქვიან, ყვითელ ფოლა-
ქებიანო, რაქვიან, დაიცადე, აცალე, რაქვიან, იტყვის
ყველაფერს.

პოლიციის მოხელე. (აკიმს) ბეროკაცო, ნუ ერევი, თავი დაანებე. ოქმი უნდა შევადგინო.

აკიმ. ერთი შენც, რაქვიან! გეუბნები, აცალე მეთქი. რა დროს ოქმია ახლა, რაქვიან! აქ ღმერთი ჩაერია საქმეში, რაქვიან... კაცი ცოდვას ინანებს და შენ, რაქვიან, ოქმზე ლაპარაკობ...

პოლიციის მოხელე. მამასახლისი მომგვარეთ აქ!

აკიმ. აცალე, ჯერ ღვთის საქმე გათავდეს, რაქვიან, მერე შენს საქმეს შეუდექი.

ნიკიტა. ამას გარდა, აკულინა, შენს წინაშე მე სხვა დიდი დანაშაულიც მაქვს, შეგაცთინე, შემინდევ. შენის ღვთის გულისათვის (თაყვანს სცემს).

აკულინა. (ადგება აკულინა) გამიშვით, არ მინდა გათხოვება. მაგან მიბრძანა, გაყევი ქმარსო, ახლა კი აღარ მინდა გავთხოვდე.

პოლიციის მოხელე. გაიმეორე, რაცა სთქვი.

ნიკიტა. მაცალეთ, ბატონო, ვსთქვა ყველაფერი.

აკიმ. (აღტაცებულია) ღმერთო! სთქვი, შვილო, ყველაფერი, სთქვი, გულზე მოგეშვება! შეინანე ღვთის წინაშე, ხალხის ნუ გეშინია. ღმერთი! ღმერთი! აი სადაა ღმერთი!..

ნიკიტა. მამა მაგისი მე მოვწამლე მე სულკატიანმა, იმისი ქალიც ჩემს ხელში იყო, და მე დაველუპე. მაგისი ბავშიც მე მოვკალი.

აკულინა. მართალს ამბობს, მართალს!

ნიკიტა. სარდაფში ფიცრით გავჭედეთ... ფიცარი დავადევი, დავაჯედი და გავჭედეთ... მესმოდა მისი

ძვლების ტეხა და მსხვრევა... (ცოცხალი) იქვე დავმარხე, მარტო მე ჩავიდინე ესეები.

აკულინა. სტყუის! მე ვუთხარი,..

ნიკიტა. რათ გინდა გადამარჩინო! ახლა აღარავისი არ მეშინია!... მაპატივე ხალხო და ჯამაათო! (თაყვანს სცემს. სიჩუმეა)

პოლიციის მოხელე. შეკარით. თქვენი ქორწილი, როგორც სჩანს, დაიფუშა (ხალხი მიუახლოვდება სარტყლებით).

ნიკიტა. დაიცადეთ, მოესწრებით... (თაყვანს სცემს მამას) მამა ბატონო! შემინდევ შენც, მე ღვთისაგან შეჩვენებულს! თავიდან მეუბნებოდი: უფრთხილდი, შვილო, დაიღუპებიო. მაგრამ რომ არ გაგიგონე მე ღმერთ-გამწყრალმა, მე ძაღლმა, და ახლა შენი სიტყვა გამართლდა! შენი ღვთის გულისათვის შემინდევ!

ეკიმ. (აღტაცებულია) ღმერთია შენი შემნდობი, საყვარელო შვილო. (მოეხვევა) შენ თავი გაიწირე, მარა ღმერთი არ გაგწირავს, შეგიბრალებს. ღმერთი! ა, ისა!

სცენა III.

მამასახლისი. (შემოდის) კეთილ-სინდისიერი აქაც ბევრია.

პოლიციის მოხელე. ახლავე ჩვენებას ჩამოვართმევთ. (ნიკიტას ხელებს შეუკრავენ.)